

ბუნტოღვ ბრუტტი

პიესები



სელოვანება • თბილისი • 1986

ბერტოლტ ბრეჰტი და მისი ქართველი ინტერპრეტაციები

ბრეჰტმა ქართულ თეატრში ძალიან დაიგვიანა (და არა მარტო ქართულ, არამედ, საერთოდ, საბჭოთა თეატრში). ამ გერმანელი დრამატურგისადმი ჩვენი დამოკიდებულება გვაგონებს ჩვენსავე მიმართებას პაბლო პიკასოსადმი. ორივეს სავსებით ვენდობით მსოფლმხედველობის სფეროში, მაგრამ „გვაშინებდა“ მათი მეთოდი, რომელიც ასე რადიკალურად განსხვავდებოდა ყოფილი, ემპირიული, მიმეტური რეალიზმის მეთოდისაგან. ბრეჰტის „შემოშვებას“ ჩვენს თეატრებში ალბათ ისიც უშლიდა ხელს, რომ დიდი იყო მარჯანიშვილის, ასმიტელიის, ხოლო რუსეთში სტანისლავსკის ტრადიციები (თუმცა რუსეთს შეიერხოლდიც სომ ჰყავდა!) და ბრეჰტის თეატრალური ესთეტიკა რადიკალურად უპირისპირდებოდა ზემოთ ნახსენები რეჟისორების თეორიასა და პრაქტიკას. უფრო მეტიც: ბრეჰტს დიდხანს არ აღწარებდნენ და არ სწყალობდნენ ჩვენი ლიტერატურათმცოდნეები და კრიტიკოსებიც. თითქოს განსხვავებული თეატრალური სკოლებისა და სტილთა თანაარსებობა საზიანო იქნებოდა თეატრალური ხელოვნების განვითარებისათვის. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ პეროიკულ-რომანტიკული და ყოფით-რეალისტური თეატრის ადებტები ძალიან დიდხანს ჯიუტად უკეტავდნენ ბრეჰტს ჩვენი თეატრების კარებს.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და ახლა საქართველოში ბრეჰტს არათუ უბრალოდ იცნობენ, არამედ ის დღესდღეობით ყველაზე პოპულარული დრამატურგია ჩვენში და ეს, უპირველეს ყოვლისა, რეჟისორ რობერტ სტურუას დამსახურებაა, რომელმაც აღზარდა ახალი თეატრის მაყურებელი, ძირითადად სძლია ჩვენი თეატრალების, თეატრმცოდნეების და, რაც მთავარია, მაყურებლების ესთეტიკურ კონსერვატიზმს, შეარყია თავისებური ესთეტიკუ-

რი „იმუნიტეტი“, ნაწილობრივ „უმკურნალა“ ჩვენში ანტიბრეტულ „სინდრომს“ და ახალ თეატრალურ მიმართულებას, ახალ, ანტიილუზიურ და ანტიმიმეტურ თეატრს ჩაუყარა საფუძველი. სამართლიანობა მოითხოვს ისიც აღინიშნოს, რომ საქართველოში ბრეტის პირველი დამდგმელი რეჟისორი დოდო ალექსიძე იყო. წინამდებარე კრებულშიც სწორედ ის პიესებია დაბეჭდილი, რომლებიც ამ ორმა რეჟისორმა სხვადასხვა დროს განახორციელა რუსთაველის თეატრის სცენაზე.

1966 წელს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთ ჟურნალში დაიბეჭდა ამ ჟურნალის რედაქტორის საუბარი ქართველ გერმანისტთან. საინტერესოა ამ საუბრის ერთი ადგილი:

„რედაქტორი: საქართველოში ბრეტი საერთოდ ცნობილია?

გერმანისტი: ბოლო ხანებში ის გაიცნეს, აქამდე ნაკლებად იცნობდნენ. გაიცნეს მეტ-ნაკლებად მისი დრამატურგია, პიესები. მისი ლირიკა და პროზა თითქმის მთლად უცნობია. ჩვენთან დაიდგა „სამგროშიანი ოპერა“. სპექტაკლმა დიდი გამოსმაურება პოვა ჩვენს მაყურებლებში. ახლა ზოგიერთი ბრეტს ბაძავს კიდევ... „ქართულად თარგმნილია „კავკასიური ცარცის წრე“, მაგრამ ჯერ არ დაუდგამთ“.

ბრეტს რომ გაუგო, მის პიესას და სპექტაკლს „გემოც“ რომ ჩაატანო, საჭიროა ბრეტის დრამის თეორიისა და მისი თეატრალური პრაქტიკის ცოდნა და, რაც მთავარია, ანტიილუზიური, ანტიმიმეტური თეატრით ტკობის ჩვევა და ძველი, ტრადიციული ილუზიურ-მიმეტური, პეროიკულ-რომანტიკული, მელოდრამატული და ა. შ. თეატრის მიხედვით შექმნილი ესთეტიკური კატეგორიების დათმობა.

ბრეტს რომ გაუგო, ბრეტის ენა უნდა გესმოდეს, უნდა იცოდეს ბრეტის დრამის „თამაშის წესები“.

ყოველი ახალი, უჩვეულო, ის, რაც არ ეხმიანება, არ ეფარდება მაყურებლის დიდი ხნის წინათ ჩამოყალიბებულ გემოვნებას, ბუნებრივია, იწვევს ფარულ და აშკარა წინააღმდეგობას, პროტესტს, აღშფოთებასაც კი.

საქართველოში ანტიილუზიურ, ანტიმიმეტურ თეატრს არავითარი ტრადიციები არ ჰქონია. ჩვენში აქამდე ერთპიროვნულად ბატონობდა ილუზიური თეატრი, განსაკუთრებით ამ თეატრის პეროიკულ-რომანტიკული და მელოდრამატული განშტოება (უნდა ითქვას, რომ ქართულ სცენაზე არაერთხელ შექმნილა ამ განხრის შესანიშნავი სპექტაკლები: „ცხვრის წყარო“, „ყაჩაღები“, „ურიელ აკოსტა“ და სხვ., მაგრამ განა ეს იმას გვავალებდა, რომ სხვა მიმართულებების თეატრი ანტიქართულად გამოგვეცხადებინა და მისი პარალელურად არსებობისათვის ხელი შეგვეშალა?!).

ბრეტი ტრადიციულ მაყურებელს ურღვევს ჩვეულ, ბავშვობიდანვე შეთვისებულ თეატრალურ ესთეტიკას, წარმოდგენებს; ასეთი მაყურებლის-

თვის რადიკალურად უცხოა თამაშში თამაში, ფიქციაში ფიქცია. მას ნაწარმოები მით უფრო მაღალმხატვრული ჰგონია, რაც უფრო გარეგნულად მიმსგავსებულად გამოხატავს იგი საგანს — მკვეთრი დეფორმაციები მისთვის მიუღებელია. მას სურს, მხატვარმა ისე დახატოს ალუბლები, რომ ბელურებიც კი მიიზიდოს ასაკენკად. მას უნდა, რომ გულამოსკვნილი ტიროდეს სპექტაკლის მსვლელობის დროს და სჯეროდეს, რომ სცენაზე ყველაფერი ნამდვილად ხდება. ემოციური თანაგანცდის, კათარზისის, საკუთარი თავის მოქმედ პირებთან იდენტიფიცირების გარეშე უჭირს სპექტაკლის აღქმა და ყოველივე ეს თეატრალური წარმოდგენის აუცილებელი ატრიბუტები ჰგონია (ბრეჰტი უარყოფდა როგორც კათარზისს, ასევე რელაქსაციას — ე. ი. „განძაბვას“, მოშვებას, დაძაბულობის მოხსნას, უშუალო თანაგანცდას, გარდასახვას ტრადიციული გაგებით და ა. შ.).

ერთი გერმანელი ავტორი თავის წერილში „შიში თანამედროვე ხელოვნების წინაშე, გოეთედან პიკასომდე“ წერს: „საინტერესო სახასხავია, თუ რას განიცდიან გამოფენის მნახველები იმ ნამუშევრების მიმართ, რომლებიც მათ არ ესმით. თვით ყველაზე წყნარი და უწყინარი ადამიანებიც კი კარგავენ მოთმინებას და ნერვიულობას იწყებენ უჩვეულო, ახლებურად შესრულებული ფერწერული ნამუშევრების წინაშე მდგარნი, ისინი შფოთავენ და ისე იქცევიან, თითქოს ამ მუნჯ საგნებს მათთვის შეურაცხყოფა მიეყენებინოთ. დიას, ადამიანები გულწრფელად არიან აღშფოთებულნი და გაგულისებულნი“.

ავტორი ცდილობს, ახსნას ადამიანთა ეს უცნაური საქციელი. ამ სპონტანური აფეთქების მიღმა, მისი აზრით, მოქმედებს შემდეგი ფაქტორი: მაყურებელი ბრაზდება, აღშფოთდება იმის გამო, რომ მას არ ესმის ნაწარმოები, ეს კი მასში შიშს ბადებს. აღშფოთება და გაბრაზება — ეს თავდცვის საშუალებაა, თუ მას ნაწარმოები არ მოაგონებს სხვა ნაწარმოებს, უკვე ნაცნობსა და ნანახს, თუ მას არ შეუძლია მისი სხვასთან მიმსგავსება, ნანახთან და შეჩვეულთან შედარება, მაშინ მას შიში ეუფლება, შემდეგ კი ბრაზი. მაყურებელმა იცის, რომ ვიღაც სადღაც (განსაკუთრებით სპეციალისტები და ე. წ. მცოდნენი) ამ ნამუშევარს დიდად აფასებს, მას კი სრულიად არ ესმის, სრულიად არ მოსწონს იგი, მაშასადამე, მას რაღაც შინაგანი ნაკლი აქვს, მაგრამ ამის შეგნება, აღიარება და ამ ნაკლის აღმოფხვრისათვის ზრუნვა უჭირს. ამიტომ ადამიანს თავისი ნაკლი გარეთ გამოაქვს და სურათს „დანაშაულებს“. ამით იგი თავისუფლდება, მაგრამ ეს განთავისუფლება მას ხელოვნებას აშორებს.

ასევე ემართება ტრადიციულ მაყურებელს ბრეჰტთან შესხედრისას. ეს იყო პირველი სიძნელე, რომლის წინაშეც აღმოჩნდნენ ბრეჰტის დამდგმელი ქართველი რეჟისორები.

მეორე სიძნელეს რეჟისორის წინაშე თვითონ ორთოდოქსი ბრეჰტიანელები ქმნიან, რომლებიც ძველ კერპებს ამსხვრევენ, მაგრამ ბრეჰტს ახალ კერპად სახავენ, მოითხოვენ ბრეჰტის არა მარტო არსების, არამედ მისი ყოველი „დოგმის“ ერთგულებას, მოითხოვენ ბრეჰტის სპექტაკლების უცვლელ ან მიმსგავსებულ გამეორებას (ბრეჰტი ყოველგვარი ფეტიშიზაციის წინააღმდეგი იყო, მაგრამ ბედის ირონია ის არის, რომ თვითონ ბრეჰტი აქციეს ფეტიშად). ამიტომ მოხდა, რომ ბრეჰტის თეატრი კარგა ხანია დგას სამუშეო, ნაფტალინწაყრილ თეატრად, ანდა სულაც თეატრ-სასაფლაოდ გადაქცევის საფრთხის წინაშე, სადაც პომპეზური მონუმენტები დგას და აღარ ქრის სიახლის მაცოცხლებელი სიო.

ამიტომ იყო, რომ რ. სტურუამ თავისი „კავკასიური ცარცის წრით“ ზოგიერთი დოგმატიკოსი და ფანატიკოსი ბრეჰტიანელის გულისწყრომაც კი დაიმსახურა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

პირველად ბრეჰტის პიესა ქართულ სცენაზე 1964 წელს წარმოადგინეს. ეს იყო რეჟისორ დოდო ალექსიძის მიერ დადგმული „სამგროშიანი თქერა“, განხორციელებული რუსთაველის სახელობის თეატრში.

1975 წელს, ე. ი. თერთმეტი წლის შემდეგ, რობერტ სტურუამ, რომელიც აქამდე გაბედულ ექსპერიმენტებს მიმართავდა თავისი სპექტაკლებით („ხანუმა“, „ყვარყვარე“, „სეჩუანელი კეთილი ადამიანი“ და სხვ.), ერთბაშად აალაპარაკა სპეციალისტები ბრეჰტის „კავკასიური ცარცის წრის“ ახალი ინტერპრეტაციით, რომლის დიდება მალე გასცდა საქართველოსა და საბჭოთა კავშირის ფარგლებს, ხოლო გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და მექსიკაში ნამდვილი ფურორი მოახდინა.

ჩვენდა საბედნიეროდ, არ გამართლდა ბრეჰტის მეუღლისა და სახელოვანი მსახიობის, აგრეთვე ზოგიერთი ქართველი გერმანისტის ვარაუდი, რომ ქართულ თეატრში ბრეჰტის „კავკასიური ცარცის წრე“ თითქოს წინასწარ იყო მარცხისათვის განწირული. რ. სტურუამ პიესას ისეთი გასაღები მოარგო, რომ ეს მოსაზრება გააბათილა.

მიუხედავად დ. ალექსიძისა და რ. სტურუას რეჟისორულ-შემოქმედებით ინდივიდუალობებს შორის მკვეთრი განსხვავებისა (დ. ალექსიძე მაინც უფრო ჰეროიკულ-რომანტიკული თეატრის წარმომადგენელია: „ოიდიპოს მეფე“, „ბახტრიონი“ და სხვ.), მათ მაინც რამდენადმე და ნაწილობრივ ერთი და იგივე გზა აირჩიეს და ბრეჰტის დრამატურგიას მეტ-ნაკლებად მსგავსი გასაღები მოარგეს. ორივე შეეცადა ბრეჰტის დრამატურგია, რამდენადაც კი შეიძლებოდა, ქართული თეატრის ტრადიციებზე დაეფუძნებინა და, მეორე მხრივ, რადგან ბრეჰტის პიესები ქართველი მაყურებლისათვის (აგრეთვე ბრეჰტისეული სპექტაკლებიც) მეტისმეტად პირქუში და „გაუცინარია“, აქცენტი ნაწარმოების კომედიურ მხარეზე გადაიტანეს, რითაც ნაწილობრივ

შეასუსტეს პიესის ტრაგიკული პლანი (ბრეჰტის ყოველი პიესა ტრაგიკომედიანა — ის არასოდეს არ არის წმინდა წყლის კომედია ან ტრაგედია).

დ. ალექსიძემ პირველი ნაბიჯი გადადგა ბრეჰტის ქართული რეცეფციის საქმეში. მან რამდენადმე შეამზადა ქართველი მაყურებელი ანტიილუზიური, ანტიმიმეტური თეატრის აღქმა-მიღებისათვის, შეაჩვია მეტ-ნაკლებად ემპირიული ნამდვილობის დამრღვევ, ანტიილუზიურ „ცივ შხაპებს“ (ზონგები, წარწერები დაფებზე, პირობითი დეკორაციები, დისტანცირების მეთოდი, გაუცხოების ეფექტი, მოქმედების შეწყვეტა, მოქმედების კომენტირება, უშუალო კონტაქტი მაყურებელთან და სხვ.). დ. ალექსიძემ ჩაატარა ბრეჰტის გაგებისათვის, ბრეჰტული სპექტაკლის აღქმისათვის, თუ შეიძლება ასე ითქვას, „პროპედევტიკული“ სამუშაო; მან მაყურებელს ბრეჰტის და საერთოდ თანამედროვე, ანტიილუზიური თეატრის დარგში ელემენტარული, დაწყებითი განათლება მისცა. ეს იყო საქართველოში ბრეჰტის რეცეფციის პირველი საფეხური, პირველი სტადია. დ. ალექსიძემ შეასრულა გზის გამკაფავის, პიონერის მძიმე და ძნელი სამუშაო. და ერთი გერმანული ანდაზისა არ იყოს — ყოველი დასაწყისი ძნელიაო, — მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ეს იყო არა მარტო პირველი ქართული, არამედ, საერთოდ, ერთ-ერთი პირველი საბჭოთა ბრეჰტული სპექტაკლი. „სამგროშიანი ოპერა“ დაიდგა აგრეთვე მოსკოვის სტანისლავსკისა და ლენინგრადის კომკავშირის თეატრებში. როდესაც დასავლეთგერმანული თეატრალური ჟურნალის „თეატერ ჰოიტეს“ კორესპონდენტი მოსკოვისა და ლენინგრადის თეატრების დადგმას რუსთაველის თეატრის „სამგროშიანი ოპერას“ ადარებდა, აღნიშნავდა — „ბრეჰტის ამ პიესის საბჭოთა დადგმებს შორის დ. ალექსიძის სპექტაკლი ყველაზე ბრეჰტული იყო“ („თეატერ ჰოიტე“, 1976, 4 აპრილი, გვ. 40).

დ. ალექსიძემ, რასაკვირველია, შეინარჩუნა კურტ ვაილის მუსიკა, რადგან ეს მუსიკა ორგანული ნაწილია ბრეჰტის პიესისა. ამ პიესის ტექსტებზე შექმნილმა მუსიკამ მთელი მსოფლიო მოიარა და „სამგროშიანი ოპერის“ ზონგებს პიესის გარეშეც ასრულებენ ამერიკასა და ევროპაში (განსაკუთრებით პოპულარულია ე. წ. „მორიტატი“, ე. ი. ქუჩის მომღერლის სიმღერა ყაჩაღ მეკიზე, რასაც ლუი არმსტრონგიც ასრულებდა). მხატვრობა ფარნაოზ ლაპიაშვილს ეკუთვნოდა. დეკორაციები ძუნწი იყო, პირობითი, ბრეჰტული; მხატვრის ერთ-ერთი იღბლიანი მიგნება იყო სცენაზე ჩამოკიდებული ბაწრები, რომლებიც თავისებურ ფარდას ქმნიდნენ.

აღსანიშნავია, რომ „სამგროშიანი ოპერა“ ბრეჰტის შედარებით ადრეული პიესაა და, გარდა ამისა, იგი დრამატურგის შემოქმედებაში გარდამავალ საფეხურს წარმოადგენდა, სადაც ჯერ კიდევ არ არის სრულად გამოვლენილი „ეპიკური თეატრის“ თავისებურებანი. ამიტომ „სამგროშიანი ოპერა“ თავისი მუსიკით, პიკანტურ-ექსცენტრული სიუჟეტით უახლოვდება მი-

უზიკლს და ბრეჰტი მტკივნეულად განიცდიდა, რომ ისინი, რომელთა წინა-აღმდეგაც იყო მიმართული ეს პიესა, სიამოვნებით უყურებდნენ და უსმენდნენ „სამგროშიან ოპერას“. ქართული „სამგროშიანი ოპერა“ კიდევ უფრო დაუახლოვდა მიუზიკლს და სიძულვილი პიესის პერსონაჟების მიმართ, აღშფოთება მათ გამო, კიდევ უფრო შესუსტდა. უფრო მეტიც, ჩვენი მაყურებლები სიმპათიით განიმსჭვალნენ მეკპითისადმი, რადგან რამაზ ჩხიკვაძე თამაშობდა არა ამაზრზენ, საზარელ ბოროტმოქმედს, არამედ მომხიბლავ, ცოტადემონურ, მოხერხებულ, დარდიმანდ, მრავლისმნახველ და მრავლისგანმცდელ, ქალებისმოყვარულ მამაკაცს, რომელიც თავისი მუდმივი წარმატებულობით და ჩასპანდობით იზიდავდა მაყურებელს.

დასავლეთგერმანული თეატრალური ჟურნალი ამის თაობაზე წერდა: „რამაზ ჩხიკვაძე მეკი მესერის როლში კავკასიური ფოლკლორის ყაჩაღს უფრო ჰგავდა, ვიდრე სოპოს ცინიკურ განგსტერს. იგი მაყურებელზე მომხიბვლელად ზემოქმედებდა; მხიარული იყო და მამაცი, ყველა მის მიერ ჩადენილი სიმდაბლე მხოლოდ მოჩვენებით გათამაშებულ ყალთაბანდობას ჰგავდა. მეძავეები ისე იქცეოდნენ, როგორც წესიერი ოჯახების კეკლუცი ქალიშვილები, რომლებიც შემთხვევით მოხვდნენ დამის ცოტა თავისუფალ წვეულებაზე...“

დასავლეთგერმანული თეატრალური ჟურნალის რეცენზენტის ანალოგიურ შენიშვნაზე დოდო ალექსიძეს უპასუხია (თუკი რეცენზენტი ზუსტად გადმოსცემს რეჟისორის ნათქვამს): „ეს ჩვენი ეროვნული ხასიათითაა განსაზღვრული; ქართველი მაყურებლები შეჩვეულნი არიან რომანტიკულ, ხალხურ, თუნდაც რეალისტურ, მაგრამ უაღრესად ზნეობრივ თეატრს: ქართული თეატრი ვერ იგუებს უწმაწურ ოხუნჯობას, ეროტიულ ქარაგმებს, უხეშ სლენგს“.

დოდო ალექსიძე არ ყოფილა ბრეჰტის პიესის უბრალო „ილუსტრატორი“, მას დრამატული მასალა უცვლელად არ გადმოუტანია სცენაზე, რეჟისორი თავის ჩანაფიქრს უმორჩილებდა როგორც პიესის ტექსტს, ასევე მის კომპოზიციასაც. მაგალითად, მან მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ მსოფლიოში განთქმული სიმღერა ყაჩაღ მეკიზე მის სპექტაკლში თვითონ მეკის ემღერა და არა მეარღნეს, როგორც ბრეჰტის პიესაშია.

რეჟისორმა სპექტაკლში შემოიყვანა სრულიად ახალი პერსონაჟი, სპექტაკლის თავისებური წამყვანი, ავტორის ტექსტისა და რემარკის პერსონიფიკაცია (მსახიობი ოთ. ზაუტაშვილი), რომელიც გროტესკული მანერით მოკლედ აჯამებდა და კომენტარს ურთავდა მოქმედებას, მომხდარსა და მოსახდენს.

ბევრი საინტერესო მიგნება ჰქონდა რამაზ ჩხიკვაძეს მეკი მესერის როლში. განსაკუთრებით ბრწყინვალედ ასრულებდა იგი სცენებს საპატიმროში, გალიაში და გალიის გარეთ: „ორ ცეცხლს“, ორ მეტოქე ქალს შორის მყოფი

(პოლი, „მათხოვრების მეფის“, პიჩემის ქალიშვილი, მსახიობი მ. ლომიძე-პაჭკორია და ლუცი, შერიფ ბრაუნის ქალიშვილი, რომლის როლს ორი მსახიობი ასრულებდა: ლ. ჭავჭავაძე და ჟ. დუგლაძე — აღსანიშნავია, რომ დედანში ბრაუნის ასულს ლუცი ჰქვია და ასე წარმოთქვამენ კიდევ გერმანელები ამ სახელს, ქართულ თარგმანში ლონდონის პოლიციის უფროსის ქალიშვილი ლუსის სახელით მოგვევლინა), რ. ჩხიკვაძე ცდილობს ლავირებას, მოტყუებით, ტკბილი სიტყვით, ერთხელ კი სიმბოლური წყლის შლანგის გამოყენებით მათ დაშოშმინებას... გონებამახვილურია მეკის საპატიმროდან გაპარვის სცენა. ორიგინალური იყო მეკის გამოსვლა სცენის სიღრმიდან, ისე მოდიოდა, ისე ესალმებოდა უდარდელად აქეთ-იქით უხილავ ადამიანებს, თითქოს პრომენადზე იყო გამოსული ბულვარში, ნამდვილად კი საპატიმროში მიჰყავდათ. აქაც და შემდეგაც, სახრჩობელაზე ასვლისას, რ. ჩხიკვაძე — მეკი არხეინად ოხუნჯობს, თითქოს სიტუაციისთვის შეუფერებლად არხეინი და უდარდელია—სწორედ მის მიზართ შეიძლება გამოვიყენოთ ცნობილი გერმანული გამოთქმა: სახრჩობელის იუმორი აქვსო, ე. ი. ძალიან მძიმე მდგომარეობაშიც კი არ კარგავს იუმორის გრძნობას, რადგან ხვდება, ამა ქვეყნის ძლიერნი მას — ყაჩაღსა და მძარცველს — როგორც „სოციალურად ახლობელ ელემენტს“ სასიკვდილოდ არ გაიმეტებენ და საბოლოოდ მართლაც ასე ხდება.

...რ. სტურუამაც ბრეჰტის პიესა უფრო მეტად კომიკურ პლანში წარმართა. უნდა ითქვას, რომ ამის საშუალებას „სამგროშიანი ოპერა“ უფრო მეტად იძლეოდა, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ 1928 წელს ერიკ ენგელის მიერ დადგმული და შემდეგ აღდგენილი „სამგროშიანი ოპერა“ ბრეჰტისდა უნებურად მიუხიკლს უახლოვდებოდა. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მოწიფული ბრეჰტის პიესებს შორის, რომლებშიაც უკვე სრულადაა გამოვლენილი ბრეჰტის დრამატურგიის თავისებურებანი, „კავკასიური ცარცის წრე“ ყველაზე ოპტიმისტური, მხიარული და პარმონიულია.

ბრეჰტი ერთგან ამბობს: „ცხოვრება სერიოზულია, ხელოვნება კი ხალისიანი“. რ. სტურუა თითქოს სიტყვაზე იჭერს „კავკასიური ცარცის წრის“ ავტორს და თავის სპექტაკლს ამ გამონათქვამის მიმართულებით წარმართავს. აქ რამდენიმე გარემოება უნდა გავითვალისწინოთ.

რეჟისორი რ. სტურუა არ არის ბრეჰტის უბრალო „გადამთხრობელი“, მისი პიესის სცენაზე მექანიკურად გადამტანი — იგი დამოუკიდებელი რეჟისორია და მის მიზანს არ შეადგენს დრამატურგის ტექსტის, პიესის სცენური გამეორება, მხოლოდ სცენური რეპროდუცირება.

ქართველი რეჟისორი ბრეჰტის პიესის ახალ, მისეულ, ქართულ ინტერპრეტაციას გვთავაზობს. იგი ბრეჰტის არც ორთოდოქსული, არც ეპიგონური და არც „მუჭეუმური“ ინტერპრეტატორია. უფრო პეტიც, ავტორი რეჟი-

სორს იმპულსს, სტიმულს აძლევს, აღძრავს „შესამოქმედებლად“, მაგრამ ქართველი რეჟისორი, იყენებს რა დრამატურგის ლიტერატურულ მასალას, თავისი გზით მიდის, ბრეჰტს საგრძნობლად შორდება, და ეს სავსებით გამართლებულია, რადგან ბრეჰტის თეატრი არ არის არც მუზეუმი, რომ ყველა „ექსპონატი“ უცვლელად, ხელუხლებლად შევინარჩუნოთ და არც „ეკლესია“, რომ ყველამ ერთნაირად ვწიროთ. ყოველი ჩამდვილი რეჟისორი დრამატურგის თანაავტორი, თანაშემოქმედი. იგი დრამატურგის მასალაზე ქმნის ფაქტიურად ხელოვნების ახალ ნაწარმოებს, რადგან პიესა და სპექტაკლი ორი სხვადასხვა სამყაროა.

რობერტ სტურუა, უპირველეს ყოვლისა, ქართველი რეჟისორია, თავისი გენეტიკური ფესვებით მჭიდროდ დაკავშირებული ქართულ კულტურასთან, ქართულ ხელოვნებასა და თეატრთან, ქართულ ეროვნულ ხასიათსა და მენტალობასთან, ამიტომ, ბუნებრივია, იგი ბრეჰტს ქართულად კითხულობს, „კავკასიურ ცარცის წრეს“ უგუებს ქართულ ტემპერამენტსა და სულისკვეთებას, თუმცა ქართულ ეთნოგრაფიზმს ხარკს არსად უხდის.

რ. სტურუა საკუთარი ხელწერის, დამოუკიდებელი მსოფლმხედველობისა და ესთეტიკური მრწამსის მქონე რეჟისორია, რომელიც ქართული თეატრის ტრადიციებიდან გამოდის არსებითად და ამიტომ, ცხადია, იგი ბრძედ, დოგმატურად ვერ გაჰყვებოდა ბრეჰტის დრამის თეორიასა და მის რეჟისორულ პრაქტიკას. ქართველი რეჟისორი ახდენს ბრეჰტის მასალის ადაპტაციას ქართული ეროვნული ხასიათისა და აგრეთვე საკუთარი რეჟისორული ესთეტიკის მიხედვითაც.

რ. სტურუა ცოტა „ახალისებს“, ცოტა უფრო მეტად „აღიშებს“, აგრაციულებს, აელეგანტურებს ბრეჰტის უსამკაულო, უჩუქურთმო, „ასკეტურ“ თეატრალურ წარმოდგენას. მაგრამ იმის მიუხედავად, რომ ქართული სპექტაკლი უფრო დარდიმანდული, ლამაზი და „შუშუნაა“, ვიდრე ბრეჰტის პიესების მიხედვით თვით ბრეჰტისა და მისი თეატრის რეჟისორების მიერ შექმნილი თეატრალური წარმოდგენები, მაინც რ. სტურუას სპექტაკლს არა აქვს დაკარგული სოციალურ-პოლიტიკური სიმახვილე და გამიზნულობა.

რობერტ სტურუა თავის სპექტაკლს აგებს როგორც ხალხურ-კომედიურ, „ბალაგანურ“-თეატრალურ და საკარნავალო სანახაობას, მასში ჭარბად შეაქვს მიუზიკლის, რევიუს, შოუს ელემენტები. აქ დომინანტა კომედიურ, კომედიანტურ ტენდენციას ენიჭება. ამის გამო პიესის ტრაგიზმი შენიღბული და ზოგან მთლად გამქრალია. ყოველივე ამის შედეგად „კავკასიური ცარცის წრე“ მიახლოებულია „სამგროშიან ოპერასთან“ და საგულისხმოა, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში „კავკასიური ცარცის წრის“ სპექტაკლი მიუზიკლად და „სამგროშიანი ოპერის“ თავისებურ სახესხვაობად თუ ვარიაციად აღიქმეს.

წარმოგიდგინოთ ზოგიერთ ნაწყვეტს იქაური გაზეთების რეცენზიებიდან: „დიუსელდორფში ჩამოიტანეს ბრეჰტი როგორც მიუზიკლი“.

„...ბრეჰტის ცარცის წრე გადაქცეულია ჯაზურ-როკულ მიუზიკლად“.

„სტურუამ ერთმანეთს შეურწყა ფოლკლორი და დასავლური ელემენტები — ეს გამოვლინდა როგორც კოსტიუმებში, ასევე მუსიკაში, ჩართო იმპროვიზაციები, თანამედროვე შოუს ეფექტები და კომედია — დელარტეს გამოსახველობითი საშუალებანი“.

„რანინშე პოსტი“ ჩვენს „კავკასიურ ცარცის წრეს“ „ბობოქარ სამკაპიკიან ოპერას“ უწოდებს, რომელსაც მაყურებელი, ათი წუთის განმავლობაში აღტაცებული უკრავდა ტაშსო. „სამკაპიკიანი ოპერა“ „სამგროშიანი ოპერის“ ანალოგიითაა წარმოდგენილი (ჩვენში გროშის მიახლოებითი ეკვივალენტი ხომ კაპიკია) და ამით მინიშნებულია რ. სტურუას სპექტაკლის თვისებრივი სიახლოვე „სამგროშიან ოპერასთან“. შეიძლება ვედავოთ ქართველ რეჟისორს ბრეჰტის გვიანდელი პიესისათვის ასეთი მანერა, ასეთი სტილი რომ შეურჩევია, მაგრამ რაც რეჟისორს მიზნად დაუსახავს, ის სრულყოფილადაა ხორცშესხმული.

რობერტ სტურუას სპექტაკლი რიტმული, მძაფრად დინამიკურია, რაც ალბათ, უფრო შეეფერება ქართულ ეროვნულ ტემპერამენტს, ქართულ სპექტაკლში არსად არ იგრძნობა მონოტონურობის ხიფათი. ბრეჰტის ერთი ძველი მეგობარი იგონებს — ბრეჰტის ბინის კარზე გაკრული იყო „საშინაო შინაგანაწესი“ ასეთი მინაწერით: სტუმრებს ვთხოვ, დაიცვან ჩვენი შინაგანაწესი; სულ ქვემოთ კი ეწერა: მაგრამ მასპინძელი იმ აზრისაა, რომ წესები მხოლოდ მაშინ ცოცხლობენ, თუკი მათ ზოგჯერ არღვევენო.

იგივე ითქმის, სამართლიანად დასძენს მისი მეგობარი, ბრეჰტის თეატრალურ წესებზეცო.

რობერტ სტურუა თითქოს ბრეჰტის ამ „პოსტსკრიპტუმის“ მიხედვით მოქმედებს თავის რეჟისორულ პრაქტიკაში. იგი ბრეჰტის „კავკასიურ ცარცის წრეს“ დგამს ანტიილუზიურად და ანტიმიმეტურად, მაგრამ ერთგულია თავისი რეჟისორული ინდივიდუალობისა და ქართული თეატრის წიაღიდანაცაა გამოსული, ამიტომ მას ბრეჰტის წესების დარღვევაც უხდება.

ფაქტობ, ბრეჰტის თეატრიც და რ. სტურუას ეს სპექტაკლიც რეჟისორის თეატრისა და სპექტაკლის ნიმუშია. უმთავრესად რეჟისორის დამსახურებას უნდა მიეწეროს, რომ სპექტაკლში მონაწილე მსახიობები ანტიილუზიური, ანტიმიმეტური თეატრის სკოლაგავლილი გეგონებან, ისე სუვერენულად ფლობენ ისინი როლისაგან განზე განდგომის, გვერდიდან ყურების, გაუცხოების, განსასახიერებელი პერსონაჟებისადმი მიმართება — დამოკიდებულების დამყარების, პათეტიკისა და გრძნობამორევის „ჩაქრობის“, „გამაგრებელი“ და შოკისმომგვრელი საშუალებების გამოყენების ხელოვნებას.

მსახიობები მათთვის ჩვეული და დამახასიათებელი გარდასახვის, იდენტიფიცირების, მიმესისის (ემპირიული ცხოვრების, სინამდვილის მიბაძვის) მეთოდით კი არ მუშაობენ, არამედ მიმართავენ თამაშის, თხრობის, ჩვენების მეთოდს. ისინი თამაშობენ ძუნწად, „უსამკაულოდ“, თითქოს განსახიერებულ პერსონაჟებს თვითონვე დასცინიანო; როლებში, პერსონაჟებში არ ითქვიფებიან.

პაროდიულობა, პაროდიულ-ირონიული პლანი და ასპექტი ბოლომდე გასდევს მათ თამაშს; თითქოს საკუთარ თავს უცხო, გარეშე პირის თვალითაც უყურებენ, თითქოს პერსონაჟს კი არ ასახიერებენ, არამედ მასზე მოგვითხრობენ გარეშე დამკვირვებლის პოზიციიდან. ამ სპექტაკლის სცენური მოქმედება და მსახიობების თამაში მაყურებელში არ იწვევს ჩვეულ ესთეტიკურ ზემოქმედებას: მაყურებელს გული არ უჩუყდება, არც უკიდურეს ადრთოვანებას განიცდის, მოქმედებაში არასოდეს ისე არ არის ჩათრეული, რომ სცენაზე ნანახთან დისტანციური დამოკიდებულების დამყარება ვერ მოახერხოს. მსახიობები ემოციებს იწვევენ, მაგრამ არსებითად განსხვავებულ ემოციებს, ვიდრე ტრადიციული თეატრი იწვევდა. ეს არის არა სცენაზე წარმოსახულ ცხოვრებაში თანამონაწილეობის ილუზიით გამოწვეული სიამოვნება, არამედ ესთეტიკური სიამოვნება, რასაც მაყურებელი ღებულლობს ემპირიული სინამდვილის დამრღვევი, ანტიილუზიური „ცივი მხაპებით“, რომელნიც პაროდიულ და ირონიულ პლანში რეალიზდებიან. პერსონაჟი, რომელშიც მსახიობი „ჩასახლდება“, რომელსაც იგი „შთაიგრძნობს“, რომლის სასიათსაც შეერწყმის, რასაკვირველია, მაყურებლისათვის გაცილებით ინტიმური, გულითადი, მიმზიდველი ხდება. ქართველი მაყურებელი ამას შეჩვეული იყო, სხვაგვარად მას ვერ წარმოედგინა და უცვებ რობერტ სტურუამ მაყურებელს შესთავაზა სპექტაკლი, რომელიც თავიდან ბოლომდე სინამდვილის ილუზიის დამრღვევი, ანტიილუზიური საშუალებებითაა აგებული.

მეორე მხრივ, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ სპექტაკლის საერთო მიმართულების, საერთო სტილის შესაბამისად მსახიობთა თამაშმაც კომედიურ-კომედიანტური განხრა მიიღო და მათ შესრულებაში ჭარბად, უფრო მეტად ვიდრე სატირიკული გროტესკი, შეიჭრა შარჟი, ბურლესკი, ბუფონადა, არლეკინადა, რაც აბსოლუტურად არ არღვევს სპექტაკლის საერთო ტონალობას.

ასევე მხოლოდ კომიკურ პლანშია გასხნილი აზდაკის როლი რამაზ ჩხიკვაძის მიერ. შეიძლება ბრეჰტის რომელიმე ერთოდოქსი მიმდევარი არ დაეთანხმოს მსახიობს და რეჟისორს აზდაკის როლის ამგვარი ინტერპრეტაციის გამო, მაგრამ ის, რაც მათ მიზნად დაისახეს, ბოლომდე უზადოდაა განხორციელებული. ჩხიკვაძე — აზდაკის ჭკუამახვილობა და ენამოსწრებუ-

ლობა (ზოგჯერ იმპროვიზაციულიც), მისი ირონია სხვების მიმართ და თვით-
ირონიაც საკარნავალო ფორმირებით ელვარებს სცენაზე.

ბუფონადური მანერით ასრულებს გურამ საღარაძე ეფრეიტორის როლს
(გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთი თეატრმცოდნის აზ-
რით, საღარაძე — ეფრეიტორი მეტისმეტად „სიმპათიურია“), ხოლო ყაზბე-
გისა და ბერის განსახიერებისას იგი სატირიკულ გროტესკს მიმართავს და,
საერთოდ, თავის ამ მსახიობურ „სამსახოვნებაში“ აქტიორული ნიჭის მო-
ულოდნელ შესაძლებლობებსა და წახნაგებს ამჟღავნებს. ყაზბეგი — საღარაძე
ამაზრზენი და საშიშია; საღარაძე — ბერი ცინიკოსია, თუმცა კარგად იცის
საკუთარი თავის ფასი და შეფარული თვითირონიით საკუთარ სიმდაბლეს
ამაღლებას ახერხებს, საღარაძე — ეფრეიტორი თითქოს გარეწარია, მაგრამ
„სიმპათიური“ გარეწარი — მისი გარეწრობისა თითქოს არ გვჯერა და არც
მისი „გვეშინია“. ასევე „სამსახოვნად“ მოგვევლინა კარლო საკანდელიძე ამ
სპექტაკლში: ბოლომდე ამაზრზენი, ადამიანობისაგან დაცლილი, ტიპური
ბრეჰტული პერსონაჟია იგი მერძევე გლეხის როლში: თეატრალურ-ბურლე-
სკული მინიატურის ნამდვილ შედეგს ქმნის იგი ლამზირა ჩხეიძესთან ერ-
თად გაყრის მოსურნე სკლეროტული მოხუცი ცოლ-ქმრის როლში; მეტის-
მეტად გაშარყებულია საკანდელიძისა და რეჟისორის მიერ მტარვალ, სა-
ხიფათო, მრისხანე დიდი მთავრის ჯანდიერის სახე. „ორსახოვანია“ სპექ-
ტაკლში ჯემალ ლაღანიძე: ბრწყინვალეა იგი გრუშეს ძმის, ლავრენტის
როლში. ორიგინალურია და სპექტაკლის საერთო სტილს შეესაბამება ლაღა-
ნიძისეული როლის შესრულების „ქორეოგრაფიული“ მანერა. ერთი მხრივ,
ცოლის ყურმოჭრილი მონა, ცოტა მაზოხისტური მიდრეკილებებით და, მე-
ორე მხრივ, სხვების მიმართ დაუნდობელი „მგელი“, ცოლის გულის მოსაგე-
ბად ღვიძლ დასაც რომ გაიმეტებს გარეთ გასაგდებად. დიდებული რეჟისო-
რულ-მსახიობური მიცნებაა ჯემალ ლაღანიძის მიერ დის ქართული ცეკვის
თანხლებით გათხოვება. ლავრენტის როლის ლაღანიძისეულ შესრულებაში
მე ვხედავ, ერთი მხრივ, ცხადია, კომიკურ პლანში, ქართული პლასტიკურო-
ბის, გრაციოზულობის გამოვლენას, ხოლო, მეორე მხრივ, შეფარულ ირო-
ნიას ჩვენებური კუდაბზიკობის, თავმომწონეობის, ბაქიობის მიმართ.

რაც შეეხება მამამთილის როლს, ის თითქოს იჩრდილება და ხუნდება
ლავრენტის როლთან შედარებით — მე მგონია, ლაღანიძე მამამთილის როლ-
ში ვერ პოულობს ახალ, ორიგინალურ გამომსახველობით საშუალებებს.

მთლიანად რეჟისორისა და მსახიობ უანრი ლოლაშვილის გამოძერწი-
ლია მთხრობელის, წამყვანის სახეც, რაც ბრეჰტის პიესის მომღერლის არ-
კადი ჩეიძის (ჩხეიძის) სრული მეტამორფოზის შედეგს წარმოადგენს. ლოლა-
შვილ-წამყვანს არათუ დისონანსი შეაქვს სპექტაკლში, არამედ თავისებუ-
რად ამთლიანებს, კრავს მოქმედებას და პიესის ორი მთავარი მოტივი —

გრუშესა და აზდაკის მოტივები თითქოს საბოლოოდ მისი მეშვეობით ერწყმიან ერთმანეთს. მოხრობელი იწყებს სპექტაკლს, შემდეგ განუწყვეტლივ ჩართულია სცენურ ქმედებაში, ზოგჯერ გვერდზე გადაება და ობიექტური დამკვირვებლის პოზიციას ირჩევს, და ბოლოს ისევ მოხრობელი ამთავრებს, კრავს სპექტაკლს. ამ როლში ახალი ფერებით აელვარდა უანრი ლოლაშვილის თვითმყოფადი ნიჭი.

ლამაზი, მაცდუნებელი, მაგრამ დემონური, გამპირი ქალია მარინე თბილელი ნათელა აბაშვილის როლში. მ. თბილელის დამოკიდებულება აბაშვილისადმი მუდამ კრიტიკულია, დისტანციური, პაროდული. მსახიობი ჩვენ თვალწინ ამხელს უსულგულო მშობელ დედას, რომლისთვისაც შვილი საშუალებაა და არა მიზანი, თავისებური „საქონელი“, სასარგებლო, მომგებელი ნივთია და არა ღვიძლი ცოცხალი არსება, საკუთარი სისხლი და ხორცი. მარინე თბილელმა ამ როლით მკაფიო სტრიქონები ჩაწერა ქართულ ბრეჰტიანაში.

ტიპური ბრეჰტული პერსონაჟია ლეილა ძიგრაშვილის მიერ განსახიერებული იოსების დედა — იგი „პლებეურ“ დონეზე იმეორებს ნათელა აბაშვილის მოტივს: მისთვისაც შვილი საქონელია, ყიდვა-გაყიდვის, ვაჭრობის ობიექტი. ძიგრაშვილის განსახიერების მანერაში ბურლესკს ჭარბობს სატირიკული გროტესკი. დედა — ძიგრაშვილი იმდენად ამაზრზენია, რომ კომიკურ ეფექტს არ იწვევს, მაყურებელს არ ეცინება მასზე.

იზა გიგოშვილის გრუშე ვაჩნაძე (დედნის მიხედვით ვახნაძე) ბოლოსათვის იმიტომ შემოვიანახეთ, რომ მას პიესასა და სპექტაკლშიც თვისებრივად განსხვავებული, განსაკუთრებული ფუნქცია აკისრია: ის არის ამ სულიერად მახინჯი, უკეთური ადამიანების „პანდემონიუმში“, „ავსულთა“ ამ სამყოფელში თითქმის ერთადერთი ნათელი ფიგურა, ნათელი ადამიანი.

გიგოშვილის გრუშეს შემოაქვს „ჯოჯოსეთში“ სინათლე, ჰაეროვნება, სიწმინდე, პოეტურობა, ლირიკულობა, გულითადობა — ის თითქოს თავის გარშემო წმენდს ხოლმე არაადამიანობით, ვერაგობით, ბოროტებით დამძიმებულ ატმოსფეროს. მას თითქოს ოდნავადაც არ ეკარება ცხოვრების ჭუჭყი და სიმდაბლე.

ერთმა გერმანელმა თეატრმცოდნემ, რომელსაც გრუშეს როლის პირველი შემსრულებელიც ენახა, აღნიშნა, რომ ანგელოკა პურვიცი უფრო მოწიფულ ქალს, დედას, დარბაისელ მატრონას თამაშობდა, ხოლო იზას გრუშე გაცილებით ჰაეროვანია, პოეტური, ქალწულებრივი და ლირიკული.

ჩემი აზრით, ბრწყინვალეა გოგი მესხიშვილის მხატვრობა. ძუნწი, აბსტრაქტული, პირობითი, დიდი ტაქტიკითა და გემოვნებით შესრულებული, მთლიანად თავისუფალი ეთნოგრაფიზმისაგან. უნდა ვაღიარო, რომ რ. სტურუას „კავკასიური ცარცის წრის“ აღქმის პირველ ეტაპზე ბრეჰტის ორთო-

დოქსი მიმდევრის პოზიციაზე ვიდექი და სპექტაკლისათვის შეუფერებლად მივიჩნევდი გ. ყანჩელის მუსიკასა და ი. ზარეცკის ქორეოგრაფიას (იხ. „ცისკარი“, № 11, 1976). თანდათან ემოციურად აღვიქვი და დავრწმუნდი, რომ რ. სტურუასეულ ინტერპრეტაციას სწორედ ასეთი მუსიკა და ქორეოგრაფია შეესაბამებოდა — პაულ დესაუს დისონანსებისა და გროტესკულობის შემცველი მუსიკა შეუფერებელი აღმოჩნდებოდა უპირატესად კომიკური განხრისა და მიუზიკლს მიახლოებული სპექტაკლისათვის.

რ. სტურუას სპექტაკლი ერთ მთლიანობას წარმოადგენს — იგი უნდა მივიღოთ ისეთი, როგორიც არის, ერთი კომპონენტის ამოღება ან შეცვლა მთელის დაშლას გამოიწვევდა.

დღეს უკვე ველარავინ უარყოფს იმ ფაქტს, რომ რობერტ სტურუას ეს სპექტაკლი ქართული თეატრის ისტორიაში ახალი ეტაპის, ახალი სტადიის დაწყებას მოასწავებს.

ქართველი რეჟისორის დიდი გამარჯვებას, რომ მან ახალ თეატრს მრავალი მაცურებელი შესძინა, რომ მან მთელი თავისი რეჟისორული შემოქმედებით ახალი მაცურებელი აღზარდა. ისიც უნდა ითქვას, რომ ქართულ თეატრში ანალოგიური ცდები მანამდეც იყო, მაგრამ ყველაფერი ეს ცალკეული ელემენტებისა და ტენდენციების დონეზე დარჩა, მათ დასრულებული სახე ვერ მიიღეს და ახალ თვისებრიობაში, ახალ ხარისხში ვერ გადავიდნენ. სოც შემთხვევაში ეს იყო მოდისადმი მხოლოდ ხარკის გაღება, ახალ გამოშსახველობით საშუალებათა თვითმიზნური, სნობისტური გამოყენება, რაც არ გამოძინარეობდა თვით დრამატურგიული მასალის შინაარსიდან.

სწორედ რობერტ სტურუას შემოქმედებაში სრულიქმნა, ჩამოყალიბდა და დავვირგვინდა, ცხადია, ქართულ ნიადაგზე, ახალი თეატრალური მსოფლმხედველობა და მეთოდი. „კავკასიური ცარცის წრის“ სპექტაკლში ჩვენ უკვე თვისებრივი ნახტომის მოწმენი გავხდით.

... წინამდებარე კრებულში მოთავსებული ორივე პიესის თარგმანი ჯორჯანელებს ეკუთვნით. უნდა ითქვას, რომ საქართველოში სრულებით არ ყოფილა ბრეჰტისეული ტექსტების (რომლებიც სავსეა ვულგარიზმებით, სლენგით, არგოტიზმებით, უწმაწური გამოთქმებით) თარგმანის ტრადიცია. ჯორჯანელებმა მშვენივრად გაართვეს თავი ამ არცთუ ადვილ ამოცანას: მათ შექმნეს ბრეჰტის ტექსტების ადეკვატური თარგმანები, რომლებშიც ორიგინალის სურნელიცაა შენარჩუნებული და მიღწეულია ბუნებრივი ქართული ჟღერადობაც. ამ სპექტაკლების წარმატება მნიშვნელოვნად განაპირობა კარგმა თარგმანმა.

ნოდარ კაკაბაძე



სამკრთობიანი

კვება

მთქმელი პირები

მაკკითი, მეტსახელად მეკი-დანა.

ჯონათან ჯერემია პიჩემი, ფირმა „გლახის მეგობრის“ მფლობელი.

ცელია პიჩემი, მისი ცოლი.

პოლი პიჩემი, მისი ქალიშვილი.

ბრაუნო, ლონდონის პოლიტიის შეფი.

ლუსი, მისი ქალიშვილი.

ნაპირალა ჯენი.

სმითი.

მოქალაქი კიმბლი.

ფილნი.

მოხეტიალე მომღერალი

ბიშელეზი.

მათხოვრები.

კასპეზი.

კონსტებლები.

პ რ ო ლ ო გ ი

მეკი-დანას საზარელი რომანსი. ბ ა ზ რ თ ბ ა ს თ ჰ თ შ ი. მ ა თ ხ თ ვ რ ე-
ბ ი მ ა თ ხ თ ვ რ თ ბ ე ნ , ქ უ რ დ ე ბ ი ქ უ რ დ თ ბ ე ნ , კ ა ხ პ ე ბ ი კ ა ხ პ თ ბ ე ნ და
მ თ ხ ე ტ ი ა ლ ე მ თ მ დ ე რ ა ლ ი მ დ ე რ ი ს :

თუ ზვიგენის კბილებს ყველა
ხედავთ თქვენი თვალითა,
მეკი-დანას ვერ იხილავთ
ხელში თავის დანითა.

თუ სისხლს დაღვრის, ლაყუჩები
ზვიგენს სისხლით ესვრება;
მეკის ხელზე სისხლის კვალის
ნახვას ვინ მოესწრება.

წელს სიკვდილმა ტემზის პირას
ბევრს რომ ხელი დარია,
რისი ჭირი, რის ქოლერა,
მხოლოდ მეკის ბრალია.

თუ კვირა დღეს სტრენდზე კაცის
გვამს იხილავთ, იცოდეთ,
ბნელ შუკაში მეკი დაძრწის,
ვინც არავის იცოდებს.

მაიერ შშული დაიკარგა,
მის კვალს გაჰყვა მრავალი.
მეკი-დანამ იცის მათი
ასავალ-დასავალი.

მარჯვნიდან მარცხნივ სცენაზე სეირნობით ჩაივლის პიჩემი მეულ-
ლე სა და ქალიშვილთან ერთად.

ჯენი ტაულერი ნახეს
მუცელგამოფატრული.
სტრენდზე მეკი ატუზულა
ტემზის ჭვრეტით გართული.

სად გაქრა ალფონს გლაიტი,
ვინ გაიგებს ამასა?
მეკიმ იცის, მაგრამ აბა,
ჰკითხეთ მეკი-დანასა!

სოპოში რომ ხანძრისაგან
შვიდი ბავშვი დაიწვა,
მეკი იქვე სეირნობდა,
განა სადმე გაიქცა.

ახალგაზრდა ქვრივსაც ღამით
შეუმტვრია კარები;
ნუთუ პასუხს არ აგებენ
ქვეყნად მეკისთანები?!

კახკები იცინიან, მათ გამოეყოფა კაცი, რომელიც სწრაფად გადასე-
რავს მთელ მოედანს და გადის.

ნაძირალა ჯენი. მეკი-დანა იყო!

პირველი მოქმედება

I

ადამიანთა მზარდი გულქვაობისათვის რომ გაერთმია თავი, საქმის კაცმა ჯ. პიჩემმა ატელიე გასსნა, სადაც უბედურთა შორის ყველაზე უბედურნი ისეთ გარეგნობას იძენდნენ, რომელსაც სულ უფრო და უფრო გაავებული გულების მოღობაც კი შეეძლო.

ჯონათან ჯერემია პიჩემის გლახაკთა გარდერობი
პიჩემის სადილაო ქორალი

გაიღვიძე, ცოდვის შვილო!
ბნელ საქმეებს მიჰყე ხელი,
შე ჯიბიდან გაგარდნილო,
ფიქრობ შეგრჩეს ყველაფერი?

ძმა გაყიდე, ცოლსაც ყიდი;
არ შეგრჩება შენ ეს დიდხანს.
სულ არა გაქვს იმის რიდი,
ვინც ზეცაში განგიკითხავს.

პიჩემი (დამსწრე საზოგადოებას მიმართავს). რამე ახალი უნდა ვი-
ლონო. მეტიხმეტად ძნელ საქმეს კი მოვიკიდე ხელი, რადგან ჩემი ხელობა
ადამიანური თანაგრძნობის გაღვიძება გახლავთ. ცოტა რამ მოიძევა ისეთი,
დიახ, ცოტა რამ, რაც ადამიანს თავზარსა სცემს, მაგრამ უბედურება ის არის,
რომ თუ ხშირად გამოიყენე, უკვე აღარ მოქმედებს. ადამიანს რაღაც საში-
ნელი უნარი აქვს, როცა კი მოეპრიანება, უგრძობელი გახდეს. ამიტომ
ასეც ხდება ხოლმე, როდესაც გამვლელი პირველად დაინახავს ქუჩის კუთხე-
ში ატუზულ უხელო მათხოვარს, შეშინებული მზად არის ათიოდე პენი აჩუ-
ქოს, მაგრამ მეორეჯერ მართო ხუთსდა იმეტებს, ხოლო თუ მესამეჯერაც
გადაეყარა, უკვე პოლიციას ეძახის გულარხინად. ასევე ცვდება დამხმარე
სულიერი საშუალებებიც. (ცხაურიდან დიდი დაფა ეშვება წარწერით: „გა-
ცემა გერჩიოს აღებას“.) აბა, რა ყრია თვით ყველაზე მშვენიერ და ყველაზე
გამსჭვალავ აფორიზმებშიც კი, თუნდაც დახატო ისინი თვალწარმტაც და-
ფებზე, თუკი ასე სწრაფად გაცვდებიან. ბიბლიაში ოთხი, ჰა, ხუთი თქმა თუ
მოიძებნება, რომელიც გულს უჩუყებს ადამიანს და როგორც კი მათ დახარ-
ჯავ, პირწმინდად ულუკმაპუროდ რჩები. აი თუნდაც ლოზუნგი: „გაეცი და
მოგეცემა“ — სამი კვირაც არ ეკიდა, რომ დაძველდა. და სხვა რა ძალა გაქვს,

ისევე ახალი უნდა მოიგონო. ისევე ბიბლია უნდა მოიმარჯვო, მაგრამ ისიც როდემდე გეყოფა?

ვილაც აკაკუნებს, პირემი ალებს კარს და შემოდის ყმაწვილი კაცი, სახელად ფილიპი.

ფილიპი. „პირემი და კომპანიაა?“

პირემი. პირემი გახლავართ.

ფილიპი. მაშ, ეს თქვენა ხართ ფირმა „გლახის მეგობრის“ მფლობელი? თქვენთან გამომგზავნეს. ვაჰ, ლოზუნგები! ეს მართლაც კაპიტალია! ალბათ მთელი ბიბლიოთეკა გაქვთ ამნაირი რაღაცეებისა? ეს უკვე სულ სხვა საქმეა. ჩვენ კი — აბა, სად ჩვენი ძმა და სად იდეები. განათლება არა გვაქვს და საქმეს როგორ დავაყენებთ?

პირემი. თქვენი სახელი?

ფილიპი. იცით, ბატონო პირემ, სიყრმიდანვე ბედი არა მწყალობდა. დედაჩემს გადაყლურწვა უყვარდა, მამა მოთამაშე იყო. პატარაობიდანვე ბედის ანაბარად მიმაგდეს და დედის მოყვარულ ხელს მოკლებული სულ უფრო და უფრო ვეფლობოდი დიდი ქალაქის ჭაობში. მამის მზრუნველობა ან ოჯახური მყუდროება არ განმიცდია. და აი, ახლა თქვენ წინაშე ვარ.

პირემი. მერედა, ვინ არის ჩემ წინაშე?...

ფილიპი (აბნეულად). ...საარსებო წყაროს მოკლებული, საკუთარ ვნებათა მსხვერპლი.

პირემი. ღია ზღვაში მოტივტივე დამსხვრეული ხომალდის ნამუსრევი და ასე შემდეგ. ერთი მითხარით, ნამუსრევო, რომელ რაიონში ჰყვებით ხოლმე ამ ბაღღურ აბდაუბდას?

ფილიპი. არ მესმის, ბატონო პირემ?

პირემი. ამას ხომ საჯაროდ ჰყვებით ხოლმე?

ფილიპი. დიას, იცით, ბატონო პირემ, სწორედ გუშინ ერთი პატარა უსიამოვნო ინციდენტი შეემთხვა ჰაილენდ-სტრიტზე. ჩემთვის წყნარად და საცოდავად ვდგავარ კუთხეში, ქუდი მათქვს გაშვერილი და ავს არაფერს მოველი...

პირემი (უბის წიგნაკს ფურცლავს). ჰაილენდ-სტრიტზე. ჰო, ჰო, სწორია. ესე იგი შენ ის ჯეელი ხარ, გუშინ პონიმ და სემმა რო ჩაავლეს. მაშ, თავხედობა გყოფნის მეთაე რაიონში გამვლელ-გამომვლელთ თავი მოაბეზრო? ამჯერად გვერდების დაზელვა გაკმარეთ, რადგან მივიჩნიეთ, რომ უცოდინანრობით მოგივიდა, მაგრამ მეორედ თუ მოგასწარით, ოთხში ამოგიღებთ, გესმის?

ფილიპი. მესმის, ბატონო პირემ, მესმის, მაგრამ აბა, რა უნდა ვქნა, ბატონო პირემ? იმ ბატონებმა მართლაც ისე მიმბრიგეს, რომ სულ დაღურ-

ჯებული ვარ და მერე თქვენი სადარბაზო ბარათი მომაჩერეს. აი, კურტაკი რომ გავიხადო, ტალებიანი ქარიყლაპია გეგონებით.

პ ი ჩ ე მ ი. ეჰ, ჩემო კარგო, რახან სვია თევზს არ დამსგავსებინარ, ეტყობა, ჩემი ბიჭები უნდილად გაისარჯნენ. ამ ცინგლიანს ჰგონია, რომ საკმარისია, თათი გაიშვიროს და სათოსლავი უკვე ექნება. რას იტყობდი, შენს გუბურაში საუკეთესო კალმასები სხვას რომ დაეჭირა?

ფ ი ლ ჩ ი. აბა, გუბურა მე ვინ მომაშავა, ბატონო პიჩემ.

პ ი ჩ ე მ ი. ჰოდა, ლიცენზიებს მხოლოდ პროფესიონალებს ვაძლევთ. (საქმიანი გამომეტყველებით უჩვენებს ქალაქის გეგმას.) ლონდონი თხუთმეტ რაიონად გვაქვს დაყოფილი და ყველამ, ვისაც კი ერთ-ერთ მათგანში მათსოვრობა სურს, უნდა ჯონათან ჯერემია პიჩემისა და კომპანიისაგან მიიღოს ლიცენზია, თორემ ისე ყველა მოინდომებდა „საკუთარ ვნებათა მსხვერპლად“ გახდომას.

ფ ი ლ ჩ ი. ბატონო პიჩემ, რამდენიმე შილინგილა დამრჩენია სრულ გაკოტრებამდე. უნდა რამე მიშველოთ. აი, ორი შილინგით ხელში...

პ ი ჩ ე მ ი. ოცი შილინგი.

ფ ი ლ ჩ ი. ბატონო პიჩემ! (მუდარით მიუთითებს პლაკატზე, რომელზედაც წერია: „ყურად იღე სხვისი სიდუხჭირე“. პიჩემი მიუთითებს ვიტრინებიანი სტენდის წინ დაკიდებულ ფარდაზე, რომელზედაც წერია: „გაეცი და მოგეცემა“.) ათი შილინგი.

პ ი ჩ ე მ ი. და შემოსავლის ორმოცდაათი პროცენტი ყოველ კვირა, აღჭურვილობით კი სამოცდაათი პროცენტი.

ფ ი ლ ჩ ი. ეს აღჭურვილობა რაღაა, გეთაყვათ? როგორია?

პ ი ჩ ე მ ი. ამას ფირმა ადგენს.

ფ ი ლ ჩ ი. რომელ რაიონში შეიძლება შევუდგე მუშაობას?

პ ი ჩ ე მ ი. ბეიკერ-სტრიტი, 2-104. იქ უფრო იაფადაც გამოხვალთ. მხოლოდ ორმოცდაათი პროცენტი დაგიჯდებათ მომარაგებიანად.

ფ ი ლ ჩ ი. ყაბულსა ვარ. (ფულს აძლევს.)

პ ი ჩ ე მ ი. თქვენი სახელი?

ფ ი ლ ჩ ი. ჩარლზ ფილჩი.

პ ი ჩ ე მ ი. სწორია. (გასძახებს.) ქალბატონო პიჩემ!

შემოდის ქ ა ლ ბ ა ტ ო ნ ი პ ი ჩ ე მ ი.

ეს ფილჩია. სამასთოთხმეტი ნომერი. ბეიკერ-სტრიტის რაიონი. მე თვითონ გავატარებ რეგისტრაციაში. ბუნებრივია, რომ სწორედ ახლა, დედოფლის კურთხევის ცერემონიალის წინ გინდათ საქმეს შეუდგეთ: ადამიანს სიცოცხლეში ერთხელ ეძლევა ასეთი შემთხვევა, როდესაც მართლაც შეიძლება ცოტაოდენი თანხა გაიკრა. აღჭურვილობა C (გადასწევს ტილოს ფარდას და

ვიტრინებიანი სტენდი გამოჩნდება, რომელშიაც სანთლის ხუთი ფიგურა დგას.)

ფილიპი. ეს რა არის?

პიერი. ეს გახლავთ სიმახინჯის ხუთი ძირითადი ტიპი, რომელთაც შეუძლიათ ადამიანს გული აუჩუყონ, მათ დანახვაზე ადამიანს ის არაბუნებრივი განწყობილება ეუფლება, როდესაც თანახმაა ფული გაიღოს.

აღჭურვილობა A. ტრანსპორტის განვითარების მსხვერპლი. მხიარული ხეივანი. (ბაძავს.) მარად მხნე, მარად უდარდელი. შთაბეჭდილებას აძლიერებს მოჭრილი მკლავი.

აღჭურვილობა B. ომის მსხვერპლი. განუწყვეტელი ცახცახი კონტუზიის შედეგად. თავს აბეზრებს გამვლელებს. მუშაობს ამაზრზენი გრძნობის გამოწვევაზე. (ბაძავს.) რასაც საპატიო ჯილდოთა ნიშნები არბილებს.

აღჭურვილობა C. მრეწველობის განვითარების მსხვერპლი. საწყალი. უსინათლო ანუ მათხოვრობის უმაღლესი სკოლა. (ბაძავს მანეკენს და პირდაპირ ფილჩისაკენ მიაბობტებს ტორტმანით, ისაა უნდა დაეჯახოს, რომ ეს უკანასკნელი შეძრწუნებული შეჰყვირებს. პიერი უმაღვე ჩერდება. გაკვირვებული აცქერდება ფილჩს და უეცრად აღმოსდება.) სიბრაღის გრძნობა აქვს! მთელი სიცოცხლე რომ ეცადოთ, თქვენგან გლახკვერ გამოვა! სულ ბევრი, გამვლელად თუ ივარგებთ! მაშ ასე.

აღჭურვილობა D. ცელია, ისევ დაგიღევია! თვალებიდან ველარ იხედები. ასოცდათექვსმეტი ნომერი თავის კლიფტს * უჩივის. რამდენჯერ გითხარი, ჯენტლმენი ჭუჭყიან ტანისამოსს ვერ იტანს-მეთქი. მან ახალი კოსტიუმი შეგვიკვეთა და ფულიც გადაიხადა, მაგრამ ასეთი კოსტიუმი დალაქავებული მაინც უნდა იყოს, რომ ვისიმე თანაგრძნობა გამოიწვიოს. ზედ სტეარინის სანთელი უნდა გაგეთხიპნა ცხელი უთოთი, მაგრამ არაფერზე არ ფიქრობ! ყველაფრის გაკეთება მე მიხდება! (ფილჩს.) გაისადე და აი, ეს ჩაიცვი, ოღონდ, იცოდე, გაუფრთხილდი!

ფილიპი. ჩემს ავლადიდებას რაღა მოუვა?

პიერი. ფირმის საკუთრება გახდება.

აღჭურვილობა E. ყმაწვილი კაცი, რომელსაც უკეთესი დღეები უნახავს, ან თუ გნებავთ, რომელსაც მშობლიური კერის სითბო არ განუცდია.

ფილიპი. ბიჭოს, მაშ ამასაც იყენებთ? რატომ არ შეიძლება, რომ მეც ეგ ავირჩიო?

პიერი. იმიტომ, შეილოსა, რომ არავის არ სჯერა, როდესაც საკუთარ გასაჭირს ჰყვები. თუ მუცლის გვრემა გაქვს და სულ ამას გაიძახა, ამით

* „გიმელის ენაზე“ პიჯაკს ნიშნავს.

ყველას თავს მოაბეზრებ მხოლოდ. საერთოდ კი, ისა სჯობია, კითხვებს თავი დაანებო და ამ ძონძებში გამოეწყო.

ფილჩი. ცოტა არ იყოს, ჭუჭყიანი ჩანს. (პიჩემი თვალს თვალში გაუყრის.) მაპატიეთ, გეთაყვათ, მაპატიეთ.

ქალბატონი პიჩემი. აბა, ცოტა მარდად მოიქეცი, ყმაწვილო, შობა-ახალწლამდე ხომ არ მეჭირება შენი შარვალი.

ფილჩი (ერთბაშად, გაცხარებით). აი, ფეხსაცმელებს კი არ გავიხდი! არავითარ შემთხვევაში არ გავიხდი! მირჩევნია სულ უარი ვთქვა. საბრალო დედაჩემის ერთადერთი საჩუქარია და არასოდეს, არაფრის გულისხათვის... ჯერ კიდევ ასე არ დავცემულვარ...

ქალბატონი პიჩემი. რეებს ჩმახავ, მე ხომ ვიცი, ჭუჭყიანი ფეხები გაქვს.

ფილჩი. სად უნდა დავიბანო ამ შუა ზამთარში?

(ქალბატონ პიჩემს თეჯირის უკან მიჰყავს ფილჩი, შემდეგ სცენის მარცხენა ნაწილში ჯდება და უთოთი სტეარინის სანთელს ათხიპნის კოსტიუმის გულისპირს.)

პიჩემი. შენი ქალიშვილი სად არის?

ქალბატონი პიჩემი. პოლი? მაღლა.

პიჩემი. ის კაცი გუშინაც იყო? მაშინვე აქ გაჩნდება ხოლმე, როგორც კი სახლიდან გავალ!

ქალბატონი პიჩემი. რა ეჭვიანი ხარ, ჯონათან, იმაზე უფრო ზრდილი ჯენტლმენი არ მეგულება. ბატონ კეპტენს გულში ჩაუვარდა ჩვენი პოლი.

პიჩემი. არა, მართლა?!

ქალბატონი პიჩემი. და თუ თუნდაც ათიოდე პენის რამე გამეგება, პოლისაც ძალიან მოსწონს.

პიჩემი. ცელია, ისე აფუქსავატებ შენს ქალიშვილს, თითქოს მილიონერი ვიყო! იქნებ გინდა გაათხოვო. ხომ არა გგონია, ჩვენი ჯაბახანა დუქანი ერთ კვირას მაინც გაძლებს, ლაწირაკ აგენტებს მარტო ჩვენი ფეხები-და რომ შერჩეთ საყურებლად? ჰმ, სიძე! მაშინვე ბრჭყალებს გაგვიყრის! სწორედ რომ გაგვიყრის! იქნებ ფიქრობ, რომ ლოგინში შენს ქალიშვილს შენზე მოკლე ენა ექნება?

ქალბატონი პიჩემი. საუცხოო წარმოდგენა კი გქონია შენს ქალიშვილზე!

პიჩემი. ცუდზე უცუდესი. უარესი რომ აღარ შეიძლება. ცარიელი გრძნობაა და სხვა არაფერი!

ქალბატონი პიჩემი. ყოველ შემთხვევაში, შენ არა გგავს ამაში.

პ ი ჩ ე მ ი. მაშ, გავათხოვოთ, არა?! ჩემი ქალიშვილი ჩემთვის ის უნდა იყოს, რაც პურია მშიერისათვის. (ბიბლიას ფურცლავს.) ეს ბიბლიაშიც კი წერია სადღაც. გათხოვება კი საერთოდ დიდი ღონისძიებაა. გაგიხარია, მე იმას გადავაფიქრებინო.

ქ ა ლ ბ ა ტ ო ნ ი პ ი ჩ ე მ ი. ჯონათან, რა გაუნათლებელი ხარ!

პ ი ჩ ე მ ი. გაუნათლებელიო. რა ჰქვია იმ ვაჟბატონს?

ქ ა ლ ბ ა ტ ო ნ ი პ ი ჩ ე მ ი. ყველა კეპტენს ეძახის.

პ ი ჩ ე მ ი. ნუთუ ერთხელ მაინც ნამდვილი სახელი არა ჰკითხეთ? საინტერესო ამბავია!

ქ ა ლ ბ ა ტ ო ნ ი პ ი ჩ ე მ ი. გაგრიები ხომ არა ვართ, რომ დაბადების მოწმობაც მოვთხოვოთ, თუკი გამოსული ადამიანი ჩანს და ორივეს ოტელ „მელანთევზში“ გვეპატიჟება შინაურულ საცეკვაო სადამოზე.

პ ი ჩ ე მ ი. სადა?

ქ ა ლ ბ ა ტ ო ნ ი პ ი ჩ ე მ ი. „მელანთევზში“, შინაურულ საცეკვაო სადამოზე.

პ ი ჩ ე მ ი. კეპტენი? ოტელი „მელანთევზი“? მაშ ასე...

ქ ა ლ ბ ა ტ ო ნ ი პ ი ჩ ე მ ი. ბატონი კეპტენი არც ჩემს ქალიშვილს და არც მე სხვაფრივ არ მოგგვარებია, თუ არა ლაიკის ხელთათმანებით.

პ ი ჩ ე მ ი. ლაიკის ხელთათმანები!

ქ ა ლ ბ ა ტ ო ნ ი პ ი ჩ ე მ ი. სხვათა შორის, მართლაც მუდამ ხელთათმანები აცვია. სახელდობრ, თეთრები. თეთრი ლაიკის ხელთათმანები.

პ ი ჩ ე მ ი. მაშ ასე, თეთრი ხელთათმანები და სპილოს ძვლის ბუნიკიანი ხელჯოხი, გამაშები, ლაქის ფეხსაცმელი, მომნუსხავი ხასიათი და ნაჭრილობები...

ქ ა ლ ბ ა ტ ო ნ ი პ ი ჩ ე მ ი. ყელზე. შენ საიდან იცნობ?

ფ ი ლ ჩ ი გამოდის თეჯირიდან.

ფ ი ლ ჩ ი. ბატონო პიჩემ, არ შეიძლება მეც რომელიმე ტიპი შემირჩიოთ? იმთავითვე სისტემის მომხრე ვიყავი. არ მიყვარს, შემთხვევით რაღაცეებს რომ არატუნებენ ხოლმე.

ქ ა ლ ბ ა ტ ო ნ ი პ ი ჩ ე მ ი. ერთი უყურეთ, სისტემა მომინდომა!

პ ი ჩ ე მ ი. იდიოტის როლში ივარგებს. დღეს სადამოს მოდი ექვს საათზე და ყველაფერი, რაც საჭიროა, მზად დაგხვდება. ახლა კი მოუსვი!

ფ ი ლ ჩ ი. დიდად გმადლობთ, ბატონო პიჩემ, ურიცხვი მადლობა. (გადის.)

პ ი ჩ ე მ ი. ორმოცდაათი პროცენტი! ხოლო ახლა კი გეტყვი, ვინც არის ის ხელთათმანებიანი ბატონი — მეკი-დანა გახლავს.

პოლის საძილე ოთახისკენ მიმავალ კიბეზე აირბენს.

ქალბატონი პიჩემი. ღმერთო ჩემო! მეკი-დანა! ო, იესო! მოდი, გვეწვიე და მოგვფინე მაღლი შენი! — პოლი! რა დაემართა პოლის?

პიჩემი ნელა ბრუნდება უკან.

პიჩემი. პოლი? პოლი შინ არ დაბრუნებულა. ლოგინი ხელუხლებელია.

ქალბატონი პიჩემი. ალბათ შალეულის ვაჭართან ერთად ივასშმა. უთუოდ ასეა, ჯონათან!

პიჩემი. ღმერთმა ქნას, რომ მართლაც შალეულის ვაჭართან იყოს!

ბატონი და ქალბატონი პიჩემი ავანსცენაზე გამოდიან და მღერიან. „სასიმღერო“ განათება — ოქროსფერი შუქი. ორგანო სინათლის რკალშია. ზევიდან ლატანზე დამაგრებული სამი ნათურა ეშვება, დაფებს აწერია: სიმღერა „იმის ნაცვლად“

1

პიჩემი.

იმის ნაცვლად,
რომ შინ ისხდნენ დამღამობით ჩვენი ქალიშვილები,
რა ქნას კაცმა,
დროსტარებას მთითხოვენ სიყვარულის საღერღელაშლილები.

ქალბატონი პიჩემი.

სოპოს მთვარის შუქი ადგას ოქროსფერი,
ისმის ფიცი: „მხოლოდ შენთვის ძგერს ეს გული!“
„მე შენი ვარ, ჩემო ჯონი, მხოლოდ შენი!“
და ღამეში იბადება სიყვარული.

2

პიჩემი.

იმის ნაცვლად,
რომ ისხდნენ და გააკეთონ სახლში რამე,
რა ქნას კაცმა,
დიდ წუმბეში ეფლობიან ყოველ ღამე.

ო რ ი გ ე ნ ი ე რ თ ა დ.

სოპო ღამის უკუნშია ჩაძირული,
აღარ ისმის ვნებიანი ჯონის ფიცი;
წუმპეშია ამოსვრილი სიყვარული,
ღამღამობით ხეტიალმა ასე იცის.

II

სოპოს ჯურღმულში ყაჩაღი მეკი-დანა ქორწილს ისდის პოლი პიჩემთან,
გლახაკთა მეფის ქალიშვილთან.

ც ა რ ი ე ლ ი ს ა ჯ ი ნ ი ბ თ

მ ა თ ი ა ს ი (მეტსახელად „მათიას-მანეთიანი“; ანათებს საჯინიბოს,
სელში რევოლვერი აქვს მომარჯვებული). აბა, ხელები მაღლა, თუ ვინმე
ხარ!

მ ა კ ჭ ი თ ი შემოდის და რამპის გასწვრივ ჩაივლის.

მ ე კ ი. არის ვინმე?

მ ა თ ი ა ს ი. ძე-ხორციელი არა ჭაჭანებს! აქ არხეინად შეგვიძლია ქორ-
წილი გადავიხადოთ.

პ ო ლ ი (საქორწინო კაბაში მორთული შემოდის). კი, მაგრამ ეს ხომ სა-
ჯინიბოა!

მ ე კ ი. ჯერჯერობით ბაგაზე ჩამოჯექი, პოლი. (დამსწრე საზოგადო-
ებას.) ამ საჯინიბოში დღეს შედგება ჩემი ქორწილი მის პოლი პიჩემთან, რო-
მელიც სიყვარულით გამომყვა და მზადაა ჩემი სიცოცხლის სიამტკბილობა
ბოლომდე გაიზიაროს.

მ ა თ ი ა ს ი. ბევრნი იტყვიან ლონდონში, რომ ეს ყველაზე კადნიერი
რამ იყო, რაც კი აქამდე ჩაგიდენია — პიჩემის დედისერთა ქალიშვილის გა-
ტყუება მისი სახლიდან.

მ ე კ ი. ბატონი პიჩემი ვინლაა?

მ ა თ ი ა ს ი. თითონ მას რომ ჰკითხო, ყველაზე დატაკი კაცია ლონ-
დონში.

პ ო ლ ი. კი, მაგრამ აქ გინდა ქორწილი გადავიხადოთ? ეს ხომ სრული-
ად ჩვეულებრივი საჯინიბოა. აქ როგორ გინდა ბატონი მოძღვარი მოიყვანო,
თან ჩვენიც არ არის. ახალი ცხოვრება სხვის სადგომში შეჭრით არ უნდა
დაგვეწყოს. მეკი! დღეს ხომ ჩვენი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი დღეა.

მ ე კ ი. ჩემო სულიკო, ყველაფერი ისე იქნება, როგორც შენა გსურს.
ფესს არ დაგაკარებინებ ამ ქვის იატაკზე. მალე ალბათ ყველაფერს მოიტა-
ნენ.

მ ა თ ი ა ს ი. აგერ ავეჯი მოაქვთ.

ასმის, როგორ მოდიან და ჩერდებიან ვეება ფორნები. ექვსიოდე ჯეელი შე-
მოათრევს ხალიჩებს, ავეჯს, ჭურჭელს და ა. შ. საჯინბო გადაჭარბებულად
მდიდრულ საქეიფო დარბაზად გადაიქცევა.

მ ე კ ი. რა ხარახურაა!

შემოსულები სცენის მარცხენა მხარეს ალაგებენ საჩუქრებს, ულოცავენ პა-
ტარძალს და ნეფეს უპატაკებენ.

ჯ ე კ ო ბ ი. მომილოცნია! ჯინჯერ-სტრიტზე 14-ი ნომრის პირველ
სართულზე ხალხი იყო და ჯერ მათი ათესვა დაგვჭირდა.

ს ე რ ხ უ ნ ა-რ ო ბ ე რ ტ ი. გილოცავთ! სტრენდზე კონსტებლი გავასა-
ღეთ.

მ ე კ ი. უ, თქვე არიფებო!

ე დ ი. ყველაფერი გავაკეთეთ, რაც შეგვეძლო, მაგრამ ვესტენდში სამი
კაცი მაინც ჩავარდა, მომილოცავს.

მ ე კ ი. არიფები ხართ, სუფთად ვერ მუშაობთ.

ჯ ი მ ი. ერთი მოხუცებული ცოტათი დავწერეთ, მაგრამ ვგონებ, არაფე-
რი მოუვა. მომილოცავს.

მ ე კ ი. ხომ გითხარით, სველ საქმეს ერიდეთ-მეთქი. გული მერევა სის-
ხლის ხსენებაზე. თქვენგან საქმის ხალხი არ გამოვა. კაციჭამიები ხართ და
არა საქმოსნები!

უ ო ლ ტ ე რ ი (მეტსახელად „მტირალა ტირიფი“). გილოცავთ. ეს კლა-
ვესინი, ქალბატონო, ჯერ კიდევ ამ ნახევარი საათის წინ სომერსეტშირის
ჰერცოგის მეუღლეს ეკუთვნოდა.

პ ო ლ ი. ეს რა ავეჯია?

მ ე კ ი. მართლა, როგორ მოგწონს ეს ავეჯი, პოლი?

პ ო ლ ი (ტირის). საწყალი ხალხი. ამ ავეჯის გულისათვის...

მ ე კ ი. და ისიც რა ავეჯისათვის! ხარახურაა! მართალი ხარ, რომ ჯავ-
რობ! წითელი ხის კლავესინი და დივანი კიდევ რენესანსის სტილისა, მიუტე-
ჩებელია. მაგიდა კი სულაც არ მოგიტანიათ?

უ ო ლ ტ ე რ ი. მაგიდა?

ბაგებზე აწყობენ რამდენიმე ფიცარს.

პ ო ლ ი. ოჰ, მეცი! რა უბედური ვარ! ნეტავი მოძღვარი მაინც არ მო-
ვიდოდეს.

მ ა თ ი ა ს ი. აუცილებლად მოვა. გზა დაწვრილებით ავუწერეთ.

უ ო ლ ტ ე რ ი (მაგიდა შემოაქვს). აი, მაგიდა.

მ ე კ ი (ხედავს, რომ პოლი ტირის). ჩემს ცოლს ბოღმა ახრჩობს. დანარ-

ჩენი სკამები სადღაა? კლავესინი გვაქვს და სკამები არა! არაფერზე არ ფიქრობენ. განა რა ხშირად ვიხდი ხოლმე ქორწილს? პირი მოკეტე, „მტირალა ტირიფო“! მე მინდოდა მეთქვა, განა რა ხშირად განდობთ ხოლმე-მეთქი რამეს! ჩემს ცოლს კი ახლავე აუბედურებთ.

ე დ ი. პოლი, საყვარელო...

მ ე კ ი (თავში ჩასცხებს და შლაპას წააგდებინებს). „პოლი, საყვარელო“! მე შენ გიჩვენებ „პოლი საყვარელოს“! შე ზინტლიანო, შენა! უყურეთ ერთი, „საყვარელო“! რა, ხომ არ წოლილხარ მასთან?

პ ო ლ ი. გრცხვენოდეს, მეკი!

ე დ ი. თუ გინდა დავიფიცებ...

უ ო ლ ტ ე რ ი. მოწყალეო ქალბატონო, თუ კიდევ რამე გვაკლია, ჩვენ ერთხელ კიდევ...

მ ე კ ი. წითელი ხის კლავესინი გვაქვს და სკამები კი არა. (იცინის.) როგორც პატარძალი, რას იტყვი ამხზე?

პ ო ლ ი. რა მოხდა მერე, ყველაზე ნაკლებ ეგ მაღონებს.

მ ე კ ი. ორი სკამი და ერთიც დივანი. გამოდის, რომ ნეფე-დედოფალი იატაკზე უნდა დასხდნენ!

პ ო ლ ი. პო, მართლაც ასე გამოდის!

მ ე კ ი (როყიოდ). მოდით ამ კლავესინს ფეხები მოვასერხოთ! აბა, მარდად!

ოთხნი კლავესინს ფეხებს ასერხავენ და თან მღერაან:

ბილი ლოჯინს ცოლად გაჰყვა ტურფა მერი საიერი,
და როდესაც მხაგისტრატში ფორმდებოდა ხელმოწერა,
რომ გეკითხათ ბილისათვის, ვერ გეტყოდათ ის ოხერი,
საქორწინო კაბა მერიმ ვისი ფულით შეიკერა!
საცოლემ კი რიგიანად არ იცოდა ქმრის სახელი.
ჰერი, ჰერი.

უ ო ლ ტ ე რ ი. მოწყალეო ქალბატონო, ხედავთ, ბოლოს რა კარგი მერიხი გამოვიდა!

მ ე კ ი. ახლა კი ბატონებს ვთხოვდი ეს ჭუჭყიანი ძონძები გაიძრონ და მოწესრიგდნენ! ბოლოს და ბოლოს, ჩემი ქორწილია და არა რომელიმე ვიგინდარასი. პოლი, შენ კი ვთხოვ, სათოხლაგზე იზრუნო. აგერ, იმ კალათაშია.

პ ო ლ ი. ეს ქორწილის სორაგია? ნუთუ ყველაფერი მოპარულია, მეკი?

მ ე კ ი. რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა.

პ ო ლ ი. ნეტავი გამაგებინა, რას იზამ, ახლა რომ კარზე დააკაკუნონ და შერიფი შემოვიდეს?

მეკი. მაშინ ნახავ, როგორ იქცევა შენი ქმარი ამგვარ შემთხვევაში.

მათიასი. დღეს ეგ სრულიად გამორიცხულია. მთელი ცხენოსანი პოლიცია, რასაკვირველია, დავენტრიშია. დედოფალს ახლავან. პარასკევს ხომ უნდა აკურთხონ.

პოლი. ორი დანა და თოთხმეტი ჩანგალი! ყოველ სკამზე თითო დანა!

მეკი. როგორ ჩააფლავეს ყველაფერი! შეგირდებივით უცოდვილიათ, ამის მაგივრად, რომ მოწიფული ოსტატებივით გარჯილიყვნენ! ნუთუ ოდნავ მაინც ვერ ერკვევით სტილში? „ჩიპენდეილი“ „ლუი მეთოთხმეტისაგან“ როგორ ვერ უნდა გაარჩიოს კაცმა!

ყაჩაღები უკან ბრუნდებიან, ამჯერად უკვე საღამოს კოსტიუმებში გამოწყობილნი, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი მიხრა-მოხრა ვერ ეგუება ელეგანტურ ჩაცმულობას.

უოლტერი. ჩვენ, კაცმა რომ თქვას, ყველაზე ძვირფასი ნივთების წამოღებას ვცდილობდით. აბა, ამ ხეს შეხედე! რა ჯიგრიანი რამეა!

მათიასი. სმენა იყოს და გაგონება! ნება მიბოძეთ, კეპტენ...

მეკი. პოლი, აბა, აქ მოდი.

ნეფე-დედოფალი მილოცვების მისაღებად საზეიმო პოზაში დგებიან.

მათიასი. ნება გვიბოძეთ, კეპტენ, რომ თქვენი ცხოვრების უბედნიერეს დღეს, თქვენი კარიერის გაფურჩქვნის ჟამს, მე მსურდა მეთქვა, გარდატეხის ჟამს-მეთქი, გადმოგცეთ უგულითადესი და ამასთანავე უმხურვალესი მოლოცვანი და ასე შემდეგ. პირდაპირ აუტანელია ეს მაღალფარდოვანი ტონი. ასე რომ, მოკლედ მოვჭრი (ხელს ართმევს მეკის.) თავი მაღლა გეჭიროს, შე ძველო!

მეკი. ემადლობ, მათიას, რომ იცოდე, ძალიან მასიამოვნე.

მათიასი (ჯერ მეკის გადაეხვევა გულაჩუყებული და მერე პოლის ართმევს ხელს). ჰო, გულით გითხარი, რაც გითხარი! ასე რომ, თავი სულ მაღლა გეჭიროს, შე ძველო, შენა! და, რაც მთავარია, ქალბატონო, პეპლაობაც მუდამ შეიძლოს.

სტუმრები ხარხარებენ. უეცრად მეკი ოდნავ შესამჩნევი მოძრაობით მათიასს ძირს დასცემს.

მეკი. პირი მოკეტე. მაგნაირი უხამსი ანგლობები შენი კიტისათვის შეინახე, იმ კალთაწამოხდილისათვის შედგამოჭრილი იქნება.

პოლი. მეკი, რა უხეში ხარ.

მათიასი. მაშ ასე! მე პროტესტს ვაცხადებ, რომ კიტის კალთაწამოხდილი უწოდე... (ძლივს დგება ზეზე.)

მეკი. არა, მართლა?

მათიასი. და საერთოდ მასთან არასოდეს არ ვლაპარაკობ უწმაწურად: საამისოდ მეტისმეტად პატივსა ვცემ. მაგრამ აბა, ამას როგორ გაიგებ, ისე ხარ მოწყობილი. შენ კი სწორედ რომ არ შეგიძლია, თუ არ გადაამლაშე. გგონია, ლუსიმ არ მითხრა, რაც უთხარი? შენთან შედარებით ნამდვილი ლაიკის ხელთათმანი ვარ!

მეკი თვალს თვალში გაუყრის.

ჯეკობი. აქეთ წამოდი, ქორწილია, ეე, ქორწილი!

ყაჩაღებს განზე გაჰყავთ მათიასი.

მეკი. რა დიდებული ქორწილია, არა, პოლი? გათხოვების დღეს ამდენ სიბინძურეს სედავ ირგვლივ. ალბათ ვერასოდეს ვერ წარმოიდგენდი, რომ შენი ქმარი მეგობრებმა შეიძლება ასე მოაღორონ. ახლა გეცოდინება.

პოლი. რატომ, მე ყველაფერი მომწონს.

რობერტი (ხერხუნა-რობერტად წოდებული). სისულელეა. არავინ არავის არ აღორებს. აზრთა სხვადასხვაობა ყველგან შეიძლება იყოს. შენი კიტი სხვებს არაფრით ჩამოუვარდება. ჰოდა, ახლა მიდი, საქორწინო საჩუქარი გვაჩვენე, ბებერო ტურავ!

ყველანი. ჰო, მიდი, მიდი!

მათიასი (ნაწყენია). აი, ინებეთ.

პოლი. უი, საქორწინო საჩუქარი. იმეტად ნასიამოვნები ვარ, ბატონო მათიას-მანეთიანო. ნახე, მეკი, რა მშვენიერი ღამის პერანგია.

მათიასი. იქნებ ესეც უხამსობაა, კეპტენ?

მეკი. კარგი, გეყოფა. სულაც არ მინდოდა მეწყენინებინა შენთვის, ისიც ამნაირ ბედნიერ დღეს.

უოლტერი. ეს როგორღა მოგწონთ? „ჩიპენდეილია“! (საბურველსა სსნის „ჩიპენდეილის“ სტილის ვეება სადგარ საათს.)

მეკი. „ლუი მეთოთხმეტეა“.

პოლი. შესანიშნავია. რა ბედნიერი ვარ. სიტყვები არ მყოფნის. პირდაპირ ზღაპრული ყურადღება გამოიჩინეთ. აფსუს, რომ ბინა არა გვაქვს, არა, მეკი?

მეკი. ეს ჯერ კიდევ დასაწყისია, ხოლო ყოველგვარი დასაწყისი ძნელია. შენც დიდად გმადლობ. უოლტერ. აბა, ახლა კი აალაგეთ ეს ხარახურა და ვივახშმით!

ჯეკობი (იმ დროს, როდესაც დანარჩენები უკვე სუფრის გაშლით არიან გართულნი). მე, რასაკვირველია, ისევ ხელცარიელი მოვედი. (პოლის

მიმართავს მხურვალედ). დამიჯერა, ყმაწვილო ქალო, რომ ეს ამბავი მადონებს.

პოლი. რა უშავს მერე, ბატონო ბარჯია-ჯეკობ.

ჯეკობი. ეს ჯელები აქეთ-იქით ფანტავენ საჩუქრებს, მე კიდევ ასე ვდგავარ. შედით ჩემს მდგომარეობაში. ყოველთვის ასე მემართება, ადამიანო, შემოდის იმდენი შემთხვევა ჩამოგითვალთ, რომ გაოგნდებით. აი, ამას წინათ ნადირალა ჯენი შემხვდა და ვეუბნები: შე დამპალო-მეთქი... (უეცრად შენიშნავს, რომ მეკი მის ზურგს უკან დგას და უჩუმრად გაიძურწება.)

მეკი. (პოლი მიჰყავს მაგიდასთან და სვამს). ამნაირ დღეს ყველაზე ნუგბარ საჭმელებს უნდა შეექცე, პოლი.

ყველანი საქორწილო სუფრას მიუსხდებიან.

ედი (სერვიზზე მიუთითებს). რა ლამაზი თეფშებია, ოტელ „საგოისა“ გახლავთ.

ჯეკობი. მათონეზით შეზავებული კვერცხები სელფურიჯისაა. მთელი ტაშტი ბატის ღვიძლის პაშტეტით მოგვექონდა, მაგრამ გაჯავრებულ გუნებაზე ჯიმიმ შეთქვლიფა გზაში, რადგან სროლაში იდედლა.

უოლტერი. წესიერ საზოგადოებაში არ ამბობენ „იდედლა“.

ჯიმი. ედი, სულ შენ ნუ შესანსლე მთელი კვერცხები, ისიც ამნაირ დღეს!

მეკი. არ გინდათ რამე ვიმღეროთ, რამე სანუკვარი?

მათიასი (სიცილისაგან იგუდება). სანუკვარი? რა ჯიგრიანად თქვი. (მეკის მომნუსხველი მზერისაგან დაბნეულს ხმა ჩაუწყდება და უშალვე უჩუმრად დაჯდება.)

მეკი (ერთ-ერთს ხელიდან გამოჰგლეჯს ლანგარს). კაცმა რომ თქვას, ჯერ არ მინდოდა ვახშამს შევდგომოდით. მერჩივნა, ასე დამშეულებივით კი არ დასძიერებოდით საჭმელს, არამედ ჯერ რამე ისეთი მოგვეწყოთ, რაც განწყობილებას შეგვიქმნიდა. ამნაირ დღეს ხალხში უთუოდ რამეს მოიგონებენ ხოლმე.

ჯეკობი. მაინც, რას, მაგალითად?

მეკი. ნუთუ ყველაფერი მე თვითონ უნდა მოვიგონო? ოპერა გამართეთ-მეთქი, კი არ მოგიტოვოვ, მაგრამ ისეთი რამ უნდა მოგეფიქრებინათ, რაც მსოლოდ ჭამა-ყლაპვა და უწმაწური ანგლობა არ იქნებოდა. სწორედ ამნაირ დღეს გამოჩნდება, რამდენად შეიძლება ძმაკაცების იმედი გქონდეს.

პოლი. დიდებული ორაგულია, მეკი.

ედი. დიას, ასეთით ალბათ არასოდეს არ ჩაგიკოკლოზინებიათ ყელი. მეკი-დანახს კი ვამოუღვევლად აქვს. ქერის ორმოში მოხვდით და იგ არის. ყოველთვის ვამბობდი, მეკი საუკეთესო საქმროა-მეთქი ისეთი ქალიშვილი-

სათვის, რომელსაც მაღალი მისწრაფებანი აქვს. აი, გუშინაც ლუსის ვეუბ-
ნებოდი.

პოლი. ლუსის? ლუსი ვინ არის, მეკი?

ჯეკობი (შეშფოთებული). ლუსი? აჰ, იცით, სერიოზული არაფერია,
გულთან ახლოს არ გაიკაროთ.

მათიასი სუფრას ტოვებს, პოლის ზურგს უკან დგება და ხელების ქნევით ჯე-
კობს ანიშნებს, გაჩუმდით.

პოლი (მათიასის შესტიკულაციას შენიშნავს). რამე მოგაწოდოთ? მა-
რილს ხომ არ ინებებთ?.. ბატონო ჯეკობ, მგონი, რაღაცის თქმას აპირებ-
დით.

ჯეკობი. ო, არაფრისა, სულაც არაფრისა. მე მართლაც მინდოდა,
რომ არაფერი მეთქვა, რამე წამოგცდებოდა და...

მეკი. რა გიჭირავს ხელში, ჯეკობ?

ჯეკობი. დანა, კეპტენ.

მეკი. და თეფშზე რაღა გიდევს?

ჯეკობი. კალმახი, კეპტენ.

მეკი. მაშ, ვამოდის, რომ დანიტა ჭამ კალმახს, ასე არ არის? ეს ხომ
გაუგონარი ამბავია, ჯეკობ. გინახავს, პოლი, ამნაირი რამ სადმე? თევზს და-
ნითა ჭამს! ნამდვილი ღორობაა. ესენი სისხლს გაგიშრობენ, პოლი. იოლი
საქმე როდია ეს სანებსვე გოდრები ადამიანებად აქციო. საერთოდ რიგიან საკ-
რებულში თუ ყოფილხარ ოდესმე?

უოლტერი. საკრებულში თუ საროსკიპოში?

პოლი. ფუი, ეგ რა თქვით, ბატონო უოლტერ!

მეკი. ესე იგი, არ გინდათ, რამე იმდეროთ, რომ ამით მაინც შეამკოთ
დღევანდელი დღე. ესეც ისეთივე მოსაწყენი, შეჩვენებული და ბინძური იყოს,
როგორც ყველა დანარჩენი? და თანაც გარეთ რატომ არავინა დგას? ამაზე-
დაც მე უნდა ვიზრუნო, არა? იქნებ მე თვითონ დავდგე კართან ამნაირ
დღეს, რომ თქვენ აქ კარგად ამოიყოროთ მუცლები ჩემს ხარჯზე?

უოლტერი (ბუზღუნით). ჩემს ხარჯზეო? მაგითი რა გინდა თქვა?

ჯიმი. კარგი, გაჩერდი, უოლტერჰენ. მე გავალ. ნეტავი ვის მოხეზრე-
ბია თავი, აქ მოვიდეს!

ჯეკობი. რა თინი იქნება, ამნაირ დღეს რომ მთელი მექორწინენი
მოგვაყურონ!

ჯიმი (შემორბის). არიქა, კეპტენ, ატანდა!

უოლტერი. ბრაუნ-აფთარი!

მათიასი. სისულელეა, ეს მისი მაღალღირსება კიმბლია.

შემოდის კიმბლი.

ყველანი (ერთხმად იხუფლებენ). სადამო მშვიდობისა, თქვენო მა-
ლაღღირსება კიმბლი!

კიმბლი. უჰ, ძლივს არ მოგაგენით. უბრალო ქოხია, რომელშიაც
გპოვეთ, მაგრამ, სამაგიეროდ, საკუთარი ფუძე აქვს და კერა.

მეკი. ჰერცოგ დეფონშირისაა.

პოლი. გამარჯობათ, თქვენო მაღაღღირსებავ, აჰ, რომ იცოდეთ, რა
ბედნიერი ვარ, რომ მისი მაღაღღირსება ჩვენი ცხოვრების უბედნიერეს
დღეს...

მეკი. ჰოდა, ახლა გთხოვთ მისი მაღაღღირსების მოსვლა მცირედი
კანტატით აღვნიშნოთ.

მათიასი. რას იტყვით, „ბილი ლოჯინი და მერი საიერი“ არ ივარ-
გებს?

ჯეკობი. „ბილი ლოჯინი“, ვგონებ, მართლაც ზედგამოჭრილია.

კიმბლი. აბა, ერთი ლაზათიანად დასძახეთ, ბიჭებო.

მათიასი. დავიწყით, ბატონებო.

სამნი წამოდგებიან და გაუბედავად, უნდღილად და უგემურად მღერაან.

ს ა ქ ო რ წ ი ნ ო ს ი მ ღ ე რ ა ღ ა რ ი ბ თ ა თ ვ ი ს

ბილი ლოჯინს ცოლად გაჰყვა ტურფა მერი საიერი;
ღმერთმა ხელი მოუმართოთ, იყვნენ მარად ბედნიერნი;
მაგრამ, როცა მაგისტრატში ფორმდებოდა ხელმოწერა,
რომ გეკითხათ ბილისათვის, ვერ გეტყობდათ ის ოხერი,
საქორწინო კაბა მერიმ ვისი ფულით შეიკერა,
საცოლემ კი რიგთანად არ იცოდა ქმრის სახელი.

ჰერი, ჰერი!

ბილის ჰკითხეს: — ერთგულია, ბილი ლოჯინ, შენი ცოლი? — არა!

— შენ კი დათმობ გარყვნილებას, მისი ერთგული იქნები? — არა!

ღმერთმა ხელი მოუმართოთ, იყვნენ მარად ბედნიერნი.

ის, რაც ბილიმ მითხრა გუშინ, არ გეგონოთ მონაჭორი:

რაც მე მიყვარს, იმას სხვაგან არ ტოვებსო ჩემი ცოლი!

ღორი.

ჰერი, ჰერი!

მეკი. სულ ეს არის? უბადრუკი რამ იყო!

მათიასი (სულმითუქმელად, ლამის დაახრჩონ სიტყვებმა). უბადრუ-
კიო, მართლაც რომ სწორედ თქვა, ბატონებო, მართლაც რომ უბადრუკია.

მეკი. მოკეტე პირი!

მათიასი. არა, მხოლოდ ის მინდა ვთქვა, რომ აღმაფრენა გვაკლდა,
ცეცხლი და სხვა მისთანანი.

პოლი. ბატონებო, თუ არავის გასურთ რამე შეასრულოთ, მაშინ მე ვინც ვინც ერთ პატარა რაღაცას. სახელდობრ, მინდა გოგონა განვასახიერო, რომელიც ერთხელ სოპოში ვნახე, ერთ-ერთ ოთხპენიან სამიკიტნოში. ჭურჭლის მრეცხავი გოგო იყო და, წარმოგიდგენიათ, ყველანი დასცინოდნენ. ის კი ისე მიმართავდა კლიენტებს და ისეთ რამეებს ეუბნებოდა, რომ... თუმცა ახლავე გიმღერებთ ყველაფერს. მაშ, წარმოიდგინეთ, რომ ეს პატარა, საშინლად ჭუჭყიანი დახლია, რომელთანაც გოგონა დიდიდან საღამომდე იდგა. ეს სათლია, რომელშიც ჭურჭელს ავლებდა, ხოლო ეს კიდეც ჩვარი, რომლითაც ჭიქებს წმენდდა. მანდ, სადაც თქვენ სხედხართ, კაცები ისხდნენ და დასცინოდნენ. თქვენც შეგიძლიათ გაიციინოთ ხოლმე, რომ ზუსტად ისე გამოვიდეს. მაგრამ თუ არ შეგიძლიათ, მაშინ საჭირო არ არის. (ვითომ ჭიქებს ამშრალეებს და თან ხმადაბლა დიდინებს.) ხოლო ახლა კი ერთ-ერთმა თქვენგანმა (უოლტერზე მიუთითებს.) მაგალითად, თქვენ შეძეკითხეთ: ჰა, ჯენი, მაინც როდის მოვა შენი ხომალდი-თქო!

უოლტერი. ჰა, ჯენი, მაინც როდის მოვა შენი ხომალდი?

პოლი. ხოლო ვინმე სხვამ, მაგალითად, თქვენ თქვით: „ისევ ჭიქებს რეცხავ, ჯენი, მეკობრეთა სასძლოვ?“

მათიასი. ისევ ჭიქებსა რეცხავ, ჯენი, მეკობრეთა სასძლოვ?

პოლი. ასე, პოდა, ახლა მე დავიწყებ.

„სასიმღერო“ განათება — ოქროსფერი შუქი. ორგანო სინათლის რკალშია. ზევიდან ლატანზე დამაგრებული სამი ნათურა ეშვება, დაფებს აწერია:

მეკობრე ჯენი

1

დღისით აქ რომ ჭიქებს ვრეცხავ,

ღამით სტუმრებს ლოგინს ვუშლი,

და ამაში თუკი ჩემთვის გემეტებათ

ზოგჯერ გროში,

მადლიერი სახით შეგთხოვთ კვლავ მეწვიოთ

ამ უბადრუკ სასტუმროში.

რომ იცოდეთ, ვინა ვარ და რა მაქვს გულში!

მაგრამ ერთხელ ღრიანცელი რომ ატყდება ნავსადგურში

და აგიტანთ შიშის ზარი,

თუნდაც ნახოთ, რომ სიცილით ვწმენდავ ჭიქებს,

მიზეზს მაინც ვერ გაიგებთ.

და ხომალდი ორმოცდაათ ზარბაზანით,

ზედ რვა აფრა აშვეებული, ზათქით-ზარით
მოადგება უცებ ნაპირს.

2

— დაგვირეცხე ჭიქებით, — მეც ვიღებ და ვრეცხავ ჭიქებს;
— გამოგვართვი ეს გროშიო, — გროშსაც ვიღებ;
— იგავიშალე ლოგინიო, — გიშლით ლოგინს,
თუმც იმ ღამეს შიგ ვერაფერ დაიძინებთ.
რომ იცოდეთ, ვინა ვარ და რა მაქვს გულში!
მაგრამ ღამით ჯახაჯუხი რომ ატყდება ნავსადგურში
და აგიტანთ შიშის ზარი,
ღამინახავთ ფანჯარასთან გაცინებულს
და იკითხავთ: — რა აცინებს, ეს ვინ არი?!
და ხომალდი ორმოცდაათ ზარბაზანით,
ზედ რვა აფრა აშვეებული, ზათქით-ზარით
ცეცხლის ალში გახვევს ქალაქს.

3

სად გექნებათ თქვენ სიცილზე ფიქრის თავი,
როცა ქალაქს მოერღვევა გალავანი,
როცა პირქვე დაემხოთ ყველა სახლი,
უბადრუკი სასტუმრო კი უვნებელი კვლავ იდგება ძველ ადგილზე.
და იმ დილით ყველა თქვენგანს ერთი კითხვა ეკერება
მხოლოდ პირზე:
— ეს სასტუმრო ნეტავ რატომ დაინდესო.
და რომ მნახავთ სასტუმროდან გამომავალს,
ბნელი ეჭვი ადებრება თქვენში მრავალს
და შიშისგან ტანში გააჟურიალებს.
და ხომალდი ორმოცდაათ ზარბაზანით,
ზედ რვა აფრა აშვეებული, ზათქით-ზარით
ანძის წვერზე ალამს ააფრიალებს.

4

შუადღისას ხომალდიდან მეზღვაურნი
გადმოვლენ და ჩრდილში ჩამწკრივდებიან,
სათითაოდ დაიჭერენ ყოველ თქვენგანს

და შემდეგ კი ბორკილგაყრით მოგრეკავენ
ჩემს წინაშე უმოწყალოდ.

და მეტყვიან: — აბა, ჩვენო დედოფალო,
გვიბრძანეო, თავი რომელს წავაცალოთ?
ნავსადგურში სიჩუმე რომ ჩამოდგება გულსასხეთქი,
მე ღიმილით ვბრძანებ მაშინ: ყველას-მეთქი!
და თავები პანტაპუნტით რომ დაცვივა,
იქვე მყოფი შემოვიძახებ „ვაშას“ მაშინ.
და ხომალდი ორმოცდაათ ზარბაზანით,
ზედ რვა აფრა აშვეებული, ზათქით-ზარით
ჩემთან ერთად შევცურდება ისევ ზღვაში.

მ ა თ ი ა ს ი. კაი რამე იყო, არა? რა ნუგზარად ჩაარაკრაკა ჩვენმა პა-
ტარძალმა!

მ ე კ ი. ნუგზარადო? მაგითი რა გინდა თქვა? „ნუგზარი“ აქ რა მოსატა-
ნია, შე იდიოტო?! ეს ხელოვნებაა და არა ნუგზარი. მართლაც შესანიშნავად
გამოვივიდა, პოლი. მაგრამ ამ ვირებმა, მომიტევეთ, თქვენო მაღალღირსებავ,
რა იციან, ხურმა რა ხილია! (ხმადაბლა, პოლის.) საერთოდ კი არ მომწონს,
რომ მსახიობობის მიდრეკილება გაქვს. სსამერმისოდ გაითვალისწინე, გეთაყ-
ვა. (სუფრაზე სიცილი ატყდება. ყაჩაღები მოძღვარს დასცინიან.) რა გიჭი-
რავთ ხელში, თქვენო მაღალღირსებავ?

ჯ ე კ ო ბ ი. ორი დანა, კეპტენ.

მ ე კ ი. თეფშზე რაღა გიდევთ, მაღალღირსებავ?

კ ი მ ბ ლ ი. ვგონებ, ორაგული.

მ ე კ ი. მაშ, გამოდის, რომ დანით მიირთმევთ ორაგულს, ასე არ არის?

ჯ ე კ ო ბ ი. გინახავთ სადმე ასეთი რამ? თევზს დანითა ჭამს, ვინც ამას
აკეთებს, უბრალოდ...

მ ე კ ი. ღორია-მეთქი, გესმის, ჯეკობ? ხალხში მოქცევა ისწავლე.

ჯ ი მ ი (შემორბის). არიქა, კეპტენ, ატანდა! თვითონ შერიფია.

უ ო ლ ტ ე რ ი. ბრაუნი, ბრაუნ-აფთარი!

მ ე კ ი. დიას, ბრაუნ-აფთარი, სწორია. ეს ბრაუნ-აფთარი გახლავთ,
ლონდონის მთავარი შერიფი და ინგლისის პოლიციის ბურჯი, ახლა აქ რომ
შემოაბიჯებს, კეპტენ მაკჰითის უბადრუკ ქოხმასში. ისწავლეთ-მეთქი ჭკუა,
ისწავლეთ!

ყაჩაღები იმალებიან.

ჯ ე კ ო ბ ი. ნაღდი სახრჩობელა გვიჭირავს და ეს არის.

შემოდის ბ რ ა უ ნ ი.

მ ე კ ი. ჰელოუ, ჯეკი!

ბ რ ა უ ნ ი. ჰელოუ, მეკ! ბეგრი დრო არა მაქვს. ახლავე უკან უნდა გავ-
ტრიალდე. მაინცდამაინც აუცილებელი იყო, რომ სხვის საჯინიბოში შეჭრი-
ლიყავით? ესეც ხომ იგივე სახლის გატეხაა!

მ ე კ ი. ჰო, ჯეკი, მაგრამ მეტად მარჯვე ადგილზეა. გამეხარდა, ქორწილ-
ზე რომ მოხვედი, შენი ძველი მეგობარი არ დამივიწყე. ახლავე გაგაცნობ
ჩემს მეუღლეს. ქალიშვილობის გვარი პიჩემია. პოლი, ეს ბრაუნ-აფთარია,
არა, შე ძველო? (მხარზე ხელს უტყაპუნებს შერიფს.) ხოლო ესენი ჩემი მე-
გობრები არიან, ჯეკი, შენ ალბათ ადრეც შესვედრიხარ ამათ.

ბ რ ა უ ნ ი (შეურევებული). მე ხომ დღეს სტუმარი ვარ, მეკ.

მ ე კ ი. ესენიც. (უძახის. ყაჩაღები სამალავებიდან გამოდიან, ხელები
მადლა აქვთ აწეული.) ჰელოუ, ჯეკობ!

ბ რ ა უ ნ ი. ეს ხომ ბარჯია-ჯეკობია, ოხერზე ოხერი ვინმე.

მ ე კ ი. ჰელოუ, ჯიმი, ჰელოუ, რობერტ, ჰელოუ, უოლტერ!

ბ რ ა უ ნ ი. ჯანდაბას, დღეს ნუ გავისხსენებთ ნურაფერს.

მ ე კ ი. ჰელოუ, ედი, ჰელოუ, მათიას!

ბ რ ა უ ნ ი. დასხედით, ბატონებო, დასხედით!

ყ ვ ე ლ ა ნ ი. მადლობას მოგახსენებთ, ბატონო!

ბ რ ა უ ნ ი. მოხარული ვარ, რომ მეკის, ჩემი ძველი მეგობრის ტურფა
მეუღლე გავიცანი.

პ ო ლ ი. ოჰ, რასა ბრძანებთ, ბატონო!

მ ე კ ი. დაჯექი, ძველო კატარღავ და გეზი პირდაპირ ვისკისკენ აიღე!—
პოლი, ბატონებო! დღეს ჩვენს შორის შედავთ ადამიანს, რომელიც მეფის მი-
უწვდომელმა განგებამ სხვა ადამიანებზე აღამაღლა და რომელიც, მიუსხედა-
ვად ამისა, მაინც ჩემი მეგობარი დარჩა ქართველიებითა და სიფათით აღსავ-
სე ცხოვრების გზაზე და ასე შემდეგ... თქვენ უწყით, ვისაც ვგულისხმობ,
და შენც ალბათ იცი, ვინცა მყავს მხედველობაში, ბრაუნ. ეჰ, ჯეკი, გახსოვს,
როგორ ვმსახურობდით ერთად ინდოეთში, შენც ჯარისკაცი და მეც ჯარის-
კაცი? მოდი, ჯეკი, ჯარისკაცთა სიმღერა ვიმღეროთ. (ორივენი მაგიდაზე
სხდებიან.)

„სასიმღერო“““ განათება — ოქროსფერი შუქი. ორგანო სინათლის რკალშია.

ზევიდან ლატანზე დამაგრებული სამი ნათურა ეშვება, დაფებს აწერია:

ჯ ა რ ი ს კ ა ც თ ა ს ი მ ღ ე რ ა

1

ჯონთან ერთად გაიწვიეს ჯარში ჯიმი
და ჯორჯი კი უკვე სერჟანტად არი.
ვის ანადვლებს ჯარისკაცის გასაჭირი,
როცა ჯარი საბრძოლველად მზად არი.

და კაპიდან
ვიდრე კაური-ბეჰარამდე
ზარბაზნები დაგვაქვს ყველგან,
ჰოდა, გზაში თუკი ნავსად
შემოგვხვდება უცხო რასა,
სულ ერთია, თუ რა ფერი:
გინდა შავი, გინდ ყვითელი,
მას უმაღვე საკატლეთე ხორცად ვკეპავთ.
ასე გვნებავს.

2

რადგან ჯონი წუწუნებდა ყველაფერზე,
ბნელ ფიქრებმა ჯიმიც აიყოლიეს;
ჯორჯი დარჩა მოწოდების სიმაღლეზე,
მეგობრულად ამხნევებდა ორივეს.

და კაპიდან
ვიდრე კაური-ბეჰარამდე
ზარბაზნები დაგვაქვს ყველგან,
ჰოდა, გზაში თუკი ნავსად
შემოგვხვდება უცხო რასა,
სულ ერთია, თუ რა ფერი:
გინდა შავი, გინდ ყვითელი,
მას უმაღვე საკატლეთე ხორცად ვკეპავთ.
ასე გვნებავს.

3

ჯონი მოკვდა, ჯიმიც მალე გაჰყვა ჯონის,
მათთან ერთად ჯორჯსაც დაივიწყებენ.
სისხლი ისევ ისე ფაქობს და, მე მგონი,
არმიაშიც ისევ ისე იწვევენ.

(ისევ სხედან, მაგრამ ფეხებს მარშს აყოლებენ.)

და კაპიდან
ვიდრე კაური-ბეჰარამდე
ზარბაზნები დაგვაქვს ყველგან,
ჰოდა, გზაში თუკი ნავსად
შემოგვხვდება უცხო რასა,

სულ ერთია, თუ რა ფერი:
გინდა შავი, გინდ ყვითელი,
მას უმაღვე საკატლეტე ხორცად გვეპავთ.
ასე გვნებავს.

მ ე კ ი. თუმიცა ცხოვრების მდინარებამ სიყრმის მეგობრები ერთმანეთს დაგვაშორა, თუმიცა ჩვენი პროფესიული ინტერესები სრულიად განსხვავებულნი, ან როგორც ზოგიერთები იტყოდნენ, პირდაპირ საწინააღმდეგონიც კია, მაგრამ ჩვენმა მეგობრობამ ყველაფერს გაუძლო. ასე რომ, თქვენთვის ჭკუის სასწავლი მაგალითია. კასტორი და პოლიდეგვე, ჰექტორი და ანდრომაქე და ასე შემდეგ. თითქმის არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ მე, ერთი უბრალო გავარდნილი ყაჩაღი — თქვენ, მე მგონი, გესმით როგორც ვამბობ ამას — ცოტაოდენი ნადავლით დავბრუნებულიყავი და ამისთვის, ჩემი მეგობარი ბრაუნისათვის, იქიდან მოზრდილი წილი არ მიმეცა, ნიშნად და საბუთად ჩემი ურღვევი ერთგულებისა. და ასევე არასოდეს არ მომხდარა, — დანა პირიდან გამოიღე, ჯეკობ, — რომ მას, ყოვლისშემძლე პოლიციის შეფს, ალყა შემოერთყას და წინასწარ არ შეეტყობინოს ჩემთვის, თავისი სიყრმის მეგობრისათვის. ჰოდა, ასე და ამნაირად, ხელი ხელსა ბანს. ესეც კარგი ჭკუის სასწავლი მაგალითია თქვენთვის. (მკლავში ხელს წაავლებს ბრაუნს.) ჰო, შე ძველო, ძალიან გამეხარდა, რომ მოხვედი. მეგობრობაც ასეთი უნდა. (პაუზა. ბრაუნი შეურევებული ათვალიერებს ხალიჩას.) ნამდვილი შირაზისაა.

ბ რ ა უ ნ ი. „აღმოსავლეთის ნოხების“ კომპანიისა.

მ ე კ ი. კი, ჩვენ ყოველთვის იქიდან მოგვაქვს. იცი, ჯეკი, დღეს აუცილებლად აქ უნდა მყოლოდი. იმედია, რომ მიუხედავად თანამდებობისა, ეს ერთობ საჩოთირო არ არის შენთვის.

ბ რ ა უ ნ ი. განა არ იცი, რომ უარი არაფერზე არ შემიძლია გითხრა. მაგრამ ახლა უკვე წასასვლელი ვარ. თავბრუ მეხვევა იმდენი საქმე მაქვს. დედოფალი უნდა აკურთხონ და უმნიშვნელო რამეც რომ მოხდეს...

მ ე კ ი. იცი, ჯეკი, ჩემი სიმაძრი ერთი აუტანელი ვინმეა, ნამდვილი ბებერი ჯაგლაგია, ჩემზე რომ ყიამყრალი თომარი დაიწყოს, სკოტლენდ-იარდში ჩემზე რამე მასალა ხომ არ მოიძებნება?

ბ რ ა უ ნ ი. სკოტლენდ-იარდში შენს წინააღმდეგ არაფერი არ მოიძევა.

მ ე კ ი. რა თქმა უნდა.

ბ რ ა უ ნ ი. მე ხომ ყველაფერი მოვსპე. დამე მშვიდობისა.

მ ე კ ი (ყაჩაღებს). იქნებ ფეხზე წამოდგომა იკადროთ, ა?

ბ რ ა უ ნ ი (პოლის). ყოველივე კეთილს გისურვებთ! (ბ რ ა უ ნ ი გადის მ ე კ ი ს თანხლებით.)

ჯ ე კ ო ბ ი (რომელიც მანამდე მათიასსა, უოლტერსა და პოლისთან სა-

უბრობდა). გამოგიტყდებით, მაგრად შეგფიქრიახდი, როდესაც თქვეს, ბრაუნ-
აფთარი მოდისო.

მ ა თ ი ა ს ი. ხედავთ, მოწყალეო ქალბატონო, ხელისუფლების მესვე-
ურებთანაც კი გვაქვს კავშირი გაბმული.

უ ო ლ ტ ე რ ი. კი, ძეკის ყოველთვის მოეძევა ისეთი თულფი, რაზეც
ჩვენ წარმოდგენაც კი არა გვაქვს. მაგრამ ამჯერად ჩვენც გვაქვს მისთვის
ერთი რამ შემონახული. ბატონებო, უკვე ათის ნახევარია.

მ ა თ ი ა ს ი. ჰოდა, მაშ ახლა ყველაზე კაი რამეს გიჩვენებთ.

ყველანი სცენის მარცხენა მხარეს მიაშურებენ და ხალიჩის უკან იმალებიან,
რომელიც რაღაც საგანს ფარავს. შემოდის მ ე კ ი.

მ ე კ ი. ბიჭოს, რა მოხდა?

მ ა თ ი ა ს ი (ხალიჩის მიღმა). კიდევ ერთი პატარა სიურპრიზი გვაქვს
თქვენთვის, კეპტენ.

ხალიჩის მიღმა „ბილი ლოჯინის“ სიმღერას მღერიან, გრძნობით, მაგრამ
ხმადაბლა; ხოლო, როდესაც სიტყვებთან „ქმრის სახელი“ მიატანენ, მათიასი
ხალიჩას ჩამოგლეჯს და ყველანი მჭექარედ განაგრძობენ სიმღერას, თან სა-
წოლს უტყაპუნებენ ხელებს, რომელიც ხალიჩის უკან მდგარა.

მ ე კ ი. მადლობელი ვარ, ძმებო, მადლობელი.

უ ო ლ ტ ე რ ი. ახლა კი სტუმრები უჩუმრად დაიშლებიან.

ყველანი გადიან, მეკისა და პოლის გარდა.

მ ე კ ი. ხოლო ახლა გრძნობებს მივუხდოთ, რაც ეკუთვნით, თორემ ისე
ადამიანი გახედნილ პირუტყვად იქცევა. დაჯექი, პოლი! ხედავ, მთვარე რო-
გორ დანათის სოპოს?

მუსიკა.

პ ო ლ ი. ვხედავ, საყვარელო, გესმის, როგორ სცემს ჩემი გული?

მ ე კ ი. მესმის, სულზე უტკბესო.

პ ო ლ ი. ჩვენ ვერაფერი ვერ დაგვაშორებს.

მ ე კ ი. თვით სიკვდილიც კი ვერ გაგვყრის.

ო რ ი ვ ე ნ ი.

ქორწინების ცნობა არ გვაქვს და არც ჯვარი არ დაგვწერეს,
ბედმა მაინც ერთად დაგვაბინავა.

მე არ ვიცი, შენ ეგ კაბა ვისი ფულით შეიკერე;

შენ კი, მგონი, არც ის იცი, ვინა ვარ!

ვარდს სურნელი თუ წაუვა დროზე მალე,
სიბრყვეა კვლავ რომ მკერდზე ვატაროთ;
სიყვარულს კი სიცოცხლეს ნუ ვანაცვალებთ,
ვიგემოთ და შემდეგ ქარს გავატანოთ!

III

პიჩემისათვის, რომელიც წუთისოფლის უღმობლობას იცნობს, ქალიშვილის დაკარგვა პირწმინდად გაკოტრებას ნიშნავს.

პ ი ჩ ე მ ი ს გ ლ ა ხ ა კ თ ა გ ა რ დ ე რ ო ბ ი

სცენის მარჯვენა ნაწილში პიჩემი და ქალბატონი პიჩემი არიან: კართან პოლი დგას, პალტოსა და შლაპაში გამოწყობილი, ხელში სამკვხავ-რო ჩანთა უჭირავს.

ქალბატონი პიჩემი. მაშ, გათხოვდი? ათასნაირ კაბებს აცმევ, შლაპებით, ხელთათმანებით, ქოლგებით და სხვა ზიზილ-პიპილებით ამკობ, რომელიც ლამის იგივე დირს, რაც მთელი აფრებიანი ხომალდი, ეს კი მიდის და ნაკელის გროვანზე ეგდება, თითქო დამპალი კიტრი იყოს. არა, მართლა გათხოვდი?

„სასიმღერო“ განათება — თქროსფერი შუქი. ორგანო სინათლის რკალშია. ხევიდან ლატანზე დამაგრებული სამი ნათურა ეშვება, დაფებს აწერია:

ს ი მ დ ე რ ა , რ ო მ ლ ი თ ა ც პ ო ლ ი მ შ ო ბ ლ ე ბ ს ა ხ ვ ე დ რ ე ბ ს , რ ო მ
ყ ა ჩ ა ღ მ ა კ ჰ ი თ ს მ ი ს თ ხ ო ვ დ ა

1

კარგად მახსოვს ჩემი ქალიშვილობისას
განუწყვეტლივ მქონდა ერთი საზრუნავი:
თუკი ვინმე მოვიდოდა და ხელს მთხოვდა,
როგორ უნდა დამეჭირა მასთან თავი.
გინდ ჰქონოდა ბევრი ფული,
გინდაც კალმით ყოფილიყო დასატული,
გინდაც მუდამ სცმოდა სუფთა ტანსაცმელი
და ჰქონოდა ყოფაქცევა რაინდული,
მაინც მეთქვა მტკიცედ „არა“.
გულცივი და უგრძობელი უნდა იყო,
რომ ვერ გაჭრას ვერც ხვეწნამ და ვერც მუდარამ.

ბევრი-ბევრი შეიძლება ერთხელ ღამით
მთვარის შუქზე სასეირნოდ გაჰყვე ნავით.
მხოლოდ მტკიცედ კი გეჭიროს უნდა თავი;
არ ივარგებს მყისვე ქვეშ თუ გაუგორდი.
უგულო და ცივი უნდა დარჩე მარად,
თორემ ამას შეიძლება რა არ მოჰყვეს,
თუ მაშინვე არ მიუგებ მტკიცედ „არას“.

2

პირველი, ვინც მოვიდა და ხელი მთხოვა,
ყველაფრით რომ მართლაც ნამდვილ საქმროს ჰგავდა;
სამი გემი მომაყენა კარს მეორემ,
მესამე კი ჩემთვის ღამის გონს კარგავდა.
და თუმც ბევრი ჰქონდათ ფული,
და თუმც იყვნენ მართლაც კალმით დახატულნი,
და თუმც ეცვათ მუდამ სუფთა ტანსაცმელი,
ყოფაქცევაც ჰქონდათ სწორედ რაინდული,
მე სამივეს მივახალე მტკიცედ „არა“.
გულცივი და ულმობელი დავრჩი მათთან,
ვერ გამტეხა ვერც სვეწნამ და ვერც მუდარამ.
ეს კია, რომ სამივესთან მართომ ღამით
მთვარის შუქზე ვისეირნე ერთხელ ნავით.
მხოლოდ მტკიცედ კი მეჭირა მათთან თავი;
არ ივარგებს, მყისვე ქვეშ თუ გაუგორდი.
უგულო და ცივი უნდა დარჩე მარად,
თორემ ამას შეიძლება რა არ მოჰყვეს,
თუ მაშინვე არ მიუგებ მტკიცედ „არას“.

3

მაგრამ აი, ერთ მშვენიერ დღესაც, ვნახოთ,
მოვიდა ის, ვინც არაფერს არა მთხოვდა:
ჩემს სენაკში ჩამოჰკიდა ქუდი დინჯად;
მე არაფრის თავი უკვე აღარ მქონდა.
და თუმც სულ არ ჰქონდა ფული,
და არც კალმით იყო იგი დახატული,
არც ოდესმე სცმია სუფთა ტანსაცმელი,
და არ ჰქონდა ყოფაქცევა რაინდული,

ვერ ვუთხარი მტკიცედ „არა“.
გულცივი და უგრძობელი ვერ ვიყავი,
არ დასჭირდა ბევრი ხვეწნა და მუდარა.
და თუმც მთვარე ანათებდა მთელი ღამით,
სასეირნოდ არ წავსულვართ სადმე ნავით.
ვერა, მტკიცედ ვერ მეჭირა მასთან თავი,
ავიღე და ნებით გვერდით მივუწევი.
რა ვქნა, ველარ მოგიქეცი მე სხვაგვარად,
ვაი, ამას შეიძლება რა არ მოჰყვეს,
რადგან მყისვე ვერ მივუგე მტკიცედ „არა“.

პ ი ჩ ე მ ი. მაშ ასე, იმ გარეწრის ნათრეველა გახდა ჩვენი ქალი. რა კარგია, რა მშვენიერია!

ქ ა ლ ბ ა ტ ო ნ ი პ ი ჩ ე მ ი. თუ იმდენად უზნეო ხარ, რომ გათხოვება გინდა, რაღა მაინცდამაინც ცხენიპარია და შარაგზის მძარცველი ავირჩევია. დაიცა, ძვირად დაგიჯდება! არა, ადრევე უნდა მცოდნოდა. პატარაობიდანვე თავი ისე ეჭირა, თითქოს ინგლისის დედოფალი ყოფილიყო!

პ ი ჩ ე მ ი. მართლა გათხოვილა და ეს არის!

ქ ა ლ ბ ა ტ ო ნ ი პ ი ჩ ე მ ი. ჰო, გუშინ, საღამოს ხუთ საათზე!

პ ი ჩ ე მ ი. ცნობილ ბოროტმოქმედზე. კარგად რომ ჩაუფიქრდე ადამიანი ამ ამბავს, ნამდვილად დიდ გამბედაობას იჩენს ის კაცი. მე რომ ჩემი ქალი-შვილი, ჩემი მოსუცებულობის უკანასკნელი იმედი, ასე გაგაჩუქო, მაშინვე დაემსობა ჩემი სახლი და დედაბუდიანად ყველანი მიმატოვებენ. თუ ჩემს საიდუმლოებებს გავცემ, შიმშილით სიკვდილი არ ამცდება, დიას, თუ სამივეს ერთადერთი მორი გვეყო მთელ ზამთარს, მაშინ იქნებ მომავალ წელსაც მოვესწროთ.

ქ ა ლ ბ ა ტ ო ნ ი პ ი ჩ ე მ ი. ჰოდა, რა გინდა, რომ იღონო? წყალში გადაგვეყარა ამოდენა ამაგი, იონათან. ღამის ჭკუიდან შევიშალო. თავბრუ მეხვევა. თავს ველარ ვიმაგრებ. ვაიმე! (გული მისდის.) ერთი სირჩა კონიაკი!

პ ი ჩ ე მ ი. ხედავ, სადამდე მიიყვანე დედაშენი. ჩქარა!

პ ო ლ ი გაღის.

მაშ ასე, იმ გარეწრის ნათრეველა გახდა. რა კარგია, რა მშვენიერია! საკვირველია პირდაპირ, როგორ განიცადა ამ საწყალმა ქალმა. (პოლი უკან ბრუნდება და ბოთლით კონიაკი შემოაქვს.) აი, ესღა არის საბრალო დედაშენისათვის ნუგეში.

პ ო ლ ი. მეორე სირჩაც დაუსხი. როცა დედაჩემი ცუდად არის, ორმაგ

დღუზას იტანს. ხელად ფეხზე წამოაყენებს ხოლმე. (პოლის მთელი ამ სცენის განმავლობაში ბედნიერი სახე ჰქონდა.)

ქ ა ლ ბ ა ტ ო ნ ი პ ი ჩ ე მ ი (გრძნობაზე მოდის). ოჰ, ახლა ისე მოიკატუნებს თავს, ვითომ ძალიან შესტკივა გული და ჩემზე ზრუნავს კიდევ!

შემოდის ხუთი მათხოვარი.

მ ა თ ხ ო ვ ა რ ი. იცოდეთ, საჩივლელად მოვედი. ეს ტაკვი კი არა, ტაკ-ვუნაა. თანაც ისე ყარს, რომ საღორეშიც არ იქნება ამნაირი სუნი. ამ მიქარვაში ფულს ვერ გადავყრი.

პ ი ჩ ე მ ი. რა გინდა, ეს ტაკვი სხვისაზე რითია ნაკლები, ოღონდ სუფთად უნდა შეინახო.

მ ა თ ხ ო ვ ა რ ი. კარგი, მაშ სხვებზე ნაკლებს რატომ ვშოულობ? ვერა, აგრე იოლად ვერ გამაცრუებთ. (ტაკვს განზე გადააგდებს.) მირჩევნია ნამდვილი ფეხი მოვიჭრა, ვიდრე ეგ მიქარვა ვატარო.

პ ი ჩ ე მ ი. არა, მაინც ჩემგან რა გინდათ? მე რა შემიძლია, თუკი ადამიანებს რიყის ქვასავით უგრძნობელი გული აქვთ? ხუთ-ხუთ ტაკვს ხომ ვერ დაგირიგებთ ყველას? ხუთიოდე წუთში ადამიანს ისეთ გასაცოდავებულ საფრთხობელად ვაქცევ, რომ იმის დამნახავი ძაღლიც კი აწკმუტუნდება და რა ჩემი ბრალია, თუ ადამიანები არ ტირიან?! აი, აჰაანდე, კიდევ ერთი ტაკვი, თუკი ეგ არა გყოფნის. მაგრამ მოუარე ხოლმე შენს ნივთებს!

მ ა თ ხ ო ვ ა რ ი. ამას კიდევ არა უშავს რა.

პ ი ჩ ე მ ი (პროთეზს უსინჯავს მეორე მათხოვარს). ტყავი არ ვარგა, ცელია, რეზინი უფრო ამაზრზენია. (მესამეს.) კოპი უკვე დაგცხრობია და თანაც ეგ უკანასკნელია. ახლა ისევ თავიდან უნდა დავიწყოთ. (თან მეოთხეს სინჯავს.) რასაკვირველია, ნამდვილი ქეცი როგორ მოვა ხელოვნურთან. (მეხუთეს.) ეს რას დამსგავსებინახარ? ეტყობა, მაგრად იყორავ მუცელს, ისე გატიკნილხარ, სანიმუშოდ უნდა დაგსაჯოს კაცმა.

მ ა თ ხ ო ვ ა რ ი. ბატონო პიჩემ, ლამის სული ამომხდეს შიმშილისაგან, მაგრამ რა ვქნა, სიმსუქნისაკენ ავადმყოფური მიდრეკილება მაქვს, ჩემი ბრალი არ არის.

პ ი ჩ ე მ ი. ჩემი ხომ სულ არ არის და არ არის, გამითავისუფლებინახარ. (ისევ მეორე მათხოვარს.) „შემრწუნებასა“ და „ნერვებზე მოქმედებას“ შორის, რა თქმა უნდა, განსხვავებაა, ჩემო ძვირფასო. დიახ, მე დახვეწილი ოსტატები მჭირდება. მარტოოდენ მათ ძალუძთ დღეს ვისიმე გული შეადრწუნონ. რიგიანად რომ მუშაობდეთ, საზოგადოება ტაშით დაგაჯილდოვებდათ! შენ კი თავში არაფერი მოგდის! ასე რომ, იძულებული ვარ შენთან დადებული ხელშეკრულების ვადა აღარ გავაგრძელო.

მ ა თ ხ ო ვ რ ე ბ ი გადიან.

პოლი. ერთი შეხედვე ამას, იქნებ გგონია, რომ ლამაზია? ხომ ხედავ, რომ არა. მაგრამ შეძლება აქვს. კარგად შემინახავს! შესანიშნავი ქურდია, შორსმჭვრეტელი და გამოცდილი ყაჩაღი. ზუსტად ვიცი, აი შემოძლია გითხრა კიდევ, რამდენს შეადგენს დღეისათვის მისი დანაზოგი. კიდევ რამდენიმე საქმის ბედნიერად დაგვირგვინება და ჩვენ შეგვეძლება სადმე ქალაქგარეთ დავბინავდეთ პატარა სახლში, არცთუ ბატონ შექსპირზე ნაკლებად, რომელსაც მამა ასე აფასებს.

პიჩემი. მაშ, ყველაფერი იოლად მოგვარებულა; გათხოვდი. რას აკეთებენ, როცა გათხოვდებიან? ეჰ, აბა, შენ რას მოიაზრებ! იყრებიან, ასე არ არის? ნუთუ ეს ასე ძნელი მისახვედრია?

პოლი. არ მქესმის, რას გულისხმობ.

პიჩემი. გაყრას.

პოლი. კი, მაგრამ რომ მიყვარს, როგორ შემოძლია გაყრაზე ვიფიქრო?

ქალბატონი პიჩემი. ნუთუ ოდნავ მაინც არა გრცხვენია?

პოლი. დედიკო, თუ ოდესმე შეყვარებული ყოფილხარ...

ქალბატონი პიჩემი. შეყვარებულიო! იმ წყეული წიგნების კითხვამ სულ მთლად გადავრია. ყველა ასე აკეთებს, პოლი!

პოლი. მაშინ მე გამონაკლისი ვყოფილვარ.

ქალბატონი პიჩემი. ერთი კარგისას მოგაყოლებ მაგ კურტუმში და მაშინ ვნახავთ რა გამონაკლისიცა ხარ!

პოლი. ჰო, ყველა დედა ასე იქცევა, მაგრამ ამით საქმეს ვერა ეშველება რა, კურტუმს არას დაგიდევინ, როცა შეყვარებულები არიან.

ქალბატონი პიჩემი. ნუ ჩავვიფლავებ ყველაფერს.

პოლი. ნებას არ მოგცემთ სიყვარული წამართვათ.

ქალბატონი პიჩემი. ხმა ვაკმინდე, თორემ სილას გაგაწნავ.

პოლი. ამქვეყნად სიყვარულზე ამაღლებული არა არის რა.

ქალბატონი პიჩემი. იმ ყმაწვილს საერთოდ ბლომადა ჰყავს ქალები. გინდაც ჩამოახრჩონ, ერთი რატომ ნახევარი დუჟინი ქვრივი მაინც არ წამოყოფს თავს და ყოველ მათგანს რატომ თითო ღლაპი მაინც არ ეყოლება ხელზე ატატებული, ვაიმე, ჯონათან!

პიჩემი. ჩამოახრჩონო? ეგ როგორ მოიფიქრე? ეგ რა კარგი რამე მოიფიქრე! პოლი, აბა გარეთ გადი. (პოლი გადის.) სწორია. ნაღდ ორმოც გირვანქას გავიკრავთ.

ქალბატონი პიჩემი. მესმის, შერიფთან რომ დავაბეზლოთ.

პიჩემი. რასაკვირველია. თანაც ჩამოახრჩობენ კიდევ. ჩვენ არაფერს არა ვკარგავთ, პირიქით, ორ კურდღელს დავიჭერთ. ოღონდ ჯერ უნდა გავიგოთ, სად იმალება.

ქალბატონი პიჩემი. მაგას მე გეტყვი დანამდვილებით, ჩემო ძვირფასო, უთუოდ თავის კახპებთან იქნება.

პიჩემი. ჰო, მაგრამ ისინი რას გასცემენ.

ქალბატონი პიჩემი. რა გინდა, ეს საქმე მე მომანდე. ფული განაგებს ქვეყანას. ახლავე ტარნბრიჯში წავალ და გოგოებს მოველაპარაკები. თუ ის ვაჟბატონი ორიოდე საათის შემდეგ თუნდაც ერთ-ერთ მათგანს მაინც შეხვდება, მისი წირვა გამოსულა.

პოლი (კარს უკან იდგა და ისმენდა). დედიკო, ამაოდ ნუ დაშვრები. მეკი თავისი ფეხით უფრო მივა ოლდ ბეილის ციხეში, ვიდრე ისეთ უნამუსოებთან საქმეს დაიჭერს. მაგრამ თუნდაც მართლა რომ მივიდეს ოლდ ბეილში, შერიფი კოკტიელით გაუმასპინძლდება, სიგარებს გააბოლებენ და მავან და მავან დაწესებულებაზე ისაუბრებენ, რომელიც ამ ქუჩაზეა და, რომელშიც ყველაფერი რიგზე არ უნდა იყოს, რადგან, მამილო, ის შერიფი ჩვენს ქორწილში იყო და ბევრიც იმსიარულა.

პიჩემი. რა გვარია?

პოლი. მისი გვარი ბრაუნია, მაგრამ შენ ალბათ როგორც ბრაუნ-აფთარს იცნობ, ვინაიდან ყველა, ვისაც კი საფუძველი აქვს მისი ეშინოდეს, ბრაუნ-აფთარს უწოდებს. ჩემი ქმარი კი, წარმოიდგინე, ჯეკის ეძახის, რადგან მისთვის უბრალოდ ჯეკია. სიყრმის მეგობრები არიან.

პიჩემი. მაშ ასე, მაშ, მეგობრები არიან? შერიფი და ყველაზე დიდი ბოროტმოქმედი! ალბათ ერთადერთი მეგობრები არიან ამ ქალაქში.

პოლი (გატაცებით). როდესაც ერთად შეექცევიან კოკტიელს, ერთმანეთს ლოყებზე უტყაბუნებენ ხელებს და ეუბნებიან: თუ შენ ერთს კიდევ გადაჰკრავ, მაშინ მეც თანახმა ვარ კიდევ ერთი გადავხუხო. ხოლო თუ ერთმა გარეთ გასვლა მოინდომა, მეორეს მაშინვე უწყლიანდება თვალები და ამბობს: თუ შენ სადმე გასვლა გინდა, მეც მოვდივარო. სკოტლენდ-იარდში მეკიზე მასალა არ მოიძევება.

პიჩემი. მაშ ასე, ასე, ოთხშაბათ საღამოს ბატონმა მაკპითმა, იქცვს გარეშეა, უკვე მრავალგზის დაქორწინებულმა, ცოლად შერთვის საბაბით შინიდან გაიტყუა ჩემი ქალიშვილი პოლი პიჩემი და დილაშივე ჰყავდა. ერთი კვირაც არ გავა, რომ ამ საბაბით სახრჩობელაზე აიყვანენ, რასაც დიახაც იმსახურებს. „ბატონო მაკპითო, ოდესღაც თეთრი ლაიკის ხელთათმანებსა და სპილოს ძვლის ბუნიკიან ხელჯოხს ატარებდით, ნაჭრილობევი გაჩნდათ ყელზე და ოტელ „მელანთევზში“ ხშირად დაიარებოდით. ახლა კი მხოლოდ ნაჭრილობევი შემოგრჩათ, ყველაზე ნაკლებად ღირსეული რამ თქვენი დამასახიათებელი ნიშნებიდან, და გისოსებს მიღმა თუ დადისართ. ხოლო სულ მალე კი აღარსად არ ივლით“...

ქალბატონი პიჩემი. ეჰ, ჯონათან, მაგას შენ ვერ შეძლებ. საქმე

სომ მეკი-დანას ეხება, რომელსაც ლონდონის ყველაზე დიდ ბოროტმოქმედს უწოდებენ. რასაც მოინდომებს, ყველაფერი იმისია:

პ ი ჩ ე მ ი. მეკი-დანა ვინა გდია! აბა, მარდად მოემზადე, ჩვენ ლონდონის შერიფთან წავალთ, შენ კი ტარნბრიჯისაკენ გასწი.

ქ ა ლ ბ ა ტ ო ნ ი პ ი ჩ ე მ ი. იმის კასპებთან!

პ ი ჩ ე მ ი. რადგან იმდენად უკუღმართია წუთისოფელი, რომ ან ფეხები უნდა დაგწყდეს ვაიუბედურებასა და ჯახირში, ანდა იმავე ფეხებს ტყუილ-უბრალოდ აგწაპნიან.

პ ო ლ ი. მამა, მე სიამოვნებით ვინახულებ ბატონ ბრაუნს და ხელსაც ჩამოვართმევ.

სამივენი ავანსცენაზე გამოდიან და „სასიმღერო“ განათებაში მღერიან პირველ ფინალს. დაფებს აწერია:

პ ი რ ვ ე ლ ი ს ა მ გ რ ო შ ი ა ნ ი ფ ი ნ ა ლ ი

იმის შესახებ, რომ ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულება არასაიმედოა.
პ ო ლ ი.

რა იქნება მუდამ სხვაზე
არ მრჩებოდეს შურით თვალი,
რომ მეც მყავდეს სახლში ქმარი
ამ უკუღმართ ქვეყანაზე.

პ ი ჩ ე მ ი (ბიბლიით ხელში).

ადამიანს უფლება აქვს იყოს ქვეყნად ბედნიერი,
რადგან ასე ხანმოკლეა დღენი მისი სიცოცხლისა;
ქვის მაგივრად ხელთა პქონდეს მუდამ ლუკმა გემრიელი,
მოზიარე იყოს ყველა ამქვეყნიურ სიამისა.
მისი წმინდა უფლებაა იყოს ქვეყნად ბედნიერი,
მაგრამ ჩვენდა საფალალოდ ეს არ ხდება მუდამ ასე:
ვისაც რისი უფლება აქვს თავისათვის იმას კრეფდეს.
ვინ იტყოდა ნეტავ უარს მაშინ თავის უფლებაზე,
ჩარხი ჩვენი ცხოვრებისა ნავსად რომ არ ტრიალებდეს?

ქ ა ლ ბ ა ტ ო ნ ი პ ი ჩ ე მ ი.

განა რა მაქვს, სულზე ტკბილო,
ქვეყნად შენთვის დასაშური?
ჩემი სითბო, ჩემი სული
შენ ერთს მინდა შემოგწირო.

პ ი ჩ ე მ ი .

ქვეყნად კეთილ კაცად ყოფნა ვის არ სურს და ვის არ უნდა, რომ ღარიბებს და ქვრივ-ობლებს მისცეს, რაც კი აბადია, მაგრამ ეს რომ ასე მოხდეს, ხომ სამოთხე დაგვიბრუნდა და უფალმაც ყველა ჩვენი შეცოდება გვაპატია.

ქვეყნად კეთილ კაცად ყოფნა ვის არ სურს და ვის არ უნდა, მაგრამ ჩვენდა სავალალოდ ამ ჩვენს ცოდვილ პლანეტაზე არც სახსრები აღარ გვყოფნის, აღარც გული აღარ გულობს. ვის არ სურდა კაცთა მოდგმა გაეყვანა ფართო გზაზე, უფსკრულისკენ რომ არ გვიჩნდეს დასავალი უსასრულო?

პ ო ლ ი და ქ ა ლ ბ ა ტ ო ნ ი პ ი ჩ ე მ ი .

სამწუხაროდ, ეს ამაში მართალია სრულიად, რომ განწირულ სამყაროში კაციც განწირულია!

პ ი ჩ ე მ ი .

სამწუხაროდ, მე ამაში მართალი ვარ სრულიად, რომ განწირულ სამყაროში კაციც განწირულია!

ვინ იტყოდა ამქვეყნიურ სამოთხეზე უარს ნეტავ, ამისათვის საფუძველი რომ გააჩნდეს ჩვენს პლანეტას?

ვის არ უნდა მეგობრობა? განა ვინმე იტყვის „არას“?

მაგრამ შენი ღვიძლი ძმაც კი, გასაყოფი თუ გაქვთ რამე, არ დაგიდევს უკვე ძმობას, შემოგხვდება სადმე ღამე და გაგიყრის გულში დანას.

ვის არ უნდა ერთგულება? განა ვინმე იტყვის „არას“?

მაგრამ ცოლი რომ ცოლია, თუ მოაკვლ შენ სიამე, არ დაგიდევს ერთგულებას, მყის გაგიყიდის სადმე ღამე, ან გაგიყრის გულში დანას.

ვის არ უყვარს ღვიძლი შვილი? განა ვინმე იტყვის „არას“?

მაგრამ თუკი სიბერის ჟამს მოაკვლი სახლში რამე, რას დაგიდევს მშობლის ამაგს, გამოგაგდებს გარეთ ღამე, ან გაგიყრის გულში დანას.

ქვეყნად გულკეთილობაზე განა ვინმე იტყვის „არას“?!

პ ო ლ ი და ქ ა ლ ბ ა ტ ო ნ ი პ ი ჩ ე მ ი .

დიახ, ამ სიღუხჭირეს ვერ უშველის ვერავინ;

დიახ, ამ ბოროტებას ვეწირებით ყველანი;

სამწუხაროდ, ეს ამაში მართალია სრულიად,

რომ განწირულ სამყაროში კაციც განწირულია!

პ ი ჩ ე მ ი.

სამწუხაროდ, მე ამაში მართალი ვარ სრულიად,
რომ განწირულ სამყაროში კაციც განწირულია!
ვინ იტყოდა ამქვეყნიურ სიკეთეზე უარს ნეტავ,
ამისათვის საფუძველი რომ ჰქონოდა ჩვენს პლანეტას?

ს ა მ ი ვ ე ნ ი ე რ თ ა დ.

ღიას, ფუჭი ყოფილა ქვეყნად მართლაც ყოველი
და ჩვენც ამ ცხოვრებაში კარგს აღარას მოველით.

პ ი ჩ ე მ ი.

სამწუხაროდ, მე ამაში მართალი ვარ სრულიად,
რომ განწირულ სამყაროში კაციც განწირულია!

ყ ვ ე ლ ა ნ ი ე რ თ ა დ.

ჰოი, ამ სიღუხტირეს ვერ უშველის ვერავინ;
ჰოი, ამ ბორბლებას ვეწირებით ყველანი!
ღიას, ფუჭი ყოფილა ქვეყნად მართლაც ყოველი,
ღიას, ამ ცხოვრებაში კარგს აღარას მოველით!

ხუთშაბათია, ნაშუადღევია. მეკი-დანა ცოლს ეთხოვება და ჰაიგეიტის ჭაობში აპირებს გაქცევას, რათა სიმამრს თავი დააღწიოს.

ს ა ჯ ი ნ ი ბ ო

პ ო ლ ი (შემოდის). მეკი, მეკი, არ შეგეშინდეს.

მ ე კ ი (საწოლზეა გაშოტილი). რა იყო, რა მოგიფიდა, პოლი?

პ ო ლ ი. ბრაუნთან ვიყავი და მამაჩემიც იქ იყო. შენი დაჭერა უნდათ. მამაჩემი რაღაც საშინელით დაემუქრა, ბრაუნი ჯერ შენს მხარეზე იყო, მაგრამ მერე მოტყდა და ახლა მასაც მიაჩნია, რომ სასწრაფოდ უნდა მიიმალა რამდენიმე ხნით, მეკი, ახლავე უნდა აიბარგო.

მ ე კ ი. ავიბარგო? აჰ, რა სისულელეა. მოდი ჩემთან, პოლი, ბარგის ჩალაგების მაგიფრად სულ სხვა რამეთი მინდა გავერთოთ.

პ ო ლ ი. არა, რა დროს ეგ არის. ისე შეშინებული ვარ. სულ სახრჩობელა ეკერათ პირზე.

მ ე კ ი. არ მიყვარს, როცა უინიანობას იწყებ. სკოტლენდ-იარდში ჩემზე მასალა არ მოიძევება.

პ ო ლ ი. ჰო, გუშინ შეიძლება არ მოიძევებოდა, მაგრამ დღეს ერთბაშად აუარებელი რამ დაგროვდა. საბრალოდებლო აქტი თან წამოვიდე. შენ თურმე... რა ვიცი, ყველაფერს რა გამახსენებს, იმოდენა სიბა, რომ ბოლო არა აქვს... ორი ვაჭარი დაგიღუპია, ოცდაათზე მეტი სახლი გაგიტეხია, ოცდასამჯერ ქუჩაში დასხმისარ ხალხს თავს. ახლა რამდენი ხანძრის გაჩენა, წინასწარგანზრახული მკვლელობა, საბუთების გაყალბება, ცრუ მოწმობა და

ყოველივე ეს წელიწადნახევარში. საშინელი ვინმე ხარ, ხოლო ვინჩესტერში ორი მცირეწლოვანი და შეგიცდენია.

მეკი. მე მითხრეს, ოც წელზე მეტისანი ვართო. ბრაუნმა რა თქვა? (ნელა წამოდგება და სცენის მარჯვენა მხარეს სტვენით გაივლის რამპის წინ.)

პოლი. ვესტიბიულში დამეწია და მითხრა, რომ ახლა უკვე ველარაფრით ვერ დაგეხმარება. ვაიმე, მეკი! (ყელზე შემოეჭდობა.)

მეკი. მაშ კარგი, თუ გაქცევით უნდა გუშველო თავს, მაშინ საქმეებს შენ უნდა გაუძღვე.

პოლი. რა დროს საქმეებზე ლაპარაკია, მეკი. მათი გაგონებაც კი არ შემიძლია. ერთხელ კიდევ აკოცე შენს საბრალლო პოლის და შეჭფიცე, რომ არასოდეს, არასოდეს... (მეკი უკმეხად აწყვეტინებს სიტყვას, მიჰყავს მაგიდასთან და ერთ-ერთ სკამზე სვამს.)

მეკი. აი, ეს მთავარი დავთარია, კარგად დამიგდე ყური. ეს ჩემი ხალხის სიაა. (კითხულობს.) მაშ, ბარჯია-ჯეკობი. წელიწადნახევარია აყვანილი მყავს. აბა, ვნახოთ, რა აქვს მოტანილი. ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი ოქროს საათი. ბევრი არ არის, მაგრამ სუფთა ნამუშევარია. ძუსლებზე ნუ მჯდები. მაგის გუნებაზე არა ვარ. შემდეგ მოდის უოლტერი, მეტსახელად „მტირალა ტირიფი“. სანდო არ არის ის ძაღლი. ჩუმ-ჩუმად თავისთვის წაპნის! სამი კვირაც ადროვე. სახრჩობელას ხომ მაინც ვერსად წაუვა. მერე გააგდე. ბრაუნს მოახსენე და მორჩა.

პოლი (სლუკუნით). ბრაუნს მოვახსენო და მორჩა.

მეკი. ჯიმი II, ურცხვი ჯეელია. შოვნით შოულობს, მაგრამ ნამუსის ბეწვი გაცვენილი აქვს. საუკეთესო საზოგადოების ქალებს ზეწრებს აცლის კურტუმის ქვემოდან. ავანსი მიეცი.

პოლი. ავანსი მივცე.

მეკი. ხერსუნა-რობერტი წვრილმან საქმეზე დადის. ნიჭის ნატამალიც არ გააჩნია. სახრჩობელაზე ვერ მოხვდება, მაგრამ მემკვიდრეობასაც ვერ დატოვებს.

პოლი. მემკვიდრეობას ვერ დატოვებს.

მეკი. სხვამხრივ კი ისევ ისე მოიქეცი, როგორც აქამდე იქცეოდი. შვიდ საათზე ადგები, პირს დაიბან, აბაზანას მიიღებ და ა. შ.

პოლი. სწორია, გული უნდა გავიმაგრო და საქმეს მივხედო. რაც შენია, ახლა ჩემიც არის, განა ასე არ არის, მეკი? შენს ოთახებს რაღა ვუყო? უარი ხომ არა ვთქვა? აფსუსია, ამდენი ქირა ტყუილად რატომ უნდა ვიხადო?

მეკი. არა, ოთახები კიდევ დამჭირდება.

პოლი. კი, მაგრამ რისთვის? ხუმრობა საქმეა, ცოტა ფული ხომ არ გვიჯდება.

მეკი. შენ, როგორც ჩანს, ფიქრობ, რომ საერთოდ აღარ დაგბრუნდები?

პოლი. რას ამბობ! მერე ხომ შეგიძლია ისევ დაიქირავო! მეკი... მეკი, მეტი აღარ შემიძლია. პირში შემოგცქერი და კი არ შეყურება, რას ამბობ. ხომ ჩემი ერთგული იქნები, მეკი?

მეკი. რასაკვირველია, ერთგული ვიქნები. - ხომ იცი, რასაც დასთეს, იმას მოიძიებ. ნუთუ გგონია, რომ არ მიყვარხარ? თღონდ შენზე უფრო შორს ვისელები.

პოლი. რა მაღლიერი ვარ შენი, მეკი! ჩემზე ზრუნავ, როდესაც შენზე მეძებარი ძაღლებივით არიან დაგეშილნი...

„მეძებარი ძაღლებს“ გაგონებაზე მეკი ერთ ადგილზე გაშეშდება, შემდეგ დგება, სცენის მარჯვენა მხარეს მიდის. პიჯაკს გაიძრობს და ხელებს იბანს.

მეკი (ნაჩქარევად). სუფთა მოგებას კვლავინდებურად ჯეკ პულის საბანკო სახლს გადაუგზავნი ხოლმე მანჩესტერში. ჩვენს შორის დარჩეს და რამდენიმე კვირაში ალბათ სულ საბანკო საქმიანობაზე გადავალ. უფრო საიმედოც არის და უფრო შემოსავლიანიც. სულ ბევრი, ორი კვირის შემდეგ ფული უნდა ამოვიღოთ ჩვენი საქმიდან. მაშინ ბრაუნთან მიხვალ და ამ სიას პოლიციას გადასცემ. და, სულ ბევრი, ოთხ კვირაში კაცობრიობის ეს ნაძირალები ოლდ ბეილის დილეგებში გაუჩინარდებიან.

პოლი. ჰო, მაგრამ, მეკი, როგორ შეგიძლია მათ სახეში შეხედო, თუ ყველას ხაზი გადაუსვი და სახრჩობელა არ ასცდებათ? როგორ შეგიძლია მათ ხელი ჩამოართვა?

მეკი. ვის? ხერხუნა-რობერტს, მათიას-მანეთიანს, ბარჯია-ჯეკობს? იმ გარეწრებს?

შემოდინ : გ ი მ ე ლ ე ბ ი .

ბატონებო, დიდად მახარებს თქვენი ნახვა.

პოლი. გამარჯობათ, ბატონებო.

მათიასი. კეპტენ, მე დედოფლის კურთხევის განრიგი ჩავიგდე ხელში. უნდა მოგახსენოთ, რომ მაგარი მუშაობა მოგველის, ნახევარ საათში კენტერბერის არქივისკოპიის ჩამოღის.

მეკი. როდის?

მათიასი. ხუთ საათსა და ოცდაათ წუთზე. ახლავე უნდა შევუდგეთ საქმეს, კეპტენ.

მეკი. ჰო, თქვენ ახლავე უნდა შეუდგეთ საქმეს.

რობერტი. რას ნიშნავს „თქვენო“?

მეკი. ჰო, რაც შემეხება მე, სამწუსაროდ, იძულებული ვარ ცოტა ხნით გავემგზავრო.

რობერტი. ღვთის გულისათვის, ნუთუ თქვენი მოყუჩება უნდათ?

მათიასი. არა, რაღა მაინცდამაინც ახლა, დედოფლის კურთხევის წინ! კორონაცია უთქვენოდ იგივეა, რაც ფაფა უკოვზოდ.

მეკი. პირი მოკეტე! ამის გამო საქმის ხელმძღვანელობას ცოტა ხნით ჩემს მეუღლეს ვაკისრებ. პოლი! (წინ გამოჰყავს ცოლი, თვითონ კი სცენის სიღრმეში მიდის და იქიდან ადევნებს თვალყურს.)

პოლი. ბიჭებო, მე მგონი, ჩვენს კეპტენს შეუძლია არხეინად გაემგზავროს. საქმეს უიმისოდაც მოვაბამთ თავს, თანაც საკმაოდ შანსიანადაც, არა, ბიჭებო?

მათიასი. საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ არ ვიცი, შეძლებს თუ არა ქალი და ისიც ასეთ დროს... ამით თქვენ კი არ მინდა გაწყენინოთ, ქალბატონო.

მეკი (სცენის სიღრმიდან). აბა, რას იტყვი ამაზე, პოლი?

პოლი. ოჰ, შე ზინტლიანო, ასე იწყებ განა? (უყვირის.) აბა, ერთი გაბედე და მაწყენინე, ნახავ, ეს ბატონები რომ მაშინვე შარვალს ჩაგხდიან და რბილ ადგილებს აგიჭრელებენ. ხომ მართაღს ვამბობ, ბატონებო?

ხანმოკლე პაუზა. შემდეგ ყველანი მლეგურად უკრავენ ტრუსს.

ჯეკობი. ხედავ, რა ყოფილა, როგორ დაგიცაცხანა.

უოლტერი. ყოჩაღ, მისის კეპტენს ენაზე ჭავლი არ წამოედება! ვაშა პოლის!

ყველანი. ვაშა პოლის!

მეკი. ვაგლახ, რომ დედოფლის კურთხევაზე არ ვიქნები! ასპროცენტისანი საქმეა. დღისით მთელი ბინები ცარიელი იქნება, ღამე კი მთელი მაღალი საზოგადოება გალესილი. მართლა, მათიას, ძალიან ბევრსა სვამ. გასულ კვირას გადაკვრით გითქვამს, რომ გრინვიჩში ბავშვთა საავადმყოფოს შენ წაუკიდე ცეცხლი. თუ კიდევ განმეორდა ასეთი რამე, იცოდე, მოეხსნის. ვინ წაუკიდა ცეცხლი ბავშვთა საავადმყოფოს?

მათიასი. მე, არა?

მეკი (დანარჩენებს). ვინ წაუკიდა ცეცხლი?

დანარჩენები. თქვენა, ბატონო მაკპით.

მეკი. მაშ, ვინა?

მათიასი (ბუზღუნით). თქვენ, ბატონო მაკპით. ასე, რა თქმა უნდა, ვერც ერთი ჩვენგანი ვერასოდეს ვერ ამალღდება.

მეკი (ხელებით გამოსახავს, როგორ ჩამოახრჩობენ მათიასს). შენ მაინც ნაღდად ამალღდები, თუ ფიქრობ, რომ ჩემთან გატოლება შეგიძლია. გა-

ნა გაგონილა, რომ ოქსფორდელმა პროფესორმა თავის მეცნიერულ რატარუტზე რომელიმე ასისტენტს მოაწერინოს ხელი? პროფესორი თვითონ აწერს ხოლმე ხელს.

რ ო ბ ე რ ტ ი. ქალბატონო, ვიდრე თქვენი მეუღლე აქ არ იქნება, თქვენს განკარგულებაში გვიგულვეთ. ანგარიშსწორება ხუთშაბათობით იყოს, ქალბატონო.

პ ო ლ ი. ხუთშაბათობით იყოს, ბიჭებო.

გ ი მ ე ლ ე ბ ი გადიან.

მ ე კ ი. ახლა კი ნახვამდის, ჩემო სულიკო. თავს მოუარე და არ დაგავიწყდეს, ყოველდღე ფერუმაირილი წაიცხო ხოლმე, თითქოს მე აქ ვიყო. ეს ძალზე არსებითია, პოლი.

პ ო ლ ი. შენ კი დამპირდი, რომ არც ერთ ქალს არ შესედავ, მეკი, და დაუყოვნებლივ გაემგზავრები აქედან. გჯეროდეს, შენი პატარა პოლი ამას ეჭვიანობის გამო კი არ გეუბნება, არამედ ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

მ ე კ ი. აბა, მე რაში მენაღვლება, რამდენი ძირგაგარდნილი სათლია ამქვეყნად. მე ხომ მხოლოდ შენ მიყვარსარ. როდესაც კარგად შებინდდება, ჩემს შავლეგა ცხენს გამოვიყვან რომელიმე საჯინიბოლდან და ვიდრე შენს სარკმელში მთვარე გამოჩნდებოდეს, უკვე ჰაიგეიტის ჭაობს მიღმა ვიქნები.

პ ო ლ ი. აჰ, მეკი, ლამის გული გამერღვეს შენი სიყვარულისაგან. დარჩი ჩემთან და ბედნიერნი ვიქნებით.

მ ე კ ი. მეც მაგ დღეში ვარ, მაგრამ უნდა წავიდე და ვინ იცის, როდის დაგბრუნდება.

პ ო ლ ი. რა ხანმოკლე იყო ყველაფერი, მეკი.

მ ე კ ი. ნუთუ გათავდა ყველაფერი?

პ ო ლ ი. აჰ, გუშინ სიზმარი ვნახე, თითქოს შესახვევიდან სიცილი გავიგონე. გამოვადე ფანჯარა და ჩვენი მთვარე დავინახე, ისეთი თხელი, ისეთი სიფრიფანა, როგორც სიქაგადაცლილი პენი. არ დამივიწყო, მეკი, უცხო მხარეში.

მ ე კ ი. რა თქმა უნდა, არ დაგივიწყებ, პოლი, მაკოცე, პოლი.

პ ო ლ ი. ნახვამდის, მეკი.

მ ე კ ი. ნახვამდის, პოლი. (გასვლისას.)

სიყვარულს კი სიცოცხლეს ნუ განაცვალვებთ,
ვიგემოთ და შემდეგ ქარს გავატანოთ.

პ ო ლ ი (მარტოკა). აღარ დაბრუნდება.

ყოველივე, როგორც იყო,
ნეტავ სულ არ შეცვლილიყო;
მაგრამ დღეს კი მისი სახე
სჯობს გულიდან ამოვიღო.
რას მიშველის მე საბრალოს
ტირილი და ოხვრა-კვნესა,
ჩემზე ადრე ყოველივე
თუ გადახდა დედაჩემსაც.

ისმის ზარების რეკვა.

მალე ლონდონში შემოვა დედოფალი ინგლისისა,
სად ვიქნებით ჩვენ ნეტავი მისი ძეფედ კურთხევისას?

ინტერმედია

ფარდის წინ გამოდიან ქალბატონი პიჩემი და ნაძირალა
ჯენი.

ქალბატონი პიჩემი. მაშ ასე, როგორც კი მეკი-დანას ნახავთ,
მაშინვე პირველსავე კონსტებლთან მიიღებენ და გასცემთ.

ჯენი. ჰო, მაგრამ ჩვენ როგორღა გვენახვება, თუკი პოლიცია ეძებს.
თუ დასდევენ, ჩვენთან აღარ მოვა დროს გასატარებლად.

ქალბატონი პიჩემი. მე კი ვეუბნები, ჯენი, რომ თუნდაც მთელი
ლონდონი დასდევდეს, მეკი ისეთი კაცი არ არის, რომ ამის გამო თავის ჩვე-
ულებებს უღალატოს. (მღერის.)

ბალადა ხორციელი ვნების ვერაგობაზე

ხედავთ, აი ამ უტიფარ ვერაგსა და გაიძვერას,
თავის მონა-მორჩილებად რომ გვაქცია თითქმის ყველა;
რკინასაც კი რომ ინელებს და ცხოვრებას აღარ გვაცლის,
თვითონ მას ვინ მოთოკავს და მოინელებს? დედაკაცი!
ქალთან უკვე ვერ ასცდება დამარცხება უეჭველი,
რადგან მასზე ვერაგია ქვეყნად ვნება ხორციელი.

აპამპულებს ბიბლიას და ჩირად უღირს სამართალი,
ლამის თავის საკუთრებად მიიჩნიოს დედამიწა;
ქალთაგან კი რამდენადაც შეუძლია მანძილს იცავს,

რადგან იცის: არეგია მათგან მრავალს გზა და კვალი.
მაგრამ მაინც ამ სიფრთხილით დიდად თავს ნუ გამოიღებს,
დღეს თუ ხვალე უსათუოდ ზურგზე ვინმეს აიკიდებს.

განა ცოტა გვინახია ბრძენთა შორის რჩეულები,
მეძავეების სათამაშო ტიკინებად ქცეულები.
და ისინიც, ვინც შორიდან დასცინიან საცოდავებს.
მეძავეები იმათზედაც ჯაფრს იყრიან დღეს თუ ხვალე.
რაც არ უნდა იჩაღირონ ვერ უშველით ვერაფერი,
რადგან მათზე ვერაგია ქვეყნად ვნება ხორციელი.
ეს კოდექსებს იზეპირებს, ის კანონებს სულ არ იცნობს;
ერთი ვითომ ქრისტიანობს, მეორე კი ანარქისტობს;
ერთიც მარხვას ეძალება, შიმშილობს და ამით ხარობს,
ეშინია, არ მოგწყდეთ იდეების ვრცელ სამყაროს.
ამგვარ მკაცრი პრინციპებით დიდად თავს ნუ გამოიღებს,
დღეს თუ ხვალე უსათუოდ ზურგზე ვინმეს აიკიდებს.

II

დედოფლის კურთხევის ხარები ჯერ არ მიწყნარებულა, რომ მუკი-დანა
უკვე ტარნბრიჯის კახებთან იჯდა! მეძავეები ცასცემენ. ხუთშაბათი საღამოა.

ტარნბრიჯის საროსკიპო

ჩვეულებრივი სადაგი დღეა: როსკიპები, მეტწილად პერანგის ამარა,
საცვლებს იუთოვებენ, ქაღალდს თამაშობენ, იბანენ. ბიურგერული იდილია
სუფევს. ბარჯია-ჯეკობი გაზეთს კითხულობს, მას ზედაც არავინ
უყურებს, უფრო კი ფეხებში ედება ყველას.

ჯეკობი. დღეს არ მოვა.

როსკიპი. რაო?

ჯეკობი. მე მგონი, აქ ის საერთოდ აღარ მოვა.

როსკიპი. აფსუსი კია.

ჯეკობი. არა, მართლა? მე რომ მას ვიცნობ, უკვე ქალაქის მიჯნას
გაუცილებული იქნება. საქმე ისეა, რომ ნაღდად აითესებოდა.

შემოდის მაკჭითი, მლაპას ლურსმანზე ჰკიდებს და დივანზე ჯდება.

მეკი. აბა, ჩემებური ყავა.

ვიქსენი (აღტაცებული გაიმეორებს). „ჩემებური ყავა“!

ჯეკობი (შემძრწუნებული). როგორ, ჰაიგეიტში არ წასულხარ?

მეკი. დღეს ხომ ჩემი დღეა, ხუთშაბათი. ამნაირი სისულელეების გამო ჩემს ჩვეულებებს ხომ ვერ ვუღალატებ. (იატაკზე დაანარცხებს საბრალმდებლო აქტს.) თანაც გარეთ წვიმს.

ჯენი (საბრალმდებლო აქტს კითხულობს). „სახელითა მეფისათა კეპტენ მაკპითს ბრალი ედება სამმაგი“...

ჯეკობი (ხელიდან გამოჰგლეჯს). მეც ხომ არა ვარ შიგ?

მეკი. რასაკვირველია, მთელი ჩვენი ხალხია ჩამოთვლილი.

ჯენი (მეორე როსკიპს). ხედავ, საბრალმდებლო აქტია.

პაუზა

მეკი, აბა შენი ხელი მომეცით.

მეკი ხელს გაუშვერს.

დოღღი. ჰო, ჯენი, ხელზე უმკითხავე. შენ კარგად მკითხაობ. (ნავთის ლამპას მიანათებს.)

მეკი. მდიდარ მემკვიდრეობას მივიღებ?

ჯენი. არა, მდიდარი მემკვიდრეობა არა ჩანს.

ბეტა. როგორი სახე გაქვს, ჯენი, ადამიანს ტანში გააჟრჟოლებს.

მეკი. შორს გავემგზავრები მოკლე ხანში?

ჯენი. არა, შორს არა.

ვიქსენი. მაშ, რას ხედავ?

მეკი. ოღონდ, იცოდე, მხოლოდ კარგი თქვი, ავი რამ არ მითხრა!

ჯენი. ეჰ, რა ვქნა, კარგი არაფერია. ბნელეთი შემოგდგომია და სიყვარულიც ცოტაა. აი, კიდევ დიდი „ც“, რაც ქალის ცბიერებას ნიშნავს. კიდევ...

მეკი. მოიცა, რაც შეეხება ბნელეთსა და ქალის ცბიერებას, მე მსურს დაწვრილებით ვიცოდე, თუნდაც იმ ცბიერი ქალის სახელი.

ჯენი. მე მხოლოდ ვხედავ, რომ „ჯ“-ზე იწყება.

მეკი. მაშ, სწორი არ ყოფილა, „პ“-ზე იწყება.

ჯენი. მეკი, დედოფლის კურთხევის ჟამს ვესტმინსტერის ზარები რომ რეკვას ატეხენ, შენ შავ დღეში იქნები.

მეკი. გარკვევით მითხარი. (ჯეკობი გამაყრუებლად ხარხარებს.) რა იყო? (მიიღებს ჯეკობთან და ისიც საბრალმდებლო აქტში იხედება.) მტკნარი სიცრუეა, მხოლოდ სამნი იყვნენ.

ჯეკობი (იცინის). აბა, კაცო!

მეკი (როსკიპებს). ლამაზი საცვლები გაქვთ.

როსკიპი. აკვნიდან დაწყებული სამარის კარამდე საცვლებია ყველაზე მთავარი!

ხ ა ნ დ ა ზ მ უ ლ ი რ თ ს კ ი პ ი . აბრეშუმს არ ვიცვამ, ბატონებს მაშინ-
ვე ჰგონიათ, რომ ავადა ხარ.

ჯენი კარისკენ მიიპარება.

მ ე ო რ ე რ თ ს კ ი პ ი (ჯენის). სად მიდიხარ, ჯენი?

ჯ ე ნ ი . ასლავე გაიგებთ. (გადის.)

მ თ ლ ლ ი . შინნაქსოვი ტილოც რომ აფრთხობთ?

ხ ა ნ დ ა ზ მ უ ლ ი რ თ ს კ ი პ ი . რა ვიცი, მე ძალიან მეხმარება.

ვ ი ქ ს ე ნ ი . მაშინ ბატონი კლიენტები შინაურულად გრძნობენ თავს.

მ ე კ ი (ბეტის). შენ კი ისევ შავარშიებიანი გაცვია?

ბ ე ტ ი . ჰო, ისევე.

მ ე კ ი . შენ როგორიღა?

მ ე ო რ ე რ თ ს კ ი პ ი . ოჰ, მე პირდაპირ მრცხვენია. ჩემს ოთახში ვე-
რაფინ მიმიყვანია, რადგან მამიდაჩემი გიჟდება კაცებზე. და სადარბაზო შე-
სასვლელეში კი, მოგეხსენებათ, საცვლები სულაც არ მჭირდება და არც
ვიცვამ.

ჯეკობი იცინის.

მ ე კ ი . მორჩი?

ჯ ე კ ო ბ ი . არა, ჯერ მხოლოდ გაუპატიურებებზე ვარ.

მ ე კ ი (ისევ დივანზე ზის). ჯენი რა იქნა? ქალბატონებო, იმაზე ბევრად
უფრო ადრე, ვიდრე ჩემი ფარსკვლავი ამ ქალაქზე ამობრწყინდებოდა...

ვ ი ქ ს ე ნ ი . „ვიდრე ჩემი ფარსკვლავი ამ ქალაქზე ამობრწყინდე-
ბოდა“...

მ ე კ ი . დიდ სიღუფსში იცხოვრობდი ერთ-ერთ თქვენთაგანთან, ლამაზ-
მანებო, და თუმცა დღეს მეკი-დანა მქვია და ბედნიერიც ვარ, მაინც არასო-
დეს არ დავიფიწყებ ჩემი შავი დღეების თანამგზავრთ და, უწინარეს ყოვლისა
კი, ჯენის, რომელიც ქალებში ყველაზე ძალიან მიყვარდა. ყური დამიგდეთ!
(ვიდრე მ ე კ ი მღერის, მარჯვნივ ფანჯარასთან ჯ ე ნ ი გამოჩნდება და
ხელს უქნევს კონსტებლ ს მ ი თ ს . შემდეგ მას უერთდება ქ ა ლ ბ ა ტ ო ნ ი პ ი -
ჩ ე მ ი ც . სამივენი ფარნის ქვეშ დგებიან და სახლს უთვალთვალებენ.)

ს უ ტ ე ნ ე რ ი ს ბ ა ლ ა დ ა

მ ე კ ი .

მე კარგად მახსოვს ოდესღაც, წინათ,

შენი სხეული და ჩემი თავი

აქ ერთმანეთით ცხოვრობდნენ ტკბილად

და სულ იმაზე გვეჭირა თვალი,
გვექონოდა მეტი შემოსავალი.
რაც კი შემეძლო ვიჩენდი უნარს,
კვლავაც გვეწვიეთ, — შევთხოვდი სტუმარს,
ცუნაწილებდი ყველას ზიარად
მე მის სარეცელს თავაზიანად.
ასე გაგრძელდა მრავალი დღენი
საროსკიპოში ცხოვრება ჩვენი.

კარებში გამოჩნდება ჯ ე ნ ი, მას მოსდევს ს მ ი თ ი.

ჯ ე ნ ი.

ასეც მომხდარა ოდესღაც, წინათ,
როდესაც ფული აღარა გვექონდა,
იგი ჩემს საცვლებს აგირავებდა;
უსაცვლებოდ კი რა ფასი მქონდა!
ცთხოვდი: მთლად შიშველს ნუ დამტოვებდა,
და რადგან სიტყვას მიგდებდა ბანზე,
ბევრჯერ დავტოვე მე იგი მშრალზე.
ამის გამო კი ისე მხფლებოდა,
მეგონა, სული ამომხდებოდა.

ო რ ი ვ ე ნ ი.

ასე გაგრძელდა მრავალი დღენი
საროსკიპოში ცხოვრება ჩვენი.

(ორივენი ერთად და რიგრიგობით.)

ჩვენ კარგად გვახსოვს ოდესღაც, წინათ,
აქ ერთმანეთით ვცხოვრობდით ტკბილად.

მ ე კ ი.

დღეს ის დრო ჩემთვის ოცნებად იქცა.

ჯ ე ნ ი.

თუმც მხოლოდ დღისით ვიწექით ერთად.

მ ე კ ი.

რადგანაც ღამით სულ სხვასთან იწვა,
ჩვენ ერთად წოლა დღისით დავგჩემდა.

ჯ ე ნ ი.

მაგრამ ფეხმძიმედ რომ შევიქენი...

მ ე კ ი.

მაშინ ზემოდან ვიწვენდი ჯენის.

ჯ ე ნ ი.

შიშობდა ბავშვი არ გაეჭყლიტა.

მ ე კ ი.

და მაინც წირვა გამოუვიდა...
ასე გავლიეთ მეკიმ და ჯენიმ,
საროსკიბოში ცხოვრება ჩვენი.

ცეკვავენ, მეკი იღებს ხელჯოხს, რომელიც ამავე დროს მისი დანის ქარქაშიც არის, ჯენი აწვდის შლაპას და მეკი ცეკვას განაგრძობს. მაშინ სმითი მიდის მასთან და მხარზე ხელს ადებს.

ს მ ი თ ი. მორჩა და გათავდა. ახლა შეგვიძლია გზას გავუდგეთ!

მ ე კ ი. ნუთუ აქამდე ისევ მხოლოდ ერთი გასასვლელი აქვს ამ ბოსელს?

სმითს უნდა მაკპითს ბორკილები დაადოს ხელებზე, მაგრამ მეკი ერთს ისეთსა ჰკრავს მკერდში ხელს, რომ უკან დაიხევს ტორტმანით, მეკი ფანჯრიდან გარეთ გადახტება, სადაც ქალბატონი პიჩემი ელოდება პოლიციელებთან ერთად.

მ ე კ ი (თავშეკავებით, ერთობ თავაზიანად). დღე მშვიდობისა, მოწყალეო ქალბატონო.

ქალბატონი პიჩემი. აა, ძვირფასო ბატონო მაკპით, ჩემი ქმარი ამტკიცებს, რომ მსოფლიო ისტორიის უდიდესი გმირები წაფორსილებულან ამ მცირე ზღურბლზე.

მ ე კ ი. ნება მიბოძეთ, შეგეკითხოთ, როგორ ბრძანდება თქვენი მეუღლე?

ქალბატონი პიჩემი. ახლა ისევ კარგად გახლავთ. სამწუხაროდ, თქვენს ტურფებთან გამოთხოვება მოგიხდებათ. ჰელოუ, კონსტებლებო, წააბრძანეთ ეს ვაჟბატონი თავის ახალ სამკვიდრებელში. (მეკი გაჰყავთ. ქალბატონი პიჩემი ფანჯარაში შესძახებს.) ქალებო, თუ მისი ნახვა მოგენატრებათ, ყოველთვის შეგიძლიათ სახლში ნახოთ. ეს ვაჟბატონი ამიერიდან ოლდ ბეილში იცხოვრებს. აკი ფამბობდი, თავის კახპებთან დასუნსულებს-მეთქი. ანგარიშს მე გავასწორებ. კარგად იყავით, ქალებო. (გადის.)

ჯ ე ნ ი. ეი, ჯეკობ, ნახე რა მოხდა?

ჯ ე კ ო ბ ი (კითხვით გართულმა ვერაფერი ვერ შენიშნა). მეკი რა იქნა?

ჯ ე ნ ი. კონსტებლები იყვნენ აქ.

ჯ ე კ ო ბ ი. ღმერთო ჩემო, მე კი ვკითხულობ და ვკითხულობ... ბიჭო, ბიჭო, ბიჭო! (გადის.)

III

მეძავეების მიერ გაცემული მაკპითი კიდევ ერთი ქალის სიყვარულის წყალობით მაინც გამოდის ციხიდან.

ო ლ დ ბ ე ი ლ ის ს ა პ ა ტ ი მ რ ო , გ ი ს ო ს ე ბ ი ა ნ ი ს ა კ ა ნ ი.

შემოდის ბ რ ა უ ნ ი.

ბ რ ა უ ნ ი. რა იქნება, ჩემმა ბიჭებმა რომ ვერ ჩაავლონ. ღმერთო, შენი სახელის ჭირიძე, ნეტავი ახლა ჰაიგეიტის ჭაობი უკან ჰქონდეს მოტოვებული და თავის ჯეკიზე ფიქრობდეს. მაგრამ ის ისეთივე დაუდევარია, როგორც ყველა დიდი ადამიანი. ახლა რომ აქ გამოიყვანონ და თავისი ერთგული მეგობრული თვალებით შემომხედოს, ღმერთიანი, ვერ გავუძლებ. კიდევ კარგი, რომ მთვარე მაინც ანათებს; თუ ჭაობს გადასერავს, ბილიკიდან მაინც არ დაუცდება ფეხი. (სცენის უკან ხმაური ისმის.) ეს რა არის? ღმერთო ჩემო, მოჰყავთ!

მსხვილი თოკებით შეკრული და ექვსი კონსტებლის თანხლებით შემოდის მეკი. თავი ამაყად უჭირავს.

მ ე კ ი. ესეც ასე, მეღტონებო. როგორც იქნა, ღვთის შეწევნით, ისევ ჩვენს ძველ ვილაში ვიმყოფებით. (შენიშნავს ბრაუნს, რომელიც საკნის ყველაზე შორეულ კუნჭულში მიიყუთა.)

ბ რ ა უ ნ ი (ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, ვიდრე ლაპარაკობს, მეკი გამსჭვალავ მზერას არ აცილებს). აჰ, მეკი, ჩემი ბრალი არ არის... ყველაფერი გავაკეთე, რაც... ეგრე ნუ მიყურებ, მეკი... ვერ გავუძლებ... შენი დუმილიც მზარავს. (დაუღრიალებს ერთ-ერთ კონსტებლს.) თოკით რას ეწევი, შე ღორო!.. თქვი რამე, რა, მეკი, რამე უთხარი შენს საბრალო ჯეკის... ერთი სიტყვა მაინც გაიმეტე მისი ამღვრეული სულას... (კედელზე მიაყრდნობს თავს და ტირის.) ერთი სიტყვის ღირსიც არ გამხადა. (გადის.)

მ ე კ ი. ეს საცოდავი ბრაუნი მქენჯნავი ღინდისის განსახიერებაა. და ასეთ აღუას უნდა პოლიციის შეფი იყოს. კიდევ კარგი, რომ არ დაუყვირე. ჯერ დავაპირე, მაგრამ მერე დროულად მოვიანხრე, რომ მომნუსხავი მზერა უფრო მოაღორებდა. კარგად გამოვიდა. დავაცქერდი და მწარედ აღრიალდა. ეს ილეთი ბიბლიიდან მაქვს ნასწავლი.

ს მ ი თ ს ხელბორკილები შემოაქვს.

რაო, ბატონო ზედამხედველო, უფრო მძიმეები აღარა გაქვთ? თქვენი გულკეთილობა რომ ვიცი, ერთ წყვილ უფრო კომფორტულ ბორკილს ვითხოვდი. (ჩეკების წიგნაკს ამოიღებს.)

ს მ ი თ ი. ყველანაირი გვაქვს, ბატონო კეპტენ. რა ფასიანიც გნებავთ. ერთი გინეიდან ათ გინეამდე.

მ ე კ ი. სულ არ გაკეთება რაღა ღირს?

ს მ ი თ ი. ორმოცდაათი.

მ ე კ ი (ჩეკს უწერს). მაგრამ ყველაზე უარესი ის არის, რომ ახლა ლუსის ამბავიც გამომზეურდება. იცოცხლეთ, გააფთრდება ბრაუნი, თუ შეიტყობს, რომ მეგობრის ზურგს უკან მე მის ქალიშვილთან რაღაც ანგარიშები მქონდა.

ს მ ი თ ი. დიას, რასაც დასთეს, იმას მოიმკი.

მ ე კ ი. ნაღდად უკვე გარეთ იცდის ის ჩლარტიანი. რა საამური დღეები მელის სიკვდილით დასჯის წინ!

ბატონებო, აღარ ვიცი ახლა რაღა მიმეფელება.

ცხოვრებისგან გარნიყული, როგორც ხედავთ, ცრჩები მძმრალზე.

მე ჯერ კიდევ ბავშვობაში შევისწავლე ერთი იცნება,

ფუფუნებით ვინცა ცხოვრობს, ის ნეტარებს ქვეყანაზე!

„სასიმდერო“ განათება — ოქროსფერი შუქი. ორგანო სინათლის რკალშია. ზვიდან ლატანზე დამაგრებული სამი ნათურა ეშვება, დაფებს აწერია:

ბ ა ლ ა დ ა ს ა ნ ე ტ ა რ თ ც ხ თ ვ რ ე ბ ა ზ ე

1

ბრძენკაცების ცხოვრებასო მიჰყევითო შინ და გარეთ,

ამა ქვეყნად ეს არისო უმაღლესი ნეტარება.

ბრძენკაცნიო?! ბრძენკაცებს სომ შიმშილისგან სული სძვრებათ!

არა, არა, ეგ საკენკი თქვენს წიწილებს დაუყარეთ!

ამნაირი არაკებით საკმაოდ ვარ დაქანცული;

ჩემგან კმარა, გაჭირვება ახლა სხვისთვის დამითმია.

თუკი სიბრძნემ ერთსელ მანაც შეგიპყრო და ჩაგითრია,

ერთ დღის საგზლად არ გეყოფა მთელი მისი საგანძური.

ემშაკებსაც წაუღიათ ფიქრი თავისუფლებაზე,

ფუფუნებით ვინცა ცხოვრობს, ის ნეტარებს ქვეყანაზე!

2

კაცთმოყვარულ იდეების მქადაგებელ გმირთა გმირებს
თუ სიცოცხლე მოაქვთ მსხვერპლად სხვათა თავისუფლებისთვის,
კაცმა რომ თქვას, ისინი ხომ ირჯებიან მხოლოდ მისთვის,
რომ როგორმე სიმამაცე შთაუნერგონ ფილისტელებს.
გათოშილი ცოლი უცუდის სახლში მშვიერ მეუღლესა,
ბრუნდებიან შინ მეზობოლნი, პირში წყალდაგუბებულნი,
ცივ ლოგინში იძინებენ და ჰგონიათ, რომ აღთქმული
ჯილდოები მიეცემათ ხუთიათას ხუთას წელსა.
გეკითხებით, ვის რას მისცემს სიარული ასეთ გზაზე?
ფუფუნებით ვინცა ცხოვრობს, ის ნეტარებს ქვეყანაზე!

3

მეც კი მსურდა ვყოფილიყავ სპეტაკი და ბრძენთა ბრძენი,
მათი იდეებისადმი მისწრაფება მქონდა დიდი,
მაგრამ როცა მათ ცხოვრებას მე ახლოდან დავაკვირდი,
ჩემს თავს ვუთხარ: არ გაბრიყვდე, ქვეყნად სიბრძნე რას გიშველის?
ბრძენი თუ ხარ, მე შენ გეტყვი, კუჭი არ გაქვს ცარიელი;
სპეტაკი და გმირი თუ ხარ, მე შენ გეტყვი, გაქვს ვინმე.
ახლა კმარა, სიცოცხლეში რაც კი რამე გაიჭირვე,
მაგ უგემურ ცხოვრებაზე სჯობს აილო დროზე ხელი.
ნეტარების ეს პრობლემაც გადაწყდება მაშინ ასე:
ფუფუნებით ვინცა ცხოვრობს, ის ნეტარებს ქვეყანაზე!

შემოდის ლ უ ს ი.

ლ უ ს ი. ოჰ, შე არამზადავ, შენა! როგორ შეგიძლია სახეში მიყურო ყო-
ველივე იმის შემდეგ, რაც ჩვენს შორის იყო.

მ ე კ ი. ლუსი, ნუთუ გული არ გაგაჩნია? შენს ქმარს ამ დღეში ხედავ
და...

ლ უ ს ი. ქმარსაო! უ, შე გაოსრებულო! იქნებ ფგონია, რომ არაფერი
ვიცი, რა ამბებშიც ხარ მის პიჩემთან! თვალებს ამოგაკაწრაფდი, რომ შემიძ-
ლოს!

მ ე კ ი. სერიოზულად გეუბნები, ლუსი, შენ ხომ იმდენად სულელი არა
ხარ, რომ პოლიზე იეჭვიანო?

ლ უ ს ი. ვითომ არც ცოლად შეგიერთავს, არა, შე მხეცო?

მ ე კ ი. შეგიერთავსო! რა კარგია! მათთან სახლში დავდივარ. ვსაუბრობ
ხოლმე მასთან. ზოგჯერ შეიძლება პაჩიც ვუყო და ახლა იმ ტუტრუცანა გო-

კომ ლამის ქვეყანა შეძრას, ცოლად შემირთო. ლუსი, საყვარელო, თუ მარ-
თლა გჯერა, რომ დავქორწინდით, მზადა ვარ ყველაფერი გაგაკეთო შენს და-
საქმეებზე. ამაზე უკეთესი რაღა შეუძლია ჯენტლმენს გითხრას? მეტს
ვერაფერს ვერ გეტყვის.

ლ უ ს ი. ო, მეკი, მე მხოლოდ ის მინდა, რომ პატიოსან ქალად ვიქცე.

მ ე კ ი. თუ ფიქრობ, რომ პატიოსან ქალად ჩემზე გათხოვებით იქცევი,
მე მზადა ვარ, ამაზე უკეთესი რაღა შეუძლია ჯენტლმენს გითხრას? მეტს ვე-
რაფერს ვერ გეტყვის!

შემოდის პოლი.

პოლი. ჩემი ქმარი სად არის? ოჰ, მეკი, აი თურმე სადა ყოფილხარ. რა
განზე იყურები. ჩემი რისა გრცხვენია, მე ხომ შენი ცოლი ვარ.

ლ უ ს ი. ოჰ, შე არამზადავ, შენა!

პოლი. ვაიმე, მეკი, ციხეში ხარ! რატომ არ გაიქეცი ჰაიგეიტის ჭაობის
მიღმა? ხომ დამპირდი, რომ აღარ წახვიდოდი ქალებთან. ვიცოდი, რასაც
გაწყობდნენ, მაგრამ არაფერი აღარ გითხარი, რადგან მჯეროდა შენი. მეკი,
სამარის კარამდე შენს გვერდით იქნები. ხმას არ იღებ, მეკი, და ზედაც არ
მიყურებ? ო, მეკი, აბა დაფიქრდი, როგორ იტანჯება შენი პოლი, როდესაც
ასეთ მდგომარეობაში გხედავს.

ლ უ ს ი. აჰ, ის უნამუსო ყოფილა!

პოლი. რაო, რა თქვა, მეკი, ან საერთოდ ვინ არის ეს ქალი? უთხარი
მაინც, ვინა ვარ. უთხარი, გეთაყვა, რომ შენი ცოლი ვარ. განა ასე არ არის?
აბა, თვალეში შემომხედე, განა შენი ცოლი არა ვარ?

ლ უ ს ი. მაშ, ორი ცოლი გყავს, შე გაიმეორავ? შე ურჩხულო, შენა!

პოლი. მითხარი-მეთქი, მეკი, განა შენი ცოლი არა ვარ? განა ყოვე-
ლივე შენთვის არ გავაკეთე? უმანკო ვიყავ, როცა მოგთხოვდი, შენ ეს იცი.
შემდეგ გიმელები ჩამაბარე და ყველაფერს ისე ვიქმოდი, როგორც მოვილა-
პარაკეთ. ჯეკობსაც გადაგეცი, რომ მან...

მ ე კ ი. ორიოდე წამით რომ მაინც შეწყვეტდეთ ენის ტარტალს, ყველა-
ფერი გამოირკვეოდა.

ლ უ ს ი. არა, არ შემიძლია არ ვიტარტალო, ამას ვერ ავიტან და ვერც
ვერაგინ აიტანს, ვისაც ხორცი ასხია და ძარღვებში სისხლი უდუღს.

პოლი. ჰო, ჩემო კარგო, რა თქმა უნდა, ცოლის მხარეზეა...

ლ უ ს ი. ცოლის მხარეზეა?!

პოლი. ...გარკვეული უპირატესობა. სამწუხაროდ, ჩემო კარგო, შეიძლე-
ბა მხოლოდ გარეგნულად ჩანდეს ასე, თორემ ისე ლამის თავგზა აგებნას ადა-
მიანს ამდენი საზრუნავისაგან.

ლ უ ს ი. კარგი საზრუნავი კი გქონია, შენმა მზემ! (მეკის.) უკეთესი

ვერაგინ ნახე? სად მოძებნე ეს ჭიანჭამი ნაყოფი? რა ტურფა ვინმე მოგი-
ხიბლია! ამაზე ამბობდნენ, სოპოს მშვენიება არისო?!

„სასიმღერო“ განათება — ოქროსფერი შუქი. ორგანო სინათლის რეალშია.
ზევიდან ლატანზე დამაგრებული სამი ნათურა ეშვება. დაფებს აწერია:

ეჭვიანთა დუეტო

1

ლ უ ს ი

სოპოს მშვენიებავ, გაძოდი გარეთ,
მაღირსე კოხტა ფეხების ნახვა;
მეც მსურს ვიხილო ლამაზი რამე,
და ლამაზი ხომ მხოლოდ შენა ხარ!
შენ არ მოხიბლე თვით ჩემი ქმარი?!

პ ო ლ ი.

განა სტყუიხარ? განა სტყუიხარ?

ლ უ ს ი.

შენ კი გაგიხმეს ეგ კახპა თავი!

პ ო ლ ი.

განწირული ხარ, განწირული ხარ!

ლ უ ს ი.

ჰმ, სასაცილო არ იქნებოდა?!

პ ო ლ ი.

რა იქნებოდა, რა იქნებოდა?

ლ უ ს ი. მეკი რომ მართლაც გაგდებდეს რამედ...

პ ო ლ ი.

მეკი რომ მართლაც მაგდებდეს რამედ?

ლ უ ს ი.

ხა, ხა, ხა, ვის რად უნდა ნეტავი,
შენებრ შტერი და შეუხედავი.

პ ო ლ ი.

მოიცა, ამას ჯერ კიდევ ვნახავთ.

ღ უ ს ი.

ღიას, ჩვენ ამას ჯერ კიდევ ვნახავთ.

ო რ ი ვ ე ნ ი.

მე ჩემს მეკის ვერ წამართმევს ვერავინ;
ჩემ გულისთვის მიატოვა ყველანი.
ჰოდა, ჩვენთან ვის რა ესაქმება,
და ან, ხალხნო, განა შეიძლება,
რომ, ვისაც კი მოეპრიანება,
ქმრის წართმევა დამიპიროს?
ხა, ხა, ხა!

2

პ ო ლ ი.

მე იქძახიან სოჰოს იმშვენებას,
ჩემს კოსტა ფეხებს ვინ აღარ აქებს.

ღ უ ს ი.

ასე გგონია? ასე გგონია?

პ ო ლ ი.

არც მგონია და არც მეჩვენება,
იცნობენ პოლი პიჩემის სახელს.

ღ უ ს ი.

შენ კი გაგისმეს ეგ კახპა თავი!

პ ო ლ ი.

კარგად იციან, კახპა ვინც არი!
ღიას, მოგხიბლე მე ჩემი ქმარი.

ღ უ ს ი.

ეს ხომ ჭორია, ეს ხომ ჭორია!

პ ო ლ ი.

მე შენ გჯობივარ, დაგვესოს თვალი!

ღ უ ს ი.

ასე გგონია, ასე გგონია?

პოლი.

ჰმ, სასაცილო არ იქნებოდა?!

ლუსი.

რა იქნებოდა, რა იქნებოდა?!

პოლი.

მე რომ მეკი არ მაგდებდეს რამედ.

ლუსი.

შენ რომ მეკი არ მაგდებდეს რამედ?

პოლი (დამსწრე საზოგადოებას).

ხომ არ ვგონივარ მართლაც ნეტავი
ვინმეს შტერი და შეუხედავი?!

ლუსი.

მოიცა, ამას ჯერ კიდევ ვნახავთ.

პოლი.

დიახაც, ჩვენ ამას ჯერ კიდევ ვნახავთ.

ორივენი.

მე ჩემს მეკის ვერ წამართმევს ვერავინ,
ჩემ გულისთვის მიატოვა ყველანი.
ჰოდა, ჩვენთან ვის რა ესაქმება.
და ან, ხალხნო, განა შეიძლება?
რომ, ვისაც კი მოეპრიანება,
ქმრის წართმევა დამიპიროს?
ხა, ხა, ხა!

მეკი. ლუსი, საყვარელო, დამშვიდდი, კარგი? პოლი უბრალოდ სრი-
კებს გვიწყობს, სურს ერთმანეთს დაგვაშოროს. მე რომ ჩამომასრჩობენ, ჩემს
ქვრივად უნდა თავი გაასაღოს. მართლაც, პოლი, განა ახლა მაგის დროა?

პოლი. ნუთუ გეყოფა თავხედობა, რომ უარი თქვა ჩემზე?

მეკი. თუ შენ გეყოფა თავხედობა, რომ შარი მომდო, ჩემზე დაქორ-
წინდაო? რად გინდა, პოლი, ჩემი უბედურება კიდევ უფრო გაზარდო? (თავს
აქნევს საყვედურის ნიშნად.) ეჰ, პოლი, პოლი!

ლუსი. მართლაცდა, მის პიჩემ, თქვენ თვითონვე აყენებთ თქვენს

თავს უხერხულ მდგომარეობაში და თანაც, ესეც არ იყოს, ყოვლად მიუტევებელია, რომ ასეთ მდგომარეობაში მყოფ კაცს ზედმეტად ანერგიულებთ!

პოლი. მე მგონი, უნდა იცოდეთ, პატივცემულო მის, რომ ზრდილობის ელემენტარული წესები ძამაკაცთან მეტ თავდაჭერილობას მოითხოვს, მით უმეტეს, როდესაც ცოლი ახლავს.

მეკი. ხუმრობის გარეშე, პოლი, შენმა ოინებმა უკვე ყველაფერს გადააჭარბა.

ლუსი. და თუ თქვენ, ქალბატონო, აქ, ციხეში, დებოში გინდათ მოაწყოთ, იძულებული ვიქნები ზედამხედველს დავუძახო, რათა აქედან მიგაბრძანოთ, თუმცა დიდად კი ვწუხვარ, მოწყალეო მის.

პოლი. მისის-მეთქი! მისის-მეთქი! მისის-მეთქი! ნება მიბოძეთ კიდევ მოგახსენოთ, მოწყალეო მის, რომ ასეთი საქციელი არ შეგფერით. მე მოვალე ვარ ჩემს მეუღლესთან დავრჩე.

ლუსი. რაო, რას პრუტუნებ? რას პრუტუნებ? (წასვლა არ ნებავს! აგდებენ და მაინც ადგილიდან ფეხს არ იცვლის.) იქნებ უფრო გარკვევით უნდა გითხრა?

პოლი. შენ ეი, გეყოს! დააყენე ეგ მყრალი ენა, თორემ თუ ჩაგცხე მაგ დრუნჩში!.. ერთი „მოწყალეო მისს“ დამისხედეთ!

ლუსი. გაგდებენ და მაინც ძალაზე ხარ?! რაც შეიძლება უცერემონიოდ უნდა მოგექცეს ადამიანი. დელიკატური მოპყრობა არ გადის შენთან.

პოლი. ამის დელიკატურობას დამისხედეთ! ძალიან ვცდები, რომ თავს გიყადრებ! თავს ვიმცირებ მხოლოდ... ნამდვილად ვიმცირებ... (ხმამალლა მოთქვამს.)

ლუსი. ჩემს მუცელს მაინც შესედე, შე უნამუსო! როგორ ფიქრობ, სუფთა ჰაერის ყლაპვით ხდებიან ხოლმე ასე? ჰა, ახლა მაინც არ აგეწილა თვალები?

პოლი. ოჰო, გუნებნაქცევადაც ყოფილხარ! მაგითი გინდა ფონს გახვიდე? ნუ ჩაიწვენდი ლოგინში და არც არაფერი არ დაგემართებოდა, კდემამოსილო ლედი!

მეკი. პოლი!

პოლი. ეს კი უკვე მეტისმეტია, მეკი. აქამდე არ უნდა მიგეყვანა საქმე. რა ვქნა, აღარ ვიცი.

შემოდის ქალბატონი პიჩემი.

ქალბატონი პიჩემი. ასეც ვიცოდი, თავის გულის ვარდთან გდია. აბა, ახლავე აიბარგე აქედან, შე გათახსირებულო, შენა! შენს სატრფოს რომ ჩამოჰკიდებენ, მერე შენც შეგიძლია თავი ჩამოიხრჩო. აი, სადამდე მიიყ-

ვანე დარბაისელი დედაშენი, ციხეებში უნდა გდიოს. თან ორი ერთადა ჰყავს ამ ნერონს, ამასა!

პოლი. თავი გამანებე რა, დედა, შენ ხომ არ იცი...

ქალბატონი პიჩემი. ახლავე შინ გასწი.

ლუსი. რატომ არ გესმით, როცა დედათქვენი ჭკუას გარიგებთ?

ქალბატონი პიჩემი. გასწი-მეთქი.

პოლი. კარგი, ოღონდ ჯერ... ჯერ უნდა მეკის რაღაცა ვუთხრა... მართლა, მართლა, იცი, ძალზე მნიშვნელოვანი რამ.

ქალბატონი პიჩემი (სილას გააწნავს). ესეც ძალზე მნიშვნელოვანია! გასწი-მეთქი!

პოლი. ო, მეკი!

ქალბატონ პიჩემს ძალით გაჰყავს.

მეკი. ლუსი, შესანიშნავად გეჭირა თავი. სოლო მე, რა თქმა უნდა, მეცოდებოდა. ამიტომ საკადრისად ვერ გავუსწორდი. ჯერ ხომ მართლა დაიჯერე, რომ სიმართლის ნასახი ერია მის ნათქვამში? სწორი ვარ, თუ არა?

ლუსი. ჰო, ჯერ მართლა დავიჯერე, საყვარელო.

მეკი. რამე მაგდაგვარი რომ ყოფილიყო, განა დედამისი ამ დღეში ჩამაგდებდა? ხომ გაიგონე, როგორ შემაჩვენა. სიძეს ასე ვინ მოეპყრობა? უკეთეს შემთხვევაში ქალიშვილი უნდა შეაცდინო, რომ დედამისი ასე მოეპყრას.

ლუსი. რა ბედნიერი ვარ, თუ მაგას გულით ამბობ. მე ხომ ისე ძალიან მიყვარხარ, რომ ძირჩვენია სახრჩობელაზე გნახო, ვიდრე სხვა ქალთან ჩაკონებული. განა ეს საკვირველი არ არის?

მეკი. ლუსი, მინდა სიცოცხლე შენ მაჩუქო.

ლუსი. რა მშვენივრად თქვი. აბა, კიდევ გაიმეორე.

მეკი. ლუსი, მინდა სიცოცხლე შენ მაჩუქო.

ლუსი. გსურს შენთან ერთად გამოვიქცე, საყვარელო?

მეკი. კი, მაგრამ, სომ იცი, ერთად რომ გავიქცეთ, დამალვა უფრო გავვიძნელებ. როგორც კი ძებნას შეწყვეტენ, მაშინვე შენ თავსაც ჩამოვაყვანინებ სასწრაფოდ. გესმის?

ლუსი. რითი შემიძლია გიშველო?

მეკი. შლაპა და ხელჯოხი მომიტანე!

ლუსი გადის, შლაპა და ხელჯოხი შემთაქვს და საკანში შეუყრის.

ჩვენმა სიყვარულის ნაყოფმა, რომელსაც მკურდის ქვეშ ატარებ, სამარადისოდ დაგვაკავშირა.

ლუსი გადის. შემოდის სმითი და საკანში შედის.

ს მ ი თ ი. ჯოხი მომეცით.

ხანმოკლე გაწამაწიის შემდეგ, რომლის დროსაც ს მ ი თ ი სკამითა და ძალა-
ყინით დასდევს მეკის, მეკი გამოვარდება გისოსიდან. მას კონსტე-
ლ ე ბ ი დაედევნებია.

ბ რ ა უ ნ ი ს ხ მ ა. ჰელოუ, მეკი! მეკი, ხმა გამეცი, გეთაყვა, მე ჯეკი
ვარ. მეკი, გეხვეწები, ხმა გამეცი. მეტის ატანა აღარ შემიძლია.

შემოდის პ ი ჩ ე მ ი.

ბ რ ა უ ნ ი. მეკი! ეს რა ამბავია?! გაქცეულა, მადლობა ღმერთს! (ტახტ-
ზე ჩამოჯდება.)

შემოდის პ ი ჩ ე მ ი.

პ ი ჩ ე მ ი (სმითს). მე გვარად პიჩემი გახლავართ. იმ ორმოცი გირვან-
ქის წასადებად მოვედი, რომელიც ყაჩაღ მაკპითის დაჭერისათვის იყო აღ-
თქმული. (გისოსს მიადგება.) ჰელოუ! ბატონი მაკპითი ბრძანდებით? (ბრა-
უნს დუმს.) ბიჭოს, უტყობა, ის ვაუბატონი სასეირნოდ წასულა. კაცი ბორც-
მოქმედის სახასხავად მოვედი და ვისა ვხედავ გალიაში — ბატონ ბრაუნს! ბრა-
უნ-აფთარი ზის, სოლო მისი მეგობარი მაკპითი კი არა.

ბ რ ა უ ნ ი (კვნესით). ო, ბატონო პიჩემ, ჩემი ბრალი არ არის.

პ ი ჩ ე მ ი. რა თქმა უნდა, თქვენი არ არის. თქვენ თვითონ ამას როგორ
იზამდით... ამნაირ მდგომარეობაში თქვენი ნებით როგორ ჩაიყენებდით
თავს... შეუძლებელია, ბრაუნ.

ბ რ ა უ ნ ი. ბატონო პიჩემ, პირდაპირ აღარ ვიცი, რა ვქნა.

პ ი ჩ ე მ ი. წარმომიდგენია, რა უშუურ გუნებაზე იქნებით.

ბ რ ა უ ნ ი. დიას, სწორედ ეს უძლურებით მოგვრილი უგუნებობაა,
აღამიანს სიქას რომ აცლის. ჩემი ბიჭები, რაც უნდათ, იმას აკეთებენ. საში-
ნელია, საშინელია.

პ ი ჩ ე მ ი. იქნებ ცოტა ხანს წამოწვეთ? თვალებს მილულავთ და თავს
ისე დაიჭერთ, ვითომც არაფერი მომხდარა, ვითომც მწვანე მდელოზე იმყო-
ფებით და ზევიდან პატარა თეთრი ღრუბლის ქულები გადმოგცქერიან. მთა-
ვარია, არ იფიქროთ იმ საზარელ ამბებზე, რაც უკვე მოხდა და, უწინარეს
ყოვლისა კი, იმაზე, რაც უნდა მოხდეს.

ბ რ ა უ ნ ი (შეფიქრიანებული). მაგითი რა გინდათ თქვით?

პ ი ჩ ე მ ი. საარაკო გამძლეობა გქონიათ. თქვენს ადგილზე დამბლა და-
მეცემოდა, ლოგინად ჩავვარდებოდი და ცხელი ჩაის სმითლა თუ ვიჯერებდი
გულს. უპირველეს ყოვლისა კი, ვიზრუნებდი ვინმეს შუბლზე ხელი დაეფა-
რებინა.

ბ რ ა უ ნ ი. დალახვროს ეშმაკმა, რა ჩემი ბრალია, თუ ის ჯეელი აითე-
სა. რა ქნას პოლიციამ ამ შემთხვევაში?

პ ი ჩ ე მ ი. მაშ ასე, რა ქნას პოლიციამ ამ შემთხვევაში, არა? ხომ არ
გგონიათ, რომ ბატონ მაკჭითს აქ ველარ ვიხილავთ? (ბრაუნი მხრებს აიჩე-
ჩავს.) მაშინ საშინელი უსამართლობა დაგატყდებოთ თავს. მაშინ, რასაკვირ-
ველია, ისევ დაიწყებენ ლაპარაკს, რომ პოლიციას ის ხელიდან არ უნდა გა-
ეშვა. დიას, მე როგორც ვხედავ, ბრწყინვალე კორონაციას ის არავის უქადის.

ბ რ ა უ ნ ი. ეს რაღას ნიშნავს?

პ ი ჩ ე მ ი. ნება მიბოძეთ, აქ ერთი ისტორიული ფაქტი მოგაგონოთ,
რომელმაც თუმცა თავის დროზე, სახელდობრ, თოთხმეტი საუკუნით ადრე
ქრისტეს დაბადებამდე, დიდი აურზაური გამოიწვია, მაგრამ დღეს ფართო
წრეებისათვის უცნობია. როდესაც ეგვიპტის მეფე რამზეს მეორე გარდაიც-
ვალა, ნინევიის, ანუ შესაბამისად ახლანდელი კაიროს პოლიციამისტერმა უმ-
ნიშვნელო რაღაცით მოსახლეობის დაბალი ფენები განარისხა. ამგვარ დანა-
შაულობებს უკვე მაშინაც მოსდევდა საშინელი შედეგები. ჰოდა, ტახტის მემ-
კვიდრის, სემირამიდას დედოფლად კურთხევის დროს საზეიმო მსვლელობა,
როგორც მატინანებშია ნათქვამი, „მოსახლეობის დაბალი ფენების ერთობ
მხურვალე მონაწილეობის გამო კატასტროფათა მთელ სერიად იქცა“. ისტო-
რიკოსები თავზარდაცემულნი მოგვითხრობენ, რა საშინლად გაუსწორდა სე-
მირამიდა თავის პოლიციამისტერს. კარგად აღარ მახსოვს, მაგრამ, გგონებ,
გველები დაასხა მკერდზე და დააგესლინა.

ბ რ ა უ ნ ი. არა, მართლა?

პ ი ჩ ე მ ი. ღმერთი იყოს თქვენი შემწე, ბრაუნ! (გადის.)

ბ რ ა უ ნ ი. ახლა მხოლოდ რკინის მუშტიღა თუ მიშველის. უნდა მარი-
ფათი გამოვიჩინო. აბა, სერჟანტებო, თათბირზე გამოცხადდით, განგაში ატე-
ხეთ!

ფარდა. მ ა კ ჭ ი თ ი და ნ ა ძ ი რ ა ლ ა ჯ ე ნ ი ავანსცენაზე გამოდიან და
„სასიმღერო“ განათებაში მღერიან.

მ ე ო რ ე ს ა მ გ რ ო შ ი ა ნ ი ფ ი ნ ა ლ ი

„მ ა შ რ ო გ ო რ დ ა გ ა ა ქ ვ ს თ ა ვ ი?“

მ ე კ ი.

პატიოსან ცხოვრებას რომ გვიქადაგებთ დღე და ღამე,
რათა ბოროტ საქმეთათვის ჩვენ პასუხი აღარ ვაგოთ;
უმჯობესი არ იქნება, სათოსლავი მოგვცეთ რამე,
ზნეობრივი ცხოვრება კი უკვე შემდეგ გვიქადაგოთ.

თქვენ, რომელნიც ქვეყანაზე დღენიადაგ ცხოვრობთ ლხენით

და მსურვალედ მოგვიწოდებთ წმინდა სათნოებისაკენ,
რაც არ უნდა იქადაგოთ, იმას ვერსად გაექცევით,
რომ მთავარი საჭმელია და შემდეგ კი სისპეტაკე.
სჯობს ჯერ იმას მიაღწიოთ, თუ შეგტკივთ მართლაც გული,
რომ საწყალ ხალხს სანატრელი არა ჰქონდეს ლუკმაპური.

ხ მ ა ს ც ე ნ ი ს მ ი დ მ ი დ ა ნ .

ადამიანს ცხოვრებაში მაშ როგორღა გააქვს თავი?

მ ე კ ი .

ცხოვრებაში ადამიანს მხოლოდ იმით გააქვს თავი,
რომ სხვებს ჩაგრავს, სულს უხუთავს, აწამებს და იხდის მონად,
და სრულიად ავიწყდება, ბატონებო, რომ მათსავით
ადამიანს წარმოადგენს ამა ქვეყნად ის თვითონაც.

გ უ ნ დ ი .

ამის შემდეგ ალბათ ყველა უყოყმანოდ დაგვთანხმდება,
რომ საფუძვლად ჩვენს ცხოვრებას უღივს ბოროტმოქმედება!

2

ნ ა ძ ი რ ა ლ ა ჯ ე ნ ი .

ასე მკაცრად რატომ კიცხავთ, ბატონებო, გარყვნილ ქალებს
და რად ფიქრობთ, რომ ამისთვის მათ პასუხი უნდა აგონ?
უმჯობესი არ იქნება, სასუსნავი მოგვცეთ რამე,
ზნეობრივი ცხოვრება კი უკვე შემდეგ გვიქადაგოთ.
თქვენ, რომელნიც ალერსსა და დროსტარებას ვერ ელევით
და მსურვალედ მოგვიწოდებთ წმინდა სათნოებისაკენ,
რაც არ უნდა იქადაგოთ, იმას ვერსად გაექცევით,
რომ მთავარი საჭმელია და შემდეგ კი სისპეტაკე.
სჯობს ჯერ იმას მიაღწიოთ, თუ შეგტკივთ ჩვენზე გული,
საცოდებებს სანატრელი არა გვქონდეს ლუკმაპური.

ხ მ ა ს ც ე ნ ი ს მ ი დ მ ი დ ა ნ .

ადამიანს ცხოვრებაში მაშ როგორღა გააქვს თავი?

ნ ა ძ ი რ ა ლ ა ჯ ე ნ ი .

ცხოვრებაში ადამიანს მხოლოდ იმით გააქვს თავი,
რომ სხვებს ჩაგრავს, სულს უხუთავს, აწამებს და იხდის მონად,

და სრულიად ავიწყდება, ბატონებო, რომ მათსავით
ადამიანს წარმოადგენს ამა ქვეყნად ის თვითონაც.

გ უ ნ დ ი.

ამის შემდეგ ალბათ ყველა უყოყმანოდ დაგვთანხმდება,
რომ საფუძვლად ჩვენს ცხოვრებას უდევს ბოროტმოქმედება!

მ მ ს ა მ ე მ ო ქ მ ე ლ ე ბ ა

I

იმავე ღამეს პიჩემი გამოსვლისათვის ემზადება. უპოვართა და უბედურთა დემონსტრაციით დედოფლის კურთხევის ცერემონიალს სურს ხელი შეუშალოს.

პ ი ჩ ე მ ი ს გ ლ ა ხ ა კ თ ა გ ა რ დ ე რ ო ბ ი .

მ ა თ ხ ო ვ რ ე ბ ი მომცრო დაფებს საღებავებით აწერენ ისეთ გამოთქმებს, როგორცაა: „თვალი ჩემი ხელმწიფეს შევწირე“ და ა. შ.

პ ი ჩ ე მ ი . ბატონებო, ამჟამად ჩვენს თერთმეტ ფილიალში დრუნი-ლეინიდან ტარნბრიჯამდე ათას ოთხასოცდათორმეტი კაცი მუშაობს ასეთივე პლაკატებზე. მათაც სურთ, ჩვენი დედოფლის კურთხევას დაესწრონ. (გადის.)

ქ ა ლ ბ ა ტ ო ნ ი პ ი ჩ ე მ ი . მარდად იმუშავეთ, მარდად! ვინც არ მუშაობს, ის არც მათხოვრობს, შენ უსინათლოდ მოგაქვს თაფი და ხეიროიანად „კ“-ს დაწერას კი ვერ ახერხებ? ბავშვური ხელი უნდა იყოს, ამას ხომ ბერი-კაცი წაიღებს.

დაფდაფების ხმა ისმის.

მ ა თ ხ ო ვ ა რ ი . დედოფლის დაცვა მწკრივდება. რა იციან, რომ დღეს, მათი სამხედრო ცხოვრების საუკეთესო დღეს, ჩვენთან ექნებათ საქმე.

შემოდის ფ ი ლ ჩ ი .

ფ ი ლ ჩ ი (მოახსენებს). ღამის გვრიტები მომსევერდნენ, ქალბატონო პიჩემ, ღამის მთელი დუჟინი იქნება. ფული გვერგებაო, იძახიან.

შემოდიან რ ო ს კ ი პ ე ბ ი .

ჯ ე ნ ი. ქალბატონო...

ქ ა ლ ბ ა ტ ო ნ ი პ ი ჩ ე მ ი. რასა ჰგავხართ, როგორ ამოზმურტლურხართ! ფულისთვის მოეთრიეთ, თქვენს მაკპითში რომ გერგებათ, არა? გახვრეტილ გროშსაც ვერ მიიღებთ, გასაგებია? ვერ მიიღებთ!

ჯ ე ნ ი. ეს როგორ გავიგოთ, მოწყალეო ქალბატონო?

ქ ა ლ ბ ა ტ ო ნ ი პ ი ჩ ე მ ი. სახლში მეჭრებიან ამ გვიან ღამეს! აბა, უთენიას ვინმე მიდის წესიერ სახლში? არ გერჩივნათ, ჯერ გამოგეძინათ ნამუშევართ! რასა ჰგავხართ, რას, გული მერევა თქვენ შეძყურეს.

ჯ ე ნ ი. ესე იგი, ქალბატონო, გამოდის, რომ უარს ამბობთ გადაგვიხადოთ ის ჰონორარი, რომელიც შეთანხმებისამებრ მაკპითის დაჭერაში გვერგება?

ქ ა ლ ბ ა ტ ო ნ ი პ ი ჩ ე მ ი. სწორედ რომ აგრეა. იუდას გასამრჯელოს კი არა, ჩიტის სკინტლსაც ვერ მიიღებთ.

ჯ ე ნ ი. მერედა, რატომ, ქალბატონო?

ქ ა ლ ბ ა ტ ო ნ ი პ ი ჩ ე მ ი. იმიტომ, რომ ის თქვენი პატიოსანი ვაჟბატონი მაკპითი ისევ ცამ ჩაყლაპა, თუ დედამიწამ, არავინ იცის. ჰოდა, ახლა გთხოვთ, აქედან მიბრძანდეთ, ქალბატონებო...

ჯ ე ნ ი. ეს კი უკვე მეტისმეტია. როგორ გვიბედავთ. იცოდეთ, შეიძლება სხვებთან გაგსვლიათ ეგეთები, მაგრამ ჩვენთან არ გაგივათ.

ქ ა ლ ბ ა ტ ო ნ ი პ ი ჩ ე მ ი. ფილჩი, ქალები გთხოვენ, კარამდე მიგვაცილო.

ფ ი ლ ჩ ი მიუახლოვდება ქალებს, მაგრამ ჯ ე ნ ი ხელის კვრით მოიშორებს.

ჯ ე ნ ი. ძალიან გთხოვთ ზედმეტად ნუ ატარტალებთ მაგ მყრალ ენას, თორემ ზომ იცით...

შემოდის პ ი ჩ ე მ ი.

პ ი ჩ ე მ ი. რა ამბავია? იმედია, ფული არ მიგიცია ამათთვის. ჰო, მაშ, როგორ არის საქმე, ქალიშვილებო, ზის ბატონი მაკპითი, თუ არა?

ჯ ე ნ ი. რა გული გამიწყალეთ თქვენი ბატონი მაკპითით. თქვენ მის ფრჩხილადაც არ ღირხართ. წუხელ ერთი კლიენტის დათხოვნაც კი მომიხდა, რადგან ბაღში იქონდა თავი ჩარგული და ვტიროდი, რომ ისეთი ჯენტლმენი მოგყიდეთ. დიას, ქალებო, და როგორ გგონიათ, ამ დილით რა მოხდა? ერთი საათიც არ იქნებოდა გასული მას შემდეგ, რომ ტირილში ჩამეძინა და მძინარეს სტვენა ჩამესმა. გადავიხედე გარეთ და რა დავინახე: ქუჩაში სწო-

რედ ის ფაუკაცი იდგა, ვიზედაც ეს-ეს არის ვტიროდი, და გასადები ჩამომიგდეო, მთხოვდა. როდესაც შემდგომ გულში მიკრავდა, უნდოდა ის ბოროტება დაევიწყებინა ჩემთვის, რომელიც მე დავატეხე თავს. ქალებო, ის უკანასკნელი ჯენტლმენია ლონდონში. და თუ ჩვენი კოლეგა სიუკი თოდრი ამჟამად ჩვენთან ერთად აქ არ იმყოფება, ეს იმის გამო, რომ ის ჯენტლმენი ჩემგან ასლა მასთან წავიდა, რათა ისიც ენუგეშებინა.

პ ი ჩ ე მ ი (თავისთვის). სიუკი თოდრი...

ჯ ე ნ ი. ასლა ხომ გესმით, რომ იმის ფრჩხილადაც არა ღირხართ, თქვე სულმდაბალნო ჯაშუშნო, თქვენა!

პ ი ჩ ე მ ი. ფილჩ, სასწრაფოდ გაიქეცი პოლიციის უახლოეს საგუშაგოში. ბატონი მაკჰითი მის სიუკი თოდრისთან არის-თქო; (ფილჩი გადის.) ქალბატონებო, მაინც რაზე ვდავობთ, ვერ გამიგია? ცელია, საყვარელო, ამდენ ყაყანს, არა სჯობია წახვიდე და სტუმრებს ყავა მოუმზადო?

ქ ა ლ ბ ა ტ ო ნ ი პ ი ჩ ე მ ი (გასვლისას). სიუკი თოდრი! (მღერის მესამე სტროფს „ხორციელი ვნების ვერაგობის ბალადიდან“.)

ითიქმის უკვე სახრჩობელის ქვეშ დგას იგი დასასჯელად,
გასანთლული თოკის მარყუჟს ვერ ასცდება გაიძვერა;
თვითონაც კი კარგად იცის, რომ საშველი არსად არი,
თავში კი რა უტრიალებს, არ იკითხავთ? ისევე ქალი!
ასლაც კი არ შეუძლია, რომ აიღოს მასზე ხელი,
ო, იმდენად ძლიერია ქვეყნად ვნება ხორციელი!
გაჰყიდეს და საბოლოოდ უკვე ხელი მოეცარა,
ვერაფერი ვეღარ იხსნის, ქვას ახალოს თუნდაც თავი;
და თვითონაც, როგორც იქნა, მისვდა უკვე აბეზარი,
საბოლოოდ მას სამარე რომ დიაცმა გაუთხარა,
მაგრამ მაინც საკუთარ თავს რაც არ უნდა ბრიყვად თვლიდეს,
გამოძებნის ვინმე სხვას და მასაც ზურგზე აიკიდებს.

პ ი ჩ ე მ ი. აბა, მარდად, მარდად-მეთქი! ტარნბრიჯის ჯურღმულებში ამოგძვრებოდათ ყველას სული, მე რომ ღამეები თეთრად არ გამეთენებინა ხოლმე იმაზე ფიქრით, როგორ შეიძლება თქვენი სილატაკიდან კაცმა გროშები ამოქაჩოს. და აი მოვიაზრე კიდევ, რომ თუმცა ამა ქვეყნის ბატონ-პატრონთ ძალუძთ სიღარიბე და გაჭირვება თესონ, მაგრამ მისი ყურება კი არ შეუძლიათ, ვინაიდან დონდლოები და უტვინონი არიან, სწორედ ისევე, როგორც თქვენ. მართალია, სასმელ-საჭმელი ისე ოხრადა აქვთ, რომ სამარის კარამდე ეყოფათ და შეუძლიათ იატაკსაც კი წასცხონ კარაქი, რათა მათი სუფრიდან გადაცვივნილი ნამცეცებიც კი ნაზუქებივით მსუყე იყოს, მაინც ძა-

ლა არ შესწევთ შიმშილისაგან მოლასლასე ადამიანს გულგრილად შესედონ, რასაკვირველია, თუ მათი სახლის წინ დალასლასებს.

შემოდის ქალბატონი პიჩემი. ხელში ყავისსერვიზიანი სინი უჭირავს.

ქალბატონი პიჩემი. სვალ თუ აქეთ მოხვდებით, შეგიძლიათ შემოიაროთ და ფული მიიღოთ, ოღონდ დედოფლის კურთხევის შემდეგ.

ჯენი. ქალბატონო პიჩემ, სიტყვებს ვერ ვპოულობ, რომ...

პიჩემი. დაეწყვეთ! ერთი საათის შემდეგ ყველანი ბუკინგემის სასახლესთან ვიკრიბებით. აბა, გაინძერით!

გლახები ეწყობიან.

ფილჩი (შემოვარდება). ატანდა! საგუშაგომდე ვერ მივადწიე. პოლიცია უკვე აქ არის!

პიჩემი. დაიშალეთ! (ქალბატონ პიჩემს.) წაიყვა მთელი ეს გუნდი და როგორც კი ვიტყვი „უფნებელნი“-მეთქი, გესმის, „უფნებელნი“...

ქალბატონი პიჩემი. უფნებელნი? არაფერი არ მესმის.

პიჩემი. ჰო, რა თქმა უნდა, შენ როგორ გაიგებ რამეს. ესე იგი, როგორც კი ვიტყვი „უფნებელნი“-მეთქი...

კარზე აკაკუნებენ.

ღმერთო ჩემო, „უფნებელნი“ ნიშანია, გაიგე? ჰოდა, მაშინვე რაიმე მუსიკას დაუკრავთ. გასწით!

ქალბატონი პიჩემი და მათხოვრები გადიან. დანარჩენი გლახები თავიანთი ავლადიდებით მარჯვნივ, სცენის სიღრმეში მდგარი ტანისამოსის საკიდის უკან იმალებიან, გარდა გოგოსი, რომელსაც პლაკატი. — „სამხედრო თვითნებობის მსხვერპლი“ — უჭირავს. შემოდის ბრაუნი და კონსტებლები.

ბრაუნი. ასე, ბატონო გლახის მეგობარო, ახლავე საქმეს შევუდგებით. აბა, ამას ხელბორკილები დაადეთ, სმით! ბიჭოს, ეს რა მშვენიერი პლაკატებია. (გოგოს.) „სამხედრო თვითნებობის მსხვერპლი“? — ეს თქვენა ხართ?

პიჩემი. დილა მშვიდობისა, ბრაუნ, დილა მშვიდობისა. წუხელ ხომ კარგად გეძინათ?

ბრაუნი. რაო?

პიჩემი. დილა მშვიდობისა-მეთქი, ბრაუნ.

ბრაუნი. მე მეუბნება, თუ თქვენ გიცნობთ რომელიმეს? არა მგონია, მქონდეს პატივი თქვენი ნაცნობობისა.

პ ი ჩ ე მ ი. მაშ, არა, ბრაუნ? დილა მშვიდობისა.

ბ რ ა უ ნ ი. ერთი ამას შლაპა მოაძრეთ თავიდან!

ს მ ი თ ი ასრულებს ბრძანებას.

პ ი ჩ ე მ ი. რახან გვერდით ჩაგვიარეთ, ბრაუნ, და გვინახულეთ, ვიმეორებ, რახან გვერდით ჩაგვიარეთ-მეთქი, შესაძლებლობა შეძლევა გთხოვოთ, რომ ბოლოს და ბოლოს, დააპატიმროთ ფინმე მაკპითი.

ბ რ ა უ ნ ი. ხომ არ გაგიჟებულა ეს კაცი. სმით, ნუ იცინით, აბა მითხარით, სმით, შეიძლება განა, რომ ისეთი პირწავარდნილი ავაზაკი თავისუფლად დასეირნობდეს ლონდონში?

პ ი ჩ ე მ ი. რატომაც არა; ბრაუნ, თუკი თქვენი მეგობარია!

ბ რ ა უ ნ ი. ვინ არის ჩემი მეგობარი?

პ ი ჩ ე მ ი. ფინა და მუკი-დანა. მაშ, მე ხომ არ ვიქნები. ბოროტმოქმედი ხომ არა ვარ. მე ერთი ღატაკი კაცი ვარ, ბრაუნ. მე ვერაფერს დამიშავებთ. თქვენ კი თქვენი ცხოვრების უმძიმესი ყამი მოგელით. ყავას ხომ არ ინებებთ? (როსკიპებს.) შვილებო, ერთი ყლუპი ბატონ პოლიციის შეფსაც უწილადეთ, თორემ უზრდელობაში ჩაგვეთვლება. ერთმანეთი უნდა გავიტანოთ. განა ყველანი კანონს არ ვემორჩილებით?! ხოლო კანონი მხოლოდ და მხოლოდ იმათი ექსპლოატაციისათვის არის მოგონილი, ვისაც არ გაეგება, ანდა გაჭირვების გამო იძულებულია დაარღვიოს იგი. მაშასადამე, ვისაც უნდა ამ ექსპლოატაციით ხელი მოითბოს, თვითონ უნდა მკაცრად იცავდეს კანონს.

ბ რ ა უ ნ ი. ესე იგი, გამოდის, რომ ჩვენი მოსამართლეები მოსყიდულები არიან, არა?

პ ი ჩ ე მ ი. პირიქით, ბატონებო, პირიქით! ჩვენს მოსამართლეებს ვერაგინ ვერ მოისყიდის. ვერანაირი თანხით ვერ აიძულებთ სამართალი არ დაარღვიონ

ისევ დაფდაფების ხმა ისმის.

ჯარები ცერემონიალისათვის ემზადებიან. დედოფლის გზის გასწვრივ ცოცხალი კედელი უნდა აღმართონ. ღარიბთა შორის უღარიბესთა მსვლელობა კი ნახევარი საათის შემდეგ დაიწყება.

ბ რ ა უ ნ ი. დიას, მართალსა ბრძანებთ, ბატონო პიჩემ. ნახევარი საათის შემდეგ მართლაც დაიწყება ღარიბთა შორის უღარიბესთა მსვლელობა ოლდ ბეილის სატუსაღოსკენ. მათი ზამთრის რეზიდენციისაკენ. (კონსტებლებს.) აბა, ბიჭებო, ყველას აქ მოუყარეთ თავი, ვინც კი პატრიოტი ნახოთ (მათხოვრებს.) ალბათ გაგიგონიათ ბრაუნ-აფთარი, არა? წუხელის, პიჩემ, მე გამოსავალი მოვძებნე და შემიძლია ვთქვა, რომ მეგობარი სიკვდილისაგან ვიხსენი. მთლიანად მოვსპობ თქვენს ბუდეს და ყველას ციხეში ჩავყრი. მოიცა, რა საბაბით?

ჰო, ქურჩა-ქურჩა მათხოვრობისათვის. თქვენ, ვგონებ, გადაკვრით მითხარით, რომ დღეს გლახების წახისიანებას გვიპირებდით მე და დედოფალს. ჰოდა, აი სწორედ იმ მათხოვრებს ყველას დავიჭერ. შენთვის კი ეს ჭკუის სასწავლი გაკვეთილი იქნება.

პ ი ჩ ე მ ი. ძალიან კარგი, მაგრამ... რომელ გლახებს?

ბ რ ა უ ნ ი. რომელსა და აი, ამ სახიჩრებს. სმით, ამ ვაჟბატონებს ახლავე თან წავიყვანო.

პ ი ჩ ე მ ი. ბრაუნ, მე უნდა გაგაფრთხილოთ, არ აჩქარდეთ და წინდაუხედავი ნაბიჯი არ გადადგათ; მადლობა ღმერთს, რომ ჩემთან მოსვედით. იცით, ბრაუნ, თქვენ, რა თქმა უნდა, შეგიძლიათ ეს რამდენიმე ადამიანი დააპატიმროთ, მაგრამ ესენი ხომ უწყინარნი არიან, უწყინარნი...

მუსიკა დაიქუხებს, სახელდობრ, „ადამიანის მისწრაფებათა ამოების“ სიმღერა, სულ რამდენიმე ტაქტი გაისმის.

ბ რ ა უ ნ ი. ეს რაღაა?

პ ი ჩ ე მ ი. მუსიკას უკრავენ. ცდილობენ, რაც შეუძლიათ. „ადამიანის მისწრაფებათა ამოების“ სიმღერა არ გაგიგონიათ? ჭკუის სასწავლი რამაა.

„სასიმღერო“ განათება — ოქროსფერი შუქი. ორგანო სინათლის რკალშია. ზევიდან ლატანზე დამაგრებული სამი ნათურა ეშვება, დაფებს აწერია:

ა დ ა მ ი ა ნ ი ს მ ი ს წ რ ა ფ ე ბ ა თ ა ა მ ა ო ე ბ ი ს ს ი მ ღ ე რ ა

1

მარტო თავის თავით აბა,
ქვეყნად კაცი რას გააწყობს,
მარტო თავის თავით ალბათ
მკბენარებს თუ გამოაძღობს.

ვინაიდან მას იმდენი
ეშმაკობა არა ჰყოფნის,
რომ შეიგნოს ცხადად მთელი
სიაგაკაცე წუთისოფლის.

2

დაისახე დიდი გეგმა,
იყავ თუნდაც ბრძენთა ბრძენი;
მაგრამ მთელ ამ თავისტეხას
რა აზრი აქვს? — არაფერი!

ვინაიდან ადამიანს
ვერაგობა არა ჰყოფნის,
მაშ, როგორღა შეუძლია
მას დაძლევა წუთისოფლის?

3

და ან განა ბედის დევნას
კაცი რამეს გამორჩება?
ჰგონია, რომ ბედს ეწევა,
მაგრამ ბედი უკან რჩება.

ვინაიდან ადამიანს
თავმდაბლობა არა ჰყოფნის;
ეს კი იმის ბადალია,
რომ მონაა წუთისოფლის.

პ ი ჩ ე მ ი. თქვენი გეგმა, ბრაუნ, გენიალურია, მაგრამ განხორციელებით კი ვერ განხორციელდება. თქვენ მართლაც შეგიძლიათ ეს რამდენიმე ახალგაზრდა დააპატიმროთ, რომლებმაც, დედოფლის კორონაციით გახარებულებმა, პატარა მასკარადი მოაწყვეს, მაგრამ ნამდვილი გაჭირვებულები თუ გამოვიდნენ, აქ არც ერთი მათგანი არ არის, წარმოგიდგენიათ, ისინი ხომ ათასობით იქნებიან. აი, ეს არის მთავარი. თქვენ დაგავიწყდათ, რა ბევრნი არიან ღარიბები. თუ ყველანი ტაძრის წინ ჩამწკრივდნენ, არცთუ საზეიმო სანახაობა იქნება. იმ ხალხს ცუდმადი შესახედლობა აქვს. იცით, რა არის წითელი ქარი, ბრაუნ? მაშ, აბა წითელი ქარით შემკული ასოცი სახე წარმოიდგინეთ! ახალგაზრდა დედოფალს წითელ ვარდებზე აქვს თვალი მიჩვეული და არა წითელ ქარზე. ახლა ის სახიჩრები ტაძრის კარიბჭესთან! განა არა სჯობს თავიდან ავიცილოთ ეს ყველაფერი, ბრაუნ? ალბათ იმეტყვით, პოლიცია გაგისწორდებათ ღარიბებსაო, მაგრამ ეს ხომ თვითონაც არ გჯერათ. ან აბა რას ემგვანება, რომ ცერემონიალის დროს ექვსასიოდე საბრალო ხეიბარს პოლიციელები ხელკეტებით დაერიონ. ვერაფერი სანახავი იქნება. სამარცხვინო სანახავი იქნება. ამაზრზენიც კი. ლამის ცუდად გავხდე ამის გაფიქრებაზე, ბრაუნ. სკამი მოიტათ, გეთხყვათ.

ბ რ ა უ ნ ი (სმითს). ეს მუქარაა, გაიგე, გამოძალგაა. ამ კაცს ხელს ვერ ახლებ. ამ კაცს ხელს ვერ ახლებ, რომ საზოგადოებრივი წესრიგი არ დაირღვეს. გაუგონარი ამბავია.

პ ი ჩ ე მ ი. ახლა ხომ გაიგონეთ. ერთი რამ მინდა გითხრათ: ინგლისის

დედოფალთან შეგიძლიათ ისე მოიქცეთ, როგორც გსურთ, მაგრამ ლონდონის უღარიბეს კაცს ფეხის თითებზე ნუ დააბიჯებთ, თორემ მაშინვე გადაბრუნდებით, ბატონო ბრაუნ.

ბ რ ა უ ნ ი. მაშასადამე, მეკი-დანა უნდა დავაპატიმრო, არა? სათქმელად იოლია. ჯერ უნდა დაიჭირო კაცი, რომ დაპატიმრება შეგეძლოს.

პ ი ჩ ე მ ი. თქვენ თუ მაგ აზრისა ხართ, მე რაღა მეთქმის. სხვა გზა არ არის, უნდა ხელში ჩაგაგდებინოთ ის კაცი. ვნახოთ ერთი, კიდევ არსებობს პატიოსანი ხალხი ქვეყანაზე, თუ არა. ჯენი, სად იმყოფება ამჟამად ბატონი მაკპითი?

ჯ ე ნ ი. ოქსფორდ-სტრიტის 21-ში, სიუკი თოდრისთან.

ბ რ ა უ ნ ი. სმით, დაუყოვნებლივ წადით ოქსფორდ-სტრიტის 21 ნომერში, სიუკი თოდრისთან, შეიპყარით მაკპითი და ოლდ ბეილში წაიყვანეთ. ამასობაში მე სააღლუმოდ გამოვეწყობი. ასეთ დღეს ვაღდებული ვარ სააღლუმო მუნდირი მეცვას.

პ ი ჩ ე მ ი. თუ ექვს საათზე უკვე ჩამოსრჩობილი არ იქნება...

ბ რ ა უ ნ ი. ო, მეკი, არაფერი არ გამოვიდა. (გადის კონსტებლებთან ერთად.)

პ ი ჩ ე მ ი (მიამახებს). კარგი ჭკუის სასწავლი გაკვეთილი კი მიიღეთ აი, ბრაუნ!

მესამედ ისმის დაფდაფების ხმა.

მესამედ მისცეს ნიშანი. მსვლელობის ორიენტირი შეიცვალა. მიმართულება ახალია: გეზი ოლდ ბეილის საპატიმროსაკენ უნდა გეჭიროთ. აბა, გასწით!

მ ა თ ხ ო ვ რ ე ბ ი გადიან.

პ ი ჩ ე მ ი (მღერის).

ბოროტია კაცი? მერე
შენც ეგ მუშტი მზადა გქონდეს;
ერთი ყბაში მოაკერე,
ნახავ, როგორ გამოსწორდეს!
ვინაიდან ადამიანს
ბოროტებით გააქვს ლელო,
ჩვენც სხვა რაღა დაგვრჩენია —
ყბაში უნდა მოვაკეროთ!

ფარდა. ფარდის წინ ჯ ე ნ ი გამოდის არღნით ხელში და მღერის.

სოლომონ ბრძენის სიმღერა

1

გაგეგონებათ სოლომონ ბრძენი
და ალბათ იცით, რაც მოუვიდა,
ცოდნის ძებნაში გალია დღენი,
მაგრამ გაჩენის დღეს იწყევლიდა.
კაცობრიული ყველა საქმენი
ამაოებად შერაცხა ბრძენმა.
გამოდის, იგი სულ ფუჭად ცდილა,
ამას უმაღვე მიხვდება ყველა.
ეს სიბრძნემ უყო. ნეტავი იმას,
ვისაც კი იგი არ მოეძევა!

2

თქვენ კლეოპატრაც გაგეგონებათ
და ალბათ იცით, რაც მოუვიდა.
ორი მრისხანე იმპერატორი
მას თავის გულის დედოფლად თვლიდა.
სილამაზეში არ ჰყავდა ტოლი
და მაინც ამან ვედარ უშველა.
გამოდის, იგი სულ ფუჭად ცდილა,
ამას უმაღვე მიხვდება ყველა.
სიტურფემ უყო. ნეტავი იმას,
ვისაც კი იგი არ მოეძევა!

3

თქვენ კეისარიც გაგეგონებათ
და ალბათ იცით, რაც დაემართა.
როცა დიდებს ეწია უკვე,
და ეგონა, რომ ტოლი არ ჰყავდა,
მას შეთქმულებმა ბოლო მოუღეს
და სიმამაცემ ვედარ უშველა.
გამოდის, იგიც სულ ფუჭად ცდილა,
ამას უმაღვე მიხვდება ყველა,
გმირობამ უყო. ნეტავი იმას,
ვისაც კი იგი არ მოეძევა!

4

თქვენ ყოვლად ცოდნისმოყვარე ბრეჰტი,
 გაგეგონებათ, თქმა აღარ უნდა.
 ზშირად უკითხავს: ღარიბის ხარჯზე
 რატომ ცხოვრობსო მდიდარი მუდამ?
 და ამიტომაც მოსწყვიტეთ ასე
 შეუბრალებლად მშობლიურ კერას.
 ცოდნის სიყვარულს რომ შეეწირა,
 ამას უთუოდ მიხვდება ყველა,
 ჰოდა, ამიტომ ნეტავი იმას,
 ვისაც კი იგი არ მოეძევა!

5

თქვენ წინაშე მყოფ ბატონ მაკჰიტს კი,
 დიასაც კარგად იცნობთ ყველანი.
 ქურდობაში და ავხორცობაში
 ვერ აჯობებდა ქვეყნად ვერავინ.
 თავს გაუვიდა და უკვე მაშინ
 გაიძვერობამ ველარ უშველა.
 გამოდის, იგიც სულ ფუჭად ცდილა,
 ამას უმაღვე მიხვდება ყველა.
 ეს ავხორცობამ უყო. ნეტავ მას,
 ვისაც კი იგი არ მოეძევა!

II

ბ რ ძ თ ლ ა ს ა კ უ თ რ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს

ქალიშვილის ოთახი ოლდ ბეილში. ლ უ ს ი. შემოდის ს მ ი თ ი.

ს მ ი თ ი. მის, ქალბატონ პოლი მაკჰიტს სურს თქვენი ნახვა.

ლ უ ს ი. ქალბატონ მაკჰიტს? შემოიყვანე.

შემოდის პ თ ლ ი

პ თ ლ ი. გამარჯობათ, მოწყალეო მისის. მოწყალეო მისის, სალამი!

ლ უ ს ი. რა გნებავთ, გეთაყვა?

პ თ ლ ი. ვერ მიცანით?

ლ უ ს ი. რა თქმა უნდა, გიცანით.

პოლი. მე დღეს მოვედი, რომ ბოდიში მოვიხადო თქვენთან გუშინდელი საქციელისათვის.

ლუსი. საინტერესოა.

პოლი. კაცმა რომ თქვას, გუშინდელი საქციელისათვის ბოდიშს ალბათ ვერაფერი მომხდის, გარდა ჩემი უბედურებისა.

ლუსი. დიას, დიას.

პოლი. ქალბატონო, უნდა მომიტევოთ. გუშინ საშინლად გამწარებული ვიყავი ბატონ მაკპითის საქციელით. მართლაცდა, ისეთ მდგომარეობაში არ უნდა ჩავეყენებინეთ. განა სწორს არ ვამბობ? თქვენც შეგიძლიათ უთხრათ, როდესაც ნახავთ.

ლუსი. მე... მე... მას არ ვნახავ.

პოლი. არა, ნახავთ.

ლუსი. მე არ ვნახულობ მას.

პოლი. უკაცრავად.

ლუსი. თქვენ სომ ძალიან უყვარხართ.

პოლი. რასა ბრძანებთ, მხოლოდ თქვენ უყვარხართ, კარგად ვიცი.

ლუსი. ერთობ თავაზიანი ხართ.

პოლი. ეჰ, მოწყალეო ქალბატონო, მამაკაცს ყოველთვის აშინებს ქალი, რომელსაც ზომაზე მეტად უყვარს იგი. რასაკვირველია, გაურბის ასეთს და ბოლოს ტოვებს კიდეც. იმწამსვე შევნიშნე, რომ თქვენგან რაღაცით იყო დავალებული. ისეთი რამით, რაზედაც მე, რა თქმა უნდა, წარმოდგენაც არ მქონდა.

ლუსი. გულწრფელად ამბობთ ამას?

პოლი. რა თქმა უნდა. ნამდვილად ძალიან გულწრფელად გეუბნებით, ქალბატონო, გთხოვთ, მერწმუნოთ.

ლუსი. ძვირფასო პოლი, ჩვენ ორივეს ზომაზე მეტად გვიყვარდა იგი.

პოლი. შეიძლება. (პაუზა.) და აი ასლა, ქალბატონო, მინდა აგიხსნათ, როგორ მოხდა ყოველივე. ამ ათი დღის წინათ პირველად ვნახე ბატონი მაკპითი ოტელ „მელანთეგზში“. დედაჩემი მახლდა. სოლო სუთიოდე დღის შემდეგ, უფრო ზუსტად კი გუშინწინ დავქორწინდით. გუშინ შევიტყვე, რომ მრავალი დანაშაულის გამო პოლიცია დაეძებს და დღეს კი უკვე აღარ ვიცი, რა მოგველის. ასე რომ, მოწყალეო ქალბატონო, ამ თორმეტიოდე დღის წინათ ვერც კი წარმომედგინა, რომ შეიძლებოდა ოდესმე მამაკაცს დავნებებოდი.

პაუზა.

ლუსი. მესმის თქვენი, მის პიჩემ.

პოლი. მისის მაკპით.

ლ უ ს ი. მისის მაკჭით.

პ ო ლ ი. ამ ბოლო დროს ძალიან ბევრს ვფიქრობ ამ კაცზე. არცთუ ისე იოლი საქმეა მისი ამოცნობა. იცით, მის, პირდაპირ მშურს თქვენი, როდესაც მაგონდება, როგორ ეჭირა თავი გუშინ თქვენ წინაშე, როდესაც იძულებული გავხდი დამეტოვებინა, რაც დედაჩემმა მაიძულა, წარბიც არ შეუხრა, ოდნავადაც არ დაფნანებოვარ. იქნებ გული სულაც არა აქვს და მკერდში გულის მაგივრად ქვა უდევს? თქვენ როგორ ფიქრობთ, ლუსი?

ლ უ ს ი. დიას, ძვირფასო მის. თუმცა კი არ ვიცი, ყველაფერში მხოლოდ ბატონი მაკჭითია დამნაშავე, თუ არა. თქვენი წრე არ უნდა მიგეტოვებინათ, ძვირფასო მის.

პ ო ლ ი. მისის მაკჭით.

ლ უ ს ი. მისის მაკჭით.

პ ო ლ ი. მართალს ამბობთ. ანდა, ყოველ შემთხვევაში, ყველაფრისათვის საქმიანი გარიგების სახე უნდა მიმეცა, როგორც მამაჩემს სურდა.

ლ უ ს ი. უთუოდ.

პ ო ლ ი (ტირის). მეკი ხომ ჩემი ერთადერთი საკუთრებაა.

ლ უ ს ი. ჩემო კარგო, მაგნაირი მარცხი უჭკვიანეს ქალსაც კი შეიძლება შეემთხვეს. მაგრამ ფორმალურად ხომ მაინც მისი ცოლი ხართ, ამით შეგიძლიათ თავი იწუგეშოთ. საბრალო ბავშვო, ისე დათრგუნვილი ხართ ამ ამბით, რომ ვეღარ გიყურებთ. რამე ხომ არ გინდათ?

პ ო ლ ი. მაინც რა?

ლ უ ს ი. საჭმელი რამე.

პ ო ლ ი. ო, ეს კი, გეთაყვათ. ცოტაოდენს მართლაც შევჭამდი რამეს. (თავისთვის, მას შემდეგ, რაც ლ უ ს ი გადის.) რა კუდიანია!

ლ უ ს ი (ყავა და ნამცხვარი შემოაქვს). ასე, ვგონებ, ეს იკმარებს.

პ ო ლ ი. ვაიმე, როგორ გაწუხებთ, ქალბატონო. (პაუზა. ნამცხვარსა და ყავას შეექცევიათ.) რა კარგი პორტრეტი გაქვთ მისი. როდის ამოგიტანათ?

ლ უ ს ი. როგორ თუ ამომიტანა?

პ ო ლ ი (გულუბრყვილოდ). მე მინდოდა მეთქვა, აქ როდის დაჰკიდამეთქი.

ლ უ ს ი. მას არ დაუკიდია.

პ ო ლ ი. პირდაპირ ამ ოთახში მოგცათ?

ლ უ ს ი. ამ ოთახში ის სულ არ ყოფილა.

პ ო ლ ი. მართლა? თუმცა რა მოხდებოდა, რომ ყოფილიყო კიდევ, არა? ბედისწერის ბილიკები ხომ ასე საშინლად არიან ერთმანეთში გადახლართულნი.

ლ უ ს ი. კმარა ამდენი სისულელეების ჩმასვა. თქვენ ხომ აქ მხოლოდ დასაზვერად ხართ მოსული.

პოლი. სომ მართალია, რომ იცით, სად იმყოფება?

ლუსი. მე? თქვენ კი არ იცით?

პოლი. ახლავე მითხარით, სად არის?

ლუსი. წარმოდგენაც არა მაქვს.

პოლი. მაშ, არ იცით, სად იმყოფება? პატიოსან სიტყვას იძლევი?

ლუსი. არა, არ ვიცი. და ნუთუ თქვენც არ უწყით?

პოლი. არა, წარმოგიდგენიათ? (პოლი იცინის, ხოლო ლუსი აცრემლდება.) ორივეს წინაშე ვალდებულება და ის კი სადღაც გადაიკარგა.

ლუსი. მეტის ატანა აღარ შემიძლია. აჰ, პოლი, რა საშინელებაა.

პოლი (გახარებული). ძალიან მიხარია, რომ ამ ტრაგედიის ბოლოს ასეთი მეგობარი შევიძინე. კიდევ კარგი. აღარაფერს ინებებ? ცოტათოდენი ნამცხვარი მაინც შეჭამე!

ლუსი. ცოტათოდენი ნამცხვარი მაინცო! ეჰ, პოლი, ასე გულთბილი ნუ ხარ ჩემდამი, მე არ ვიმსახურებ. ეჰ, პოლი, მამაკაცები ამის ღირსნი არ არიან.

პოლი. რა თქმა უნდა, არ არიან, მაგრამ რა უნდა ქნა ადამიანმა?

ლუსი. არა! ახლა გუდას პირი უნდა მოვხსნა და ყველაფერი პირწმინდად ამოვალავო. პოლი, ძალიან სომ არ გაბრაზდები?

პოლი. რაო?

ლუსი. ნამდვილი როდია.

პოლი. რა არ არის ნამდვილი?

ლუსი. აი, ეს. (მუცელზე დაიდებს ხელს.) და ყველაფერი კი იმ ავაზაკის გულისხათვის მოვიმოქმედე.

პოლი (იცინის). უი, რა შესანიშნავია! მაშ, განგებ გაიკეთე, მოსატყუებლად! დიდი კუდიანი ყოფილხარ! გამიგონე, გინდა მეკი? მიჩუქნია შენთვის. წაიყვანე. თუ იპოვი სადმე! (გარედან ლაპარაკისა და ნაბიჯების ხმა ისმის.) რა ამბავია?

ლუსი (ფანჯარაში იხედება). მეკი! ისევ დაუჭერიათ!

პოლი (ჩაიკეცება). მაშ, ყველაფერი გათავებულა.

შემოდის ქალბატონი პიჩემი.

ქალბატონი პიჩემი. აჰ, პოლი, აი თურმე სადა ყოფილხარ. ახლავე გამოიცვალე ტანსაცმელი. შენ ქმარს სადაცაა ჩამოახრჩობენ. ქვრივის კაბა წამოვიდე. (პოლი იცვლის კაბას.) კალმით ნახატი ქვრივი იქნები, ოღონდ ცოტა მაინც გამხიარულდი.

პარასკევია, დილის ხუთი საათი. მეკი-დანა, რომელიც ისევ მივიდა როსკი-პებთან, განმეორებით გასცეს მეძავებმა და ახლა ჩამოხრჩობა ელის.

ს ი კ ვ დ ი ლ მ ი ს ჯ ი ლ თ ა ს ა კ ა ნ ი.

ვესტმინსტერის ზარები რეკავენ. კონსტებლებს ბორკილგაყრილი მ ა კ ჭ ი-თ ი შეჰყავთ საკანში.

ს მ ი თ ი. აქეთ მოიყვათ. ვესტმინსტერის ზარებმა პირველად უკვე და-რეკეს. რიგიანად დაიჭირეთ თავი, ვერ გამოიგია, ასე რამ მიგასიკვდილათ, ალ-ბათ გრძსვენიათ საკუთარი თავისა. (კონსტებლებს.) ვესტმინსტერის ზარები მესამედ რომ დარეკავენ, ესე იგი ექვსი საათი რომ შესრულდება, უკვე ჩამო-ხრჩობილი უნდა იყოს. ყველაფერი მოამზადეთ.

ე რ თ-ე რ თ ი კ ო ნ ს ტ ე ბ ლ ი. ნიუგეიტის მთელი ქუჩები უკვე მე-ოთხედი საათია ისეა ხალხით გაჭედილი, რომ გავლა შეუძლებელია.

ს მ ი თ ი. საკვირველია, ასე უცებ როგორ გაიგეს?

კ ო ნ ს ტ ე ბ ლ ი. ასე თუ გაგრძელდა, კიდევ ერთი მეოთხედი საათის შემდეგ მთელ ლონდონს ეცოდინება. მაშინ ის ხალხი, ვინც დედოფლის კურ-თხევის ცერემონიალს უნდა დასწრებოდა, აქეთ მოაწყდება. დედოფალს კი ცარიელ ქუჩებში მოუხდება გავლა.

ს მ ი თ ი. ამიტომ მარდად უნდა მოვიქცეთ. თუ ექვს საათზე ყველაფერს მოგრიებით, მაშინ ხალხი შვიდი საათისათვის კიდევ მიუსწრებს საზვიმო სვლას. აბა, გასწით!

მ ე კ ი. ჰელოუ, სმით, რა დროა ახლა?

ს მ ი თ ი. თვალები არა გაქვთ? ექვსის ოთხი წუთია.

მ ე კ ი. ექვსის ოთხი წუთი.

სმითი გარედან კეტავს კარს და ამ დროს ბ რ ა უ ნ ი შემოდის.

ბ რ ა უ ნ ი (ზურგშექცევით დგას საკანთან და ისე ეკითხება სმითს). აქ არის?

ს მ ი თ ი. გინდათ ნახოთ?

ბ რ ა უ ნ ი. არა, არა, ღვთის გულისათვის, არა. თქვენ თვითონ გააკეთეთ ყველაფერი. (გადის.)

მ ე კ ი (ერთბაშად გაბმით იწყებს ხმადაბლა). მაშ ასე, სმით, მოქრთამვას არ გიპირებთ, არ შეგეშინდეთ, ყველაფერი ვიცი. თავი რომ მომასყიდვინოთ, სულ მცირე, საზღვარგარეთ გაქცევა მოგიხდებათ. დიას, აუცილებლად მო-გიხდებათ. ამისათვის კი მთელი თქვენი სიცოცხლე უნდა უზრუნველგყოთ.

ათასი გირვანქა გეყოფოდით, არა? არაფერი არ მითხრათ, ოც წუთში გეტყვიტყვით შესაძლებელია თუ არა, რომ ეს თანხა დღეს შუადღემდე მიიღოთ. არ მინდა გაცდუნოთ. გადით გარეთ და კარგად მოიფიქრეთ. სიცოცხლე სანმოკლეა, ხოლო ფული ცოტა. და საერთოდ ისიც არ ვიცი, რამდენის შოვნას შეგძლებოთ.

ს მ ი თ ი (ნელა). სისულელეა, ბატონო მაკპით. (გადის.)

მ ე კ ი (ხმადაბლა და ძალზე სწრაფად).

მეგობრებო, დღეს მაკპითი თანაგრძნობას შეგთხოვთ ყველას.

ის წიფლნარში კი არა წევს, ან ბალახზე კი არ სძინავს;

არა, არა, როგორც ხედავთ, უკუღმართმა ბედისწერამ

გასწირა და უღიმილამო აკლდამაში მოამწყვდია!

ღმერთმა ქნას, რომ ჩემს ძახილზე ეს კედლები და ეს ჭერი

გაირდევს და შეისმინოთ საბოლოო თხოვნა ჩემი:

როცა მოვკვდე, ნურახოდეს მომიგონებთ, ძმებო, ძვირად.

ჭიქა ღვინით მაცხოვნეთ და დამიტირეთ ცხარე ცრემლით,

მაგრამ ვიდრე ცოცხალი ვარ, გევედრებით ნუ გამწირავთ

და საშინელ ტანჯვათაგან დამიხსენით, დამიხსენით!

დერეფანში მ ა თ ი ა ს ი და ჯ ე კ ო ბ ი გამოჩნდებიან, მაკპითთან შესვლა უნდათ, მათ სმითი გამოელაპარაკება.

ს მ ი თ ი. ვაი, ბიჭო, გამოწეულილ ტარანს არა ჰგავხარ!

მ ა თ ი ა ს ი. მას შემდეგ, რაც კეპტენი ჩვენთან აღარ არის, ჩვენი ქალეზის დაორსულება მე მიხდება, რომ შეურაცხადობის ცნობა მიიღონ. ბუღალავით უნდა იყო კაცი, ამნაირ სამუშაოს რომ გაუძლო. კეპტენს მინდა ფელაპარაკო.

ორივენი მეკისთან მიდიან.

მ ე კ ი. ექვსის ოცდახუთია. თქვენ კი სულ არ ჩქარობთ.

ჯ ე კ ო ბ ი. რა ვქნათ, ბოლოს და ბოლოს იძულებული გავხდით...

მ ე კ ი. ბოლოს და ბოლოს, ბოლოს და ბოლოს ჩამომახრჩობენ, შე კ ა ი კაცი! მაგრამ ახლა თქვენთან ჩხუბის დრო არა მაქვს. ექვსის ოცდარვა წუთია. ასე რომ, რამდენი შეგიძლიათ დაუყოვნებლივ გაიღოთ თქვენი პირადი სამალავიდან?

მ ა თ ი ა ს ი. ჩვენი პირადი სამალავიდან, დილის ხუთ საათზე?

ჯ ე კ ო ბ ი. ნუთუ მართლა აქამდე მივიდა საქმე?

მ ე კ ი. ოთხასი გირვანქა შეგიძლიათ?

ჯ ე კ ო ბ ი. კი, მაგრამ ჩვენ? რალა დაგვრჩება? მაგაზე მეტი არც არის იქ.

მ ე კ ი. ვინ უნდა ჩამოახრჩონ, თქვენ თუ მე?

მათიასი (აღელვებული). სიუკი თოდრისთან ვინდა იწვა, იმის მაგვირად, რომ ათესილიყო? ჩვენ ვიწვეით, თუ შენ?

მეკი. პირი მოკეტე. მალე სულ სხვა ადგილას ვიწვები და არა იმ უნამუსოსთან. ექვსის ნახევარია.

ჯეკობი. ჰა, ნულარ ვაჭიანურებო, მათიას.

სმითი. ბატონი ბრაუნი ბრძანებს, საჭმელად რას ინებებთო.

მეკი. თავი გამანებეთ. (მათიასს.) აბა, ყაბულსა ხარ, თუ არა? (სმითს.) სატაცური-თქო.

მათიასი. რას მიყვირიხართ. ყვირილის უფლებას არავის მივცემ.

მეკი. მერე როდის გიყვირი? მხოლოდ ესაა, რომ... მოკლედ, მათიას, გამიმეტებ, რომ ჩამომახრჩონ?

მათიასი. რა თქმა უნდა, ვერ ფაგიმეტებ. ამას ვინ ამბობს? მაგრამ მაგის მეტი არაფერი გაგვაჩნია. მართლაც ოთხას გირვანქაზე მეტი არა გვაქვს გადანახული. მე მგონი, ამის თქმის უფლება მაინცა მაქვს.

მეკი. ხუთი საათი და ოცდათვრამეტი წუთია.

ჯეკობი. ცოტა მარდად მოვიტყეთ, მათიას, თორემ მერე უკვე გვიან იქნება.

მათიასი. თუ როგორმე გავაღწიეთ. მთელი ქუჩები გაჭედლილია ხალხით.

მეკი. ექვსს რომ ხუთი წუთი დააკლდება, თუ აქ არ განჩნდით, ვეღარ მიხილავთ. (დაუყვირებს.) მაშინ ვეღარ მიხილავთ...

სმითი. უკვე წავიდნენ. როგორ არის საქმე? (ხელით ისეთ მოძრაობას აკეთებს, თითქოს ფულს ითვლიდეს.)

მეკი. ოთხას იძლევიან. (სმითი მხრებს აჩეჩავს და გადის. მეკი მიაძახებს.) ბრაუნის ნახვა მინდა.

შემოდის სმითი კონსტებლის თანხლებით.

სმითი. საპონი გაქვთ?

ერ-ერთი კონსტებლი. მაქვს, მაგრამ ისეთი არა.

სმითი. იცოდეთ, ათ წუთში მზად უნდა იყოს ყველაფერი.

კონსტებლი. ფეხქვეშ გამოსაცლელი ფიცარი არ მუშაობს.

სმითი. არაფერი არ ვიცი. უკვე მეორეჯერ დარეკეს.

კონსტებლი. ციხე კი არა, საღორეა.

მეკი.

როგორც ხედავთ, საქმიეები უკუღმართად მიდის, ძმებო, გაკოტრებულ მაკპითისთვის აღსასრულის დადგა ჟამი, და რას ფიქრობთ, მაგ გაზინტილ ფულისათვის შეშლილებო,

ნუთუ უნდა მოკვდეს იგი და საშველი არსად არის?!
არა, არა, ჯერ კიდევ არ დაღუპულა ყველაფერი.
რას უყურებთ, მყის დედოფალს სასახლეში ეახლენით,
თვინიერი დღორებივით ყველამ ერთად სდიეთ კუდში
და როგორმე შეავედრეთ განწირული თავი ჩემი.
გეხვეწებით, უპატრონოდ ნუ დამტოვებთ ამ ჯურღმულში
და საშინელ ტანჯვათაგან დამიხსენით, დამიხსენით!

შემოდის პოლი.

ს მ ი თ ი. ვერ შეგიშვებთ მასთან, რიგით მხოლოდ მეთექვსმეტე ხართ.
თქვენი რიგი ჯერ არ მოსულა.

პოლი. რა დროს რიგია. ბიუროკრატი ხომ არა ხართ? მისი ცოლი ვარ
და მინდა ვნახო.

ს მ ი თ ი. კარგით, მაგრამ იცოდეთ, მხოლოდ ხუთი წუთი.

პოლი. ხუთი წუთი რა სათქმელია! მტკნარი სისულელია. ხუთი წუთი!
ასე უცებ რის თქმას მოვასწრებ. იოლი საქმე როდია, კაცს სამუდამოდ ვე-
თხოვები. ასეთ დროს ცოლ-ქმარს უსასრულოდ ბევრი რამა აქვს სათქმელი...
ხად არის?

ს მ ი თ ი. რა, განა ვერ ხედავთ?

პოლი. ჰო, რასაკვირველია. დიდად გმადლობთ.

მეკი. პოლი!

პოლი. ჰო, მეკი, აქა ვარ, შენთან.

მეკი. კი, რა თქმა უნდა!

პოლი. თავს როგორა გრძნობ? ძალიან დათრგუნვილი ხარ? რა საში-
ნელებათ!

მეკი. კი, შენ რას იზამ? რა მოგელის?

პოლი. არაფერია, მეკი. ჩვენი ფირმა შესანიშნავად მუშაობს. ძალიან
ნერვიულობ?.. მამაშენი ვინ იყო ნეტავი? რამდენი რამ არ გაიმბნია ჩემთვის.
არ მესმის შენი. შენ ხომ იმუდამ ჯანმრთელი ადამიანი იყავი.

მეკი. გამიგონე, პოლი, არ გინდა რითიმე დამეხმარო, რომ აქედან გა-
მოვიდე?

პოლი. როგორ არა!

მეკი. ფული მჭირდება, რა თქმა უნდა. მე აქ ზედამხედველთან...

პოლი (ნელა). ფული საუთპემპტონში გადავაგზავნი.

მეკი. და აქ არაფერი არა გაქვს?

პოლი. არა, აქ არაფერი მაქვს. მაგრამ იცი, მეკი, შემიძლია ვინმესთან
მივიდე... შეიძლებოდა, მაგალითად, პირადად დედოფლისათვის მიმემართა.
(თავს ველარ იკავებს.) ვაიმე, მეკი!

ს მ ი თ ი (გაჰყავს პოლი). ჰა, რა ქენით, შეაგროვეთ თუ არა ათასი გირ-
განქა?

პ თ ლ ი. მშვიდობით, მეკი! ბედს შეურიგდი და არ დამიფიწყო! (გაღის.)

ს მ ი თ ს ა და კ თ ნ ს ტ ე ბ ლ ე ბ ს მაგიდა შემოაქვთ, ზედ ერთი თეფში სა-
ტაცური დევს.

ს მ ი თ ი. კარგად არის სატაცური მოხარშული?

კ თ ნ ს ტ ე ბ ლ ე ბ ი. კარგად გახლავთ. (გაღიან.)

შემოდის ბ რ ა უ ნ ი და სმითთან მიდის.

ბ რ ა უ ნ ი. სმით, არ იცით, რა უნდა ჩემგან? კარგია, რომ საუზმე ჩემს
მოსვლამდე გადავიდით. მაგიდა შეგუტანოთ და ისე შევიდეთ, რომ დაინა-
ხოს, როგორ ვექცევით. (ბრაუნსა და სმითს შეაქვთ საკანში მაგიდა. ს მ ი თ ი
გაღის.)

პ ა უ ზ ა.

ჰელოუ, მეკი, აი სატაცური მოგიტანეთ. არ გინდა? ცოტა მაინც შეჭამე.

მ ე კ ი. ნუ წუხდებით, ბატონო ბრაუნ, გამოიძებნებიან ადამიანები, რომ-
ლებიც უკანასკნელ პატივს დამიღებენ.

ბ რ ა უ ნ ი. ეჰ, მეკი!

მ ე კ ი. ანგარიში გამისწორეთ! თან ამასობაში ნება მომეცით ვისაუზმო.
ბოლოს და ბოლოს, ეს ჩემი უკანასკნელი საუზმეა. (სატაცურს შეექცევა.)

ბ რ ა უ ნ ი. გაამოს. ეჰ, მეკი, გაფარვარებულ რკინასავით იმხანთავს შენი
სიტყვები.

მ ე კ ი. ანგარიში გაფასწორეთ-მეთქი, სერ, გეთაყვათ, ანგარიში. გულის
აჩუყება არ იყოს.

ბ რ ა უ ნ ი (ოხვრით იღებს ჯიბიდან პატარა უბის წიგნაკს). აი, თან წა-
მოვიღე, მეკი. აქა მაქვს ბოლო ნახევარი წლის ანგარიში.

მ ე კ ი (მკვასხედ შეაწყვეტინებს). ოჰო, აქაც იმიტომ მოხვედით, რომ კი-
დეც ფულები ამომქაჩოთ?

ბ რ ა უ ნ ი. ვანა არ იცის, რომ ეს ასე არ არის?..

მ ე კ ი. გეთაყვათ, თქვენ რატომ უნდა იზარალოთ. აბა, რამდენი მმარ-
თებს? ოღონდ გთხოვთ, დაწვრილებით მიანგარიშოთ, მუხლების მისხედვით.
ცხოვრებამ უნდობელი გამხადა... თქვენზე უკეთ ვინ გამიგებს ამას.

ბ რ ა უ ნ ი. მეკი, როცა ეგრე მელაპარაკები, თავგზა მეზნევა და ვეღარ
გაზროვნებ.

ს ც ე ნ ის მიღმა ძლიერი კაკუნი ისმის.

ს მ ი თ ი ს მ ა. აი ასე, ახლა გაუძლებს.

მ ე კ ი. ანგარიში-მეთქი, ბრაუნ.

ბ რ ა უ ნ ი. კეთილი, თუკი იმ იშლი. მაშ, ჯერ ერთი, თანხები მკვლელთა შეპყრობისათვის, რაც შენი ან შენი სალხის ხელშეწყობით განხორციელდა. სულ სახელმწიფოსაგან შენ მიიღე...

მ ე კ ი. სამი შემთხვევა იყო ასეთი. თითოში ორმოცი გირვანქა მოგვცეს, სულ კი ასოც გირვანქას შეადგენს. აქედან მეოთხედი თქვენ გეკუთვნით. ესე იგი, თქვენი ოცდაათი გირვანქა გვმართებს.

ბ რ ა უ ნ ი. დიას, დიას, მაგრამ ღმერთმანი, არ ვიცი, მეკი, შეიძლება თუ არა ამ უკანასკნელ წუთებში...

მ ე კ ი. კარგი, გაანებეთ თავი მაგ ზედმეტ რატარუტს. ოცდაათი გირვანქა და დოვერშიაც რომ იყო, იმაში რვა.

ბ რ ა უ ნ ი. მარტო რვა რანაირად, იქ სომ...

მ ე კ ი. გჯერათ ჩემი, თუ არა? ამრიგად, სულ თუ შევაჯამებთ, ამ უკანასკნელ ნახევარი წლის მანძილზე ოცდათვრამეტი გირვანქა გერგებათ.

ბ რ ა უ ნ ი. (ხმამაღლა ზღუქუნებს). მთელი ჩემი სიცოცხლე... შენ...

ო რ ი ვ ე ნ ი. შემოგციცინებდი თვალეში.

მ ე კ ი. სამი წელი ინდოეთში, — „ჯონთან ერთად გაიწვიეს ჯარში ჯიმი“, — ხუთი წელიც ლონდონში, და აი, მაღლობა ყველაფრისათვის. (თან გამოსახავს, რას ემგვანება ჩამოხრჩობილი.)

მეგობრისგან გაყიდული აქ ჰკიდია დღეს მაკჭითი,
ცხოვრებაში ვინც ყველასთან იყო მუდამ გულმართალი,
და საკუთარ კისერზე გრძნობს სახრჩობელის თოკზე იგი,
ბატონებო, მთელ სიმძიმეს საკუთარი უკანაღის.

ბ რ ა უ ნ ი. მეკი, მაშ ეგრე, არა?... ვინც ჩემს ღირსებას ესხმის თავს, ის მე მესხმის. (გამწარებული გამოვარდება გალიიდან.)

მ ე კ ი. შენს ღირსებას...

ბ რ ა უ ნ ი. დიას, ჩემს ღირსებას. სმით, საქმეს შეუდექით! სალხი შემოუშვით! (მეკის.) მაპატიე, გეთაყვა.

ს მ ი თ ი. (სწრაფად, მაკჭითს). ასლა კიდევ შემიძლია გაგაპართ, მაგრამ ერთი წუთის შემდეგ უკვე გვიან იქნება. შეაგროვეთ ფული თუ არა?

მ ე კ ი. კი, თუ ჩემი ბიჭები დაბრუნდებიან.

ს მ ი თ ი. არა ჩანან. ასე, გათავდა ყველაფერი.

შემოუშვებენ სალხს. შემოდინ ქალბატონი პიჩემი, პოლი, ლუსი, როსკიპები, მოძღვარი, მათიასი და ჯეკობი.

ჯ ე ნ ი. ჩვენი შემოშვება არ უნდოდათ, მაგრამ მე ვუთხარი: თუ ასლავე თქვენს ზინტლიან ქულებს თავიდან არ მოიშვლებთ, ნაძირალა ჯენისთან გექნებათ-მეთქი საქმე.

შემოდის პიჩემი.

პიჩემი. მე მისი სიამამრი ვარ. მომიტევეთ, გეთაყვათ, რომელია აქ ბატონი მაკპითი?

მეკი (წარუდგენს თავის თავს). მაკპითი გახლავართ.

პიჩემი (წინ ჩაუვლის გალიას და მარჯვნივ დგება, ასევე იქცევინ შემდეგ დანარჩენებიც). განგებამ ასე ინება, ბატონო მაკპით: ჩემი სიძე ისე გახდით, რომ არც კი გამიცნობს. ხოლო გარემოება, რომელმაც თქვენთან პირველად შემახვედრა, ერთობ საგაღალაოა. ბატონო მაკპით, ოდესღაც თერთ-რი ლადის ხელთათმანები გეცვათ, სპილოს ძვლის ბუნიკიანი ხელჯოხი გეჭირათ და ნაჭრილობევი გაჩნდათ ყელზე. ჩვეულებრივ ოტელ „მელანთევზში“ დაიარებოდით. ახლა კი მხოლოდ ნაჭრილობევი შემოგრჩათ. დიასაც ყველაზე ნაკლებდირებულნი რამ თქვენი დამსახურებითელი ნიშნებიდან და გისოსებში თუ დადიხართ. ხოლო სულ მალე კი აღარსად არ ივლით...

პოლი ტირილით ჩაუვლის გალიას და მარჯვნივ ჩერდება.

მეკი. რა ლამაზი კაბა გაცვია.

მათიასი და ჯეკობი წინ ჩაუვლიან გალიას და მარჯვნივ ჩერდებიან.

მათიასი. ვერ გაფაღწოეთ, ისეთი ჭეჭყვაა ქუჩებში. ისე მოვრბოდით, რომ მეშინოდა, ჯეკობს სისხლი არ ჩაექცეს-მეთქი. თუ არ გჯერა...

მეკი. ჩემი ბიჭები რას ამბობენ? კარგ ადგილებზე არიან?

მათიასი. იცით, კეპტენ, ჩვენ დარწმუნებულები ვიყავით, რომ გაგვიგებდით. მოგეხსენებათ, დედოფლის კურთხევა ყოველდღე არ არის... ბიჭებს უნდათ ცოტა რამ იშოვონ. მოკითხვას გითვლიან!

ჯეკობი. უგულითადესს!

ქალბატონი პიჩემი (ჩაუვლის გალიას და მარჯვნივ დგება). ბატონო მაკპით, ვინ იფიქრებდა ამას, როცა ერთი კვირის წინათ ოტელ „მელანთევზში“ უანსტებს ვცეკვავდით.

მეკი. დიას, უანსტებს.

ქალბატონი პიჩემი. მაგრამ ბედისწერა ულმოებელია.

ბრაუნი (სცენის სიღრმეში, მოძღვარს). და აი, ამ კაცთან აზერბაიჯანში მხარდამხარ ვმდგარვარ ცხარე ბრძოლაში.

ჯენი (ჩაუვლის გალიას). ჩვენ დრური-ლეინში ყველანი ძალიან განვიცდით. ძე-ხორციელი არ წასულა დედოფლის კურთხევაზე. ყველას შენი ნახვა სწადია.

მეკი. ყველას ჩემი ნახვა სწადია.

სმითი. აბა, დავიძრათ, ექვსი საათია. (გალიიდან გამოუშვებს.)

მეკი. ხალხს ნუღარ ვაცდევინებთ. ქალბატონებო და ბატონებო, თქვენ

ხედავთ წარმავალი წოდების წარმავალ წარმომადგენელს. ჩვენ, წვრილ ხე-
ლოსნებს, რომელნიც ალალი ძალაყინით ვტყვით წვრილი მელუქნეების მო-
ნიკელებულ სალაროებს, მსხვილი მეწარმეები გვყლაპავენ, რომელთა უკან
ბანკები დგას. აბა, რას წარმოადგენს ქურდის სატყისი აქციასთან შედარებით?
ან ბანკზე თავდასხმა ბანკის დაარსებასთან შედარებით? ან კიდევ კაცის მო-
კვლა — კაცის სამუშაოზე მოწყობასთან შედარებით? მე გეთხოვებით, თანა-
მოქალაქენო, და მადლობას გიხდით, რომ მოხვედით. თქვენგან ზოგიერთი
ერთობ ახლოს იყო ჩემთან. ამბობენ, ჯენიმ გაგცაო, ეს დიდად მაოცებს. ეს
კიდევ ერთი თვალსაჩინო დამამტკიცებელი საბუთია იმისა, რომ ქვეყანა
კვლავ იგივეა მარად. რამდენიმე უკეთური გარემოების თანხვედრამ ძირს
დამცა და აი, ვიღუპები. დაე, მოხდეს, რაც მოსახდენია!

„სასიძღვრო“ განათება — თქროსფერი შუქი. ორგანო სინათლის რკალშია.
ზევიდან ლატანზე დამაგრებული სამი ნათურა ეშვება, დაფებს აწერია:

ბ ა ლ ა დ ა , რ თ მ ე ლ შ ი ა ც მ ა კ ჰ ი თ ი ყ ვ ე ლ ა ს პ ა ტ ი ე ბ ა ს
ს თ ხ ო ვ ს

თქვენ, ვინც ჩვენს შემდეგ ალბათ დიდხანს იცხოვრებთ კიდევ,
ნურც ისე მკაცრად განგვიკითხავთ და შეგვიწყალებთ,
და ნურც ბრიყვულად უღვაშებში ნუ ჩაიციინებთ,
სიკვდილმისჯილებს ეშაფოტზე რომ აგვიყვანენ.
და თუნდაც ვიყოთ გარყვნილნი და ზნედაცემულნი,
ნუ განგვიკითხავთ, ბატონებო, მსაჯულთა დარად.
ბევრი კი იცით თქვენ ამ ცოდვილ მიწაზე განა,
სიკეთითა და სათნოებით იყოს მორჭმული?
ჩვენი სიკვდილი ნუ ჩაივლის თქვენთვისაც უქმად
და ჩემს შენდობა-პატიებას შესთხოვდეთ უფაღს.

წარდგნა წაგვლეკავს და ჩვენს სხეულს გაასუფთავებს,
მოვლა-პატივს რომ არ ვაკლდებით, როგორც მონები,
ამოგვკორტნიან სადაცაა შავი ყორნები
მრავალი რამის მნახველ, მაგრამ მაინც ხარბ თვალებს.
ჩვენ ჭეშმარიტად მუდამ მაღლა მივისწრაფოდით
და ქედმაღლობის გამო კიდევ ვკიდევართ მაღლა,
რას ვიფიქრებდით, ჩონჩორიკის მსგავსად თუ ახლა
სვავების მიერ დასაკორტნად ძირს ვეყრებოდით.
ეს მაგალითი ნუ ჩაივლის თქვენთვისაც უქმად.
და ჩემს შენდობა-პატიებას შესთხოვდეთ უფაღს.

გოგონებს, ვინც გროშის ფასად
ნებდებიან ყველგან ყველას,
და ყმაწვილებს, ვინც მათ ხარჯზე
ნებივრობენ უზურნველად,
ყველა კახპას და მათხოვარს,
მათ მაჭანკლებს, ქურდებს, მკვლელებს,
ჯიბგირებს და გზის ყაჩაღებს —
ყველას შეგთხოვთ: მომიტევეთ,
პოლიციელებს კი არა...
ან რა გული უნდა მქონდეს
მაგ ძაღლებზე, როცა მარად
ტანჯვით მიმასპინძლებოდნენ.
შემიერისხა ღირდა მართლაც
მე ისინი წყევლა-კრულვით,
მაგრამ მოდი დღეს იმათაც
პატიებას შევთხოვ გულით.

ო, ყველა ამ არამზადას
ამოხადო უნდა სული,
მაგრამ, რა გქნა, დღეს ამათაც
პატიებას შევთხოვ გულით.

ს მ ი თ ი. გთხოვთ, ბატონო მაკპით.

ქ ა ლ ბ ა ტ ო ნ ი პ ი ჩ ე მ ი. პოლი და ლუსი, აღსასრულის ჟამს მხარში
ამოუღებოთ თქვენს ქმარს.

მ ე კ ი. რაც იყო, იყო, ქალბატონებო, ჩვენს შორის...

ს მ ი თ ი (მიჰყავს). წინ!

მ ს ვ ლ ე ლ ო ბ ა ს ა ხ რ ჩ ო ბ ე ლ ი ს ა კ ე ნ .

ყველანი გადიან მარცხენა კარიდან, რომელიც საპროექტით სიბრტყეშია. შემ-
დეგ ისევ შემოდიან სცენაზე მოპირდაპირე მხრიდან, ხელში ყველას ფარანი
უპყრია. როგორც კი მ ა კ ჭ ი თ ი სახრჩობელაზე ადის, პ ი ჩ ე მ ი დამს-
წრე საზოგადოებას მიმართავს.

პ ი ჩ ე მ ი.

პატივცემულნო, დროა მოვრჩეთ ჩვენ წარმოდგენას,
საცაა მაკპითს აიყვანენ სახრჩობელაზე
და თავის თვალით დარწმუნდება უთუოდ ყველა,

რომ კაცს ცოდვები არ შერჩება ამ ქვეყანაზე.
მაგრამ იმისთვის, რომ ჩვენზეც არ იფიქროს ხალხმა,
რომ ამგვარ აზრით და მორალით ვართ გამსჭვალულნი,
აღარ დასჯიან ბატონ მაკპითს, რადგანაც ახლა
სულ სხვანაირი მოვიგონეთ ჩვენ დასასრული.
უკეთუ ხალხმა ოპერაში იხილოს მაინც,
როგორ შედრკება მოწყალების წინ სამართალი
და ამიტომაც მაცნედ ამგვარ კეთილი ნების
გამოცხადება თქვენ წინაშე შიკრიკი მეფის.

დაფებს აწერია: „ც ხ ე ნ ო ს ა ნ ი მ ა ც ნ ე ს გ ა მ ო ც ხ ა დ ე ბ ა“

მ ე ს ა მ ე ს ა მ გ რ ო შ ი ა ნ ი ო ნ ა ლ ი

გ უ ნ დ ი

ეი, ჩუმად, ეს ვინ მოიჩქარის?
მეფის ცხენოსანი მაცნე მოიჩქარის!

ცხენზე გადაძვდარი ბ რ ა უ ნ ი — მეფის მაცნე გამოდის სცენაზე.

ბ რ ა უ ნ ი. მეფედ კურთხევასთან დაკავშირებით დედოფალი ბრძანებს, რომ კეპტენ მაკპითი დაუყოვნებლივ განთავისუფლებულ იქნეს. (ყველანი აღტაცებულნი არიან.) ამავე დროს შთამომავლობითი აზნაურობა ებოძოს. (აღტაცების გამომხატველი შეძახილები.) აგრეთვე მარმარელის ციხე-დარბაზი და ათი ათასი გირვანქა რენტა სიკვდილამდე. აქ დამსწრე ახალდაქორწინებულთ კი მისი უდიდებულებობა მეფურ მოკითხვასა და საუკეთესო სურვილებს უთვლის.

მ ე კ ი. გადაფრჩი, გადაფრჩი! დიახ, ჩემს თავზე გამოვცადე, რომ სადაც გაჭირვება დიდია, იქ გზაც ზოგჯერ ხსნილია.

პ ო ლ ი. გადარჩა! ჩემი საყვარელი მეკი გადარჩა, რა ბედნიერი ვარ!

ქ ა ლ ბ ა ტ ო ნ ი პ ი ჩ ე მ ი. ასე რომ, ბოლოს ყოველივე ბედნიერად დაბოლოვდა. რა იოლი და მშვიდი იქნებოდა ჩვენი ცხოვრება, მეფის ცხენოსანი მაცნეები მუდამ ასე რომ ცხადდებოდნენ.

პ ი ჩ ე მ ი. ამიტომ ნუ დაიშლებით და ყველამ ღარიბთა შორის უღარიბესთა ქორალი იმღერეთ, რომელთა მიძიმე ცხოვრებაც დღეს აჩვენეთ, სწორედ მათი ბოლო არის ხოლმე სავალალო. მეფის ცხენოსანი მაცნეები ერთობ იშვიათად ცხადდებიან, როდესაც ნაცემ-ნაგვემნი უპოვარნი თვითონაც მო-

იქნევენ ხოლმე ხელს. ამიტომ მეტისმეტი თავგამოდებით არ უნდა ვსდიოთ უსამართლობას.

ყველანი ორგანოს აკომპანემენტით მღერიან და თან წინ, მაცურებლისა-
კენ, მიაბიჯებენ.

ერთობ ნუ კიცხავთ ბოროტებას, მას საკუთარი
სუსხი მოაშთობს უეჭველად ადრე და მალე.
სჯობს წუთისოფლის სიღუბსწირეს. მიაპყროთ თვალი
და მის დაზაფრულ გლოვის ველზე იფიქროთ რამე.